პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგის 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 29 სექტემბერი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 226 (2269)

დღიური

— ფრანგი რეფორმისტები ფეიქართა გაფიცვის წინააღმდეგ.
— მთავრობის კრიზისი შვეციაში.
— სამხრეთ-სლავიის რადიკალური პარტია მოითხოვს მთავრობის გადადგომას.
— ინგლისმა, საფრანგეთმა, გერმანიამ და რუმინეთმა იცნეს მონარქია ალბანეთში.
— მოძრაობა ახმედ-ზოგუს წინააღმდეგ ალბანეთში.
— ინგლისი აფართოებს სამხედრო-საზღვაო ბაზას სინგაპურში
— რედაქტორების საკავშირო თათბირის დახურვა.

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა
ოქტომბრისათვის
კვირას, 30 სექტემბერს
კანტორა ღია იქნება ხელის მოწერის მისაღებად
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარება

სასოფლო- სამეურნეო გადასახადის გატარების დარგში ჩვენ ყოველ წელს ახალი მიღწევები გვაქვს. საგადასახადო აპარატი დახელოვნდა მუშაობაში, ადგილობრივი ორგანოებიც უფრო მეტ აქტივობას იჩენენ ამ საქმისადმი, თვით სოფლის მოსახლეობაც შეეჩვია საგადასახადო დისციპლინას და სხვა. მაგრამ ამ მიღწევების ნიადაგზე ჩვენ ყოველწლიურად გვქონდა მნიშვნელოვანი დეფექტები. წელს კი ეს დეფექტები უფრო თვალსაჩინო გახდა, რადგან სასოფლო- სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი, არა თავის მისწრაფებით, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად განირჩევა წინა წლების ასეთივე კანონებისაგან.

ამოცანა, როგორც ყოველთვის, რჩება ერთი და იგივე, რაც შეიძლება მეტი შეღავათები მცირე შეძლების და მშრომელ გლეხობას, და გადასახადის სიმძიმის სოფლის შეძლებულ და ექსპლოატატორულ ელემენტებზე გადატანა. ამასთან ერთად, რაც შეიძლება მეტი შეღავათები ღატაკ გლეხობას, მათი მეტი რაოდენობით განთავისუფლება გადასახადისაგან. სასოფლო- სამეურნეო გადასახადის ახალ კანონში ეს პრინციპები სავსებით დაცულია. ახალი კანონი ეყრდნობა სოფლის მეურნეობის საერთო ზრდას უკანასკნელ წლებში. ამიტომ სასოფლო- სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამი საბჭოთა კავშირში გადიდებულია წინანდელთან შედარებით 80 მილიონით. ამავე დროს გადიდებულია გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლებულ ღარიბ გლეხკაცობის რიცხვიც. გარდა ამისა, იმ მიზნით, რომ გადასახადს თავი არ დააძვრინონ სოფლის ისეთ ექსპლოატატორულ ელემენტებმა, რომელთაც არ გააჩნიათ დასაბეგრი ობიექტები, შემოღებულია ინდივიდუალური დაბეგვრა.

რა მოხდა ადგილობრივ, როცა ჩვენ შეუდექით ახალი კანონის პრაქტიკულად განხორციელებას? ადგილობრივ ორგანოებმა ბევრგან სათანადო სისწორით ვერ გაიგეს ახალი კანონი. ყველაზე მეტი გაუგებრობა ამ შემთხვევაში შეიქმნა ინდივიდუალური დაბეგვრის საკითხის ირგვლივ. ეს ზომა ახალია ჩვენს სასოფ.-სამეურნეო საგადასახადო კანონმდებლობაში და მან, ბუნებრივად, ჯერ კიდევ ყველგან ვერ ჰპოვა სწორი გამოხატულება პრაქტიკულ მუშაობაში. ბევრგან გადაჭარბებული ერთგულება გამოიჩინეს, ინდივიდუალურად დაბეგრეს საშუალო შეძლების მეურნეობანი. ეს გატაცება მრავალ ადგილას იმდენად შორს წავიდა, რომ საგადასახადო ორგანოებმა გაცილებით წააცილეს იმ ნორმას, რომელიც დაწესებულია ყველა რაიონისათვის ინდივიდუალური დაბეგვრის შემთხვევაში.

იმისათვის, რომ სისწორით მოხდეს ინდივიდუალური დაბეგვრა, საჭიროა დასაბეგრ პირის შემოსავლის საფუძვლიანად შესწავლა. ნამდვილად კი ზოგ ადგილას ასე ხდებოდა: თვითეულ რაიონისათვის წინდაწინვე აწესებდნენ ინდივიდუალურად დასაბეგრ მეურნეობათა ციფრს და შემდეგ მიზნად ისახავდნენ ამ ციფრის აუცილებლად შესრულებას. ასეთ პირობებში გასაკვირი არაა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საშუალო შეძლების გლეხები იბეგრებოდნენ ინდივიდუალურად, ხოლო ის მეურნეობანი, რომელნიც ნამდვილად უნდა დაბეგრილიყვნენ ამ წესით, თავს აღწევდნენ ინდივიდუალურ ბეგარას. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სოფლის სხვადასხვა კატეგორიებისათვის ახალ კანონით გათვალისწინებული შეღავათები სისწორით არ გაუტარებია ჩვენს ორგანოებს. კანონი მთელ რიგ შენიშვნებს შეიცავს სოფლად დაქირავებულ შრომით მომუშავეთა და სხვების შესახებ. საგადასახადო აპარატმა ყველგან ერთნაირი სისწორით ვერ გაიგო ეს შენიშვნები. ადგილი აქვს კანონისგან გადახვევის მრავალ შემთხვევას. ეს, სხვათა შორის, იმითაც აიხსნება, რომ ახალი საგადასახადო კანონი ბევრგან სათანადოთ არა აქვთ შესწავლილი თვით კანონის შემსრულებელ ორგანოებს. რაც შეეხება კანონის პოპულიარიზაციას მოსახლეობაში, აქ მდგომარეობა კიდევ უფრო ცუდია. ეს კი ქმნის ფართე ასპარეზს ყოველგვარ დამახინჯებისათვის კანონის გატარების დროს.

ეს შეცდომები დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. დრო ამის საშუალებას ჯერ კიდევ გვაძლევს. ადგილობრივ ორგანოებმა დიდი ყურადღებით უნდა მოისმინონ საჩივრები უკანონო დაბეგვრის შესახებ. თავისთავად ცხადია, შეცდომების გასწორება არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ მან მნიშვნელობა დაუკარგოს ახალ საგადასახადო კანონს. პირიქით, ახალი კანონი მტკიცედ და სრულად უნდა იქნას გატარებული. ამისათვის საჭიროა ღარიბ გლეხკაცობის დახმარება. ადგილობრივ ორგანოებმა საჩივრები უკანონო დაბეგვრის შესახებ უნდა გამოიტანონ ღარიბ გლეხკაცობის საერთო კრებებზე, აქ უნდა გაარჩიონ ისინი. სასოფლო- სამეურნეო გადასახადი ხელისუფლების ერთ-ერთი იმ ღონისძიებათაგანია, რომლის ირგვლივაც ადვილად შეიძლება ღარიბ გლეხობის შემოკრება და მათი აქტიურად ამოძრავება.

ცენტრალური ხელისუფლება თავის მხრივ ყოველ ზომებს იღებს იმისათვის, რომ გაუადვილოს სოფელს გადასახადის შესრულების ამოცანა. გადაწყვეტილია მნიშვნელოვანი თანხის ჩამოწერა ნავარაუდევ გადასახადის საერთო ჯამიდან. იგზავნება დამატებით დამხმარე ძალები ადგილობრივ ორგანოებისათვის ხელის შესაწყობათ გადასახადის სწორად ჩატარების საქმეში და სხვა. ყველა ეს ღონისძიებები და წარსული წლების მუშაობის გამოცდილება იმის თავდებია, რომ ჩვენ შევძლებთ სასოფლო- სამეურნეო გადასახადის გატარების დროს დაშვებულ დეფექტების დროულად გამოსწორებას და ახალი კანონის მთელ სიმტკიცით გატარებას.

მოღალატეების რეკორდი

მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტური და სოციალ- კაპიტალისტური „სტაბილიზატორები" გულმოდგინეთ სცდილობენ განამტკიცონ ევროპის კაპიტალიზმის პოზიციები და უფრო მეტად გააძლიერონ მჩაგვრელი ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გააფთრებულ ტერორს მიმართავენ პროლეტარიატის პარტიების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ რეფორმისტებს სისტემატიურად შეაქვთ დეზორგანიზაცია მუშათა მოძრაობაში —მიუხედავად ყველა ამისა, კლასობრივი ბრძოლა ევროპაში მაინც ვითარდება. პროლეტარული აქტივობა იზრდება, რევოლიუციონური ქარტეხილი თანდათან ძლიერდება, დრო და დრო ტელეგრაფს მოაქვს ცნობები კომუნისტური პარტიების გმირული და სახელოვანი აქტების შესახებ, პროლეტარიატის მძლავრი დემონსტრაციებისა, მღელვარე მიტინგებისა და საარჩევნო წარმატებების შესახებ; მოდის ცნობები, რომ კვლავ იზრდება მოძრაობა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ და კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ფართოდ ვითარდება საგაფიცვო ტალღა კაპიტალისტური რაციონალიზაციის საპასუხოდ.

„სოციალისტებისა" და რეფორმისტების ახალი და ახალი ღალატისა და საზიზღარი გამცემლობის მიუხედავად, საშინელი ტერორისა და დევნის მიუხედავად, მუშათა მოძრაობა მაინც იზრდება და ვითარდება.

შეგნებულმა გერმანელმა მუშებმა და მუშა- ქალებმა სასტიკად გაილაშქრეს გერმანიის სოციალ- დემოკრატიის „ჯავშნოსანი" პოლიტიკის წინააღმდეგ. გერმანიის კომპარტიის კამპანია ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ ცოცხალ გამოძახილს პოულობს პროლეტარულ მასებში და კერძოდ გერმანელი სოციალ- დემოკრატი მუშების მასებშიც. ანტიჯავშნოსნური მოძრაობა იმდენად ვითარდება და ძლიერდა, რომ გარკვეულ საფრთხეს უქმნის გერმანიის სოციალ- დემოკრატიის სვებედის გამგეთ. ისინი, ვინც იმის ნაცვლად, რომ პროლეტარული ბინების შენებას შესდგომოდა, არაჩვეულებრივი გულმოდგინეობით შეუდგა ფოლადის ხომალდების აგებას „გერმანიის დროშის", ე. ი. გერმანელი კაპიტალისტების სასახელოდ, საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. უბადრუკი ჯავშნოსანი იყო „სოციალისტური" მინისტრების მოღვაწეობისა და კოალიციონური პოლიტიკის პირველი „დადებითი" ნაყოფი (მით უფრო, რომ სოციალისტი მჯღაბნელების ვერავითარი ღონისძიება ვერ გადააქცევს გერმანიის საგარეო პოლიტიკის „წარმატებად" იმ სილებს, რომლებიც გერმანიას ბრიანმა გააწნა ჟენევაში) და ამიტომ მემარჯვენე ესდეკებს კიდევ უფრო მეტად, ვიდრე „მემარცხენეებს", მრავალი სკანდალი დაატყდათ. ჩვეულებრივად ასე ენაწყლიანი „ფორვერტს"-ი ერთხანს მოლუშულად და მხდალად სდუმდა, შემდეგ კი საძაგელი ლანძღვა- გინების კამპანია გამართა საბჭოთა მუშების „შეიარაღების" წინააღმდეგ, ხოლო ამავე დროს დუმილით უვლიდა გვერდს „სოციალისტური" ჯავშნოსანის „შთასახვის საიდუმლოებას". სოციალ- დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელ ინსტანციებში დიდხანს სწარმოებდა ფარული ვაჭრობა იმაზე, თუ რა საშუალებით მოეხერხებიათ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლა. ბოლოს, სოციალ- დემოკრატიულმა ცეკამ გამოუშვა მოწოდება მუშებისადმი. ამ მოწოდების გესლიანი მახვილი მთლიანად მიმართულია კომუნიზმის წინააღმდეგ და მას გაკეთებული აქვს უტიფარი სათაური „ნიღაბი აიხადეთ".

თვით ის ფაქტი, რომ „სოციალისტურ" ცეკას ასეთი მოწოდების გამოშვება დასჭირდა, იმას მოწმობს, რომ პროლეტარული მოძრაობა ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ მეტად მგრძნობიარე პოლიტიკას შეეხო და რომ სოციალ- დემოკრატ მუშათა მასები უფრო და უფრო შორდებიან სოციალ-დემოკრატიას და რევოლიუციონური კლასობრივი ბრძოლის პოზიციაზე დგებიან. მაგრამ აღსანიშნავია სოციალ-დემოკრატიული დოკუმენტის შინაარსი და იმ „არგუმენტების" ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი ხასიათი, რომლების საშუალებითაც სოციალ-დემოკრატიის ლიდერები ფიქრობენ მუშებისა და კომუნისტების დამარცხებას. ღალატი ამ შემთხვევაში პოლიტიკური ცინიზმისა და რეფორმისტული ვერაგობის ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ცრუპენტელა სოციალ- დემოკრატიულმა არამზადებმა იმით დაიწყეს, რომ მილიტარისტად და რეაქციონური ომების მომხრეთ გადააქციეს... ვ. ი. ლენინი. მათ ყალთაბანდურად დაალაგეს „ამონაწერები" ლენინის თხზულებებიდან იმ იმედით, რომ გერმანელი მუშები იმდენად უვიცები აღმოჩნდებოდნენ, რომ არ შეამოწმებდნენ სოციალ- დემოკრატიული „ციტატ-მახერების" ოინებს, და რეაქციონური ომების მოციქულად გადააქციეს უდიდესი მებრძოლი მილიტარიზმის წინააღმდეგ, რომელსაც კი იცნობს კაცობრიობა. მათ იმედი აქვთ, რომ გერმანელი მუშა დაიჯერებს ამას. ჭეშმარიტად უმწეოა მათი დღევანდელი „იდეური" იარაღი, რა კი ისინი იძულებული არიან ამგვარ ფანდებს მიმართონ. ერთ დროს ისინი სამხედრო მუზარადს ახურავდნენ კარლს მარქსს, ეხლა ლენინს უწოდებენ „მილიტარისტს", ისღა აკლიათ, რომ ხვალ კარლ ლიბკნეხტი გამოაცხადონ სისხლიანი ვილჰელმის მომხრედ.

მსოფლიო პროლეტარული ბელადის წინააღმდეგ ამ ვირული გამოსვლის გარდა, მოწოდება „ნიღაბი აიხადეთ" სხვა „მარგალიტებითაც" არის შემკული. მართალია, ეს „მარგალიტები" არა ნაკლებ ორიგინალურია, ვიდრე პირველი, მაგრამ მათი ღირსება კი პირველის ღირსებას არ აღემატება. ასეთია, პირველ ყოვლისა, ბრიანისა და პუანკარესთან მოპარული არგუმენტი იმის შესახებ, რომ კომუნისტებს ომი „სურთ" და ომის „იმედი აქვთ". სოციალ-დემოკრატიის კარდინალები, როგორც სჩანს, ფიქრობენ, რომ თუ მომავალშიაც განაგრძობენ მუშებთან ჩიჩინს, აქაო და სოციალ- დემოკრატები მშვიდობიანობის მომხრენი არიან, კომუნისტები კი— ომის მომხრეებიო, მუშები ვერ შეეკითხებიან მათ: მაშ რატომ ილაშქრებენ კომუნისტები ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ, თქვენი მინისტრები კი მხარს უჭერენ ჯავშნოსანის აგებას? რატომ გიწყევენ კაპიტალისტები თქვენ „მშვიდობიანობის მოციქულებს", სამხედრო შტატებსა და მთავრობებში, ხოლო „მილიტარისტებს"— კომუნისტებს საპყრობილეებში ისტუმრებენ? რატომ სწამლავენ კომუნისტ მეზღვაურებს შხამიანი გაზებით, თქვენ კი ყოველგვარ მაღალ „მისიებს" გაკისრებენ? რატომ ეშინია ბურჟუაზიას ასე ძალიან კომუნისტური ანტიმილიტარისტული მუშაობის, ხოლო სოციალისტების „ნაყოფიერ სახელმწიფოებრივ" მუშაობას ქება-დიდებით იხსენიებს? „მოწოდება" გააფთრებით ილაშქრებს საბჭოთა კავშირის „შეიარაღების" წინააღმდეგ, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ სამარცხვინო ფაქტს, რომ სოციალ- დემოკრატია მეთაურობს იმპერიალისტური ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატი შულერები ისევ იკატუნებენ თავს, თითქოს ვერ ხედავენ „განსხვავებას" პროლეტარული ხელისუფლების თავდაცვასა და კაპიტალისტური სახელმწიფოების შეიარაღების შორის (რომელსაც სოციალ- დემოკრატია უჭერს მხარს). მეტად დამახასიათებელია, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მთელ მოწოდებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმპერიალისტების შეიარაღებაზე, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმპერიალიზმზე, კაპიტალიზმზე. სამაგიეროდ მოწოდება არ ივიწყებს და ქება-დიდებას ასხამს ბურჟუაზიულ ერთა ლიგას, რომელიც სოციალ- დემოკრატიას ისევ მიაჩნია სამღვთო პანაცეიად ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ.

განსაკუთრებით ისეთ საკითხში, როგორიც არის ბრძოლა ომის საფრთხის წინააღმდეგ— მომავალი ომის საკითხი ცენტრალური საკითხია თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში —გერმანიის რევოლიუციონურ მუშებს თამამად შეუძლიათ ულმობელი ბრძოლა გაუმართონ სოციალ- დემოკრატიას. მთელი თანამედროვე სიტუაცია საჭიროდ ხდის ბრძოლის გაძლიერებას კონტრ- რევოლიუციონური სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ, ვინაიდან ისეთი პოლიტიკური დოკუმენტი, როგორც კერძოდ გერმანიის სოციალდემოკრატიის ცეკას უკანასკნელი მოწოდება, განსაკუთრებით ნათლად მოწმობენ, რომ ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა ამავე დროს ნიშნავს შეურიგებელ ბრძოლას სოციალ- გამცემლობის ყველა სახის წინააღმდეგ.

„პრავდა", 28 სექტემბერი.

შეერთებული შტატები ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების წინააღმდეგ

„მატენ" აქვეყნებს ცნობას შეთანხმების გაუქმების შესახებ „შეერთებული შტატების ზეგავლენით"

ბოლდუინის სიტყვა კონსერვატორების საარჩევნო პროგრამის შესახებ

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება და ამერიკა

შეერთ. შტატების პასუხი

ვაშინგტონი, 27 სექტემბერი. შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტრომ პასუხი გასცა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების ნოტებზე საზღვაო შეთანხმების შესახებ. პასუხის ტექსტი გამოქვეყნებული იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას მიიღებენ ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროები. მიღებული ცნობებით, საპასუხო ნოტა ადასტურებს, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა უცვლელი დარჩა ჟენევაში გამართულ სამთა საზღვაო კონფერენციის შემდეგ. **საპასუხო ნოტა ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს ინგლის-საფრანგეთის კონფერენციას საზღვაო შეთანხმების შესახებ**, რომლის მოწვევა განზრახული აქვთ ინგლისსა და საფრანგეთს.

როგორც ჩანს, შეერთებული შტატების მთავრობის წრეები გაურბიან შეიარაღების საკითხის განხილვას საპრეზიდენტო არჩევნების დამთავრებამდე.

საფრანგეთში აღელვებული არიან

პარიზი, 27 სექტემბერი. კეშენდენის განცხადებამ და „მატენ"-ის ცნობამ ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმების გაუქმების ან გადასინჯვის შესაძლებლობის შესახებ ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით, მკაცრი იერიშები გამოიწვია მემარჯვენე და რადიკალურ პრესაში.

ბენვილი „ლიბერტე"-ს ფურცლებზე შეერთებული შტატების ახლანდელ ტაქტიკას ადარებს გერმანიის მოქმედებას ომამდი, როცა გერმანია „არ ითმენდა არაფერს, რაც მისი დასტურის გარეშე ხდებოდა და თავის შეურაცხყოფად სთვლიდა ყოველგვარ შეთანხმებას, რომელიც მისი მონაწილეობის გარეშე იქნებოდა დადებული. ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობის წინააღმდეგ მოეწყო მთელი შეთქმულება, ვინაიდან ევროპაში ყველამ იცის, რომ სანამ ინგლის-საფრანგეთს თანხმობა აქვს, მათ ნებადაურთველად ერთი ტყვიაც ვერ გავარდება. ამერიკამ თავისდაუნებურად შეასუსტა მშვიდობიანობის საუკეთესო გარანტია".

იტალიის პრესა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ

რომი, 27 სექტემბერი. იტალიის ყველა გაზეთმა დაბეჭდა „კრასნაია ზვეზდას" ცნობა ინგლის- საფრანგეთის შეთანხმებათა შესახებ, მაგრამ არც ერთი გაზეთი ამ ცნობას კომენტარიებს არ უკეთებს.

საფრანგეთისა და ინგლისის უარმყოფელ განცხადებებს, რომლებიც გამოქვეყნდა „კრასნაია ზვეზდას" მხილების შემდეგ, იტალიის საზოგადოებრიობა უნდობლად დახვდა.

„ჯორნალე დ,იტალიე" აღნიშნავს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების ანტი-ამერიკულ ხასიათს და სწერს: „ჩვენ არ ვიცით, შეეფერება თუ არა ეს შეთანხმება იტალიის ინტერესებს. შესაძლებელია, იტალიას ნაკლები მოუსვენრობა არ მართებდეს, ვიდრე ამერიკას, ვინაიდან ამ ორ ქვეყანას რაოდენადმე საერთო ინტერესები აქვს, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მათი ერთნაირი დამოკიდებულება ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებისადმი". (ადს)

ინგლისელ კონსერვატორების საარჩევნო პროგრამა

ბოლდუინის სიტყვა კონსერვატორთა პარტიის ყრილობაზე

ლონდონი, 27 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„გრეიტ იარმუტში კონსერვატორთა პარტიის ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ბოლდუინმა განაცხადა, რომ მას არასოდეს არ უნახავს კონსერვატორთა პარტიის ისეთი მებრძოლი სულიერი განწყობილება, როგორც ახლა". პარტია, ბოლდუინის სიტყვით, სრული რწმენით მოელის მომავალი წლის საყოველთაო არჩევნების შედეგებს.

ვიდრე მუშათა პარტია არ ისწავლის თავის საკუთარ ექსტრემისტებთან ბრძოლას და მათ მხილებას, მანამდე ინგლისელი ხალხისაგან იგი ხმის უმრავლესობას ვერ მიიღებს.

რაც შეეხება ლიბერალურ პარტიას, არასოდეს არც ერთი პოლიტიკური პარტია ასე არ ყოფილა დაავადებული მთლიანობის უქონლობით ხელმძღვანელობის პოლიტიკაში, როგორც თანამედროვე ლიბერალები. ბოლდუინის სიტყვით, ინგლისელ ხალხს უფლება აქვს იცოდეს, აპირებენ თუ არა ლიბერალები მუშათა პარტიის ხელახლა დაყენებას ხელისუფლების სათავეში, თუ მათ საამისო საშუალება ექნებათ.

ბოლდუინი შემდეგ შეეხო კონსერვატორების პროგრამას, რომელსაც ისინი განახორციელებენ, თუ ხელისუფლება შერჩებათ მომავალი წლის ივნისისა და ივლისის არჩევნების შემდეგ, და განაცხადა: კონსერვატორთა პარტია თავის ამოცანად ისახავს მოსპოს ღარიბთა უბნების მოუწესრიგებლობა და უახლოეს მომავალში მიაწოდოს იაფი ელექტრონი მთელ სახელმწიფოს.

ბოლდუინი შეეხო საგარეო პოლიტიკის საკითხს და განაცხადა, რომ მთელი ინგლისი და მთელი ევროპა აფასებს იმ ერთგულებას, მოხერხებას და სიმტკიცეს, რომლითაც ჩემბერლენი წარმატებით უძღოდა ინგლისის პოლიტიკას. ბოლდუინის სიტყვით, ის რაც ევროპამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მიაღწია უმთავრესად ჩემბერლენის წყალობით მოხერხდა. მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში, ბოლდუინის სიტყვით, ჩემბერლენმა თავისი ძალღონე არ დაზოგა და ამ საქმეს შეალია.

შემდეგ ბოლდუინმა განიხილა მრეწველობის ინტერესების დაცვის საკითხი მფარველობითი საბაჟო გადასახადების შემწეობით. ბოლდუინმა აღნიშნა, რომ მრეწველობის ასეთი დაცვის გეგმა უკვე შვიდი წლის წინათ წარმოიშვა და იმედი გამოსთქვა, რომ ყველა გაიზიარებს იმ აზრს, რომ უკვე განვლო ექსპერიმენტალურმა პერიოდმა. ინგლისელი ხალხი, ბოლდუინის სიტყვით, ნელა ერკვევა ახალ პრობლემებში, მაგრამ სამაგიეროდ ღრმად მოისაზრებს ხოლმე ამ პრობლემებს.

ჩვენ იმ დასკვნას დავადექით, განაცხადა ბოლდუინმა, რომ თუ ხელისუფლების სათავეში დავრჩით, არავითარ საბაჟო გადასახადს არ დავადებთ სურსათ - სანოვაგის საგნებს. აქტი მრეწველობის ინტერესების დაცვის შესახებ გამოყენებული არ აიქნება ხვრელად საერთო მფარველობითი ტარიფის შემოღებისათვის იმ დრომდე, ვიდრე ინგლისელი ერი თვითონ არ გამოსთქვამს თავის აზრს ამ საკითხის შესახებ. მაგრამ მრეწველობის არც ერთ დარგს საშუალება არ წაერთმევა, რომ უშუალოდ მიმართოს ინსტანციებს და სთხოვოს ამ აქტის გამოყენება. გარდა ამისა, უნდა [illegible] თვით აქტის გამოყენების პროცესი".

შემდეგ ბოლდუინმა აღნიშნა, რომ კონსერვატორთა პარტიის ბევრი წევრის აზრით, მრეწველობის განვითარების ტემპი მეტად ნელია. მაგრამ დემოკრატიის ფარგლებში მიზანშეწონილი არ იქნება ძალიან შორს წასვლა და საზოგადოებრივი აზრისათვის გვერდის აქცევა. მრეწველობის ინტერესების დაცვის საკითხი განხილული უნდა იქნას მხოლოდ მისი შინაგანი მნიშვნელობის თვალსაზრისით.

„თუ ჩვენ ხელისუფლების სათავეში დავრჩებით, განაცხადა ბოლდუინმა, უეჭველია გავამარტივებთ მრეწველობის ინტერესების დაცვის პროცედურას, ვინაიდან მეტად ხანგრძლივი გამოკვლევანი ავნებენ საქმიან ცხოვრებას, რომელიც ვერ განვითარდება გაურკვევლობის პირობებში". (ადს).

„კომუნისტურ აჯანყების" გამოწვევის პროვოკაცია

რიგა, 27 სექტემბერი. რიგაში ხმა დადის, რომ მემარცხენეები (კომუნისტები) ემზადებიან შეიარაღებული გამოსვლისათვის რიგის ხელში ჩასაგდებათ, ამასთან მათ თითქოს წითელი არმიის შემოსვლისა და დახმარების იმედი აქვთ. ეს ხმა წარმოადგენს იმ კამპანიის გაგრძელებას, რომელიც მემარჯვენე პრესამ დაიწყო ცნობების მოთავსებით, თითქოს მოსკოვიდან კომუნისტებმა მილიონები მიიღეს. მაგრამ ამას გარდა ამ ხმას, როგორც ეტყობა, უფრო გადამწყვეტი გეგმებთან უნდა ჰქონდეს კავშირი. ჯერ კიდევ 21 აგვისტოს, როდესაც ერთი დღის საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა გამოცხადდა მემარცხენე პროფკავშირების დახურვის წინააღმდეგ, მუშებში დაძრწოდნენ საეჭვო პიროვნებანი, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ საპყრობილეებზე თავდასხმისა და „ოხრანკის" განადგურების სასარგებლოდ.

მუშათა მემარცხენე წრეებში შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ფაშისტებმა განგებ მოაწყონ პროვოკაციული „კომუნისტური აჯანყება", რათა არჩევნების წინ დააფრთხონ წვრილი ბურჟუაზია და ამით ფაშისტებისათვის მიაცემინონ ხმა (ადს).

რეფორმისტები გაფიცვის წინააღმდეგ

პარიზი, 27 სექტემბერს. როგორც „ჰუმანიტე" იუწყება, ლილისა, რუბეს და ტურკუენის **ფეიქართა შორის ძლიერდება მიმართულება — შეუერთდნენ გაფიცულებს.** რეფორმისტები პროპაგანდას ეწევიან გაფიცვის წინააღმდეგ. რეფორმისტების კრებებზე დასახელებულ სამ ქალაქში მიიღეს რეზოლიუციები რომლებშიაც მოუწოდებენ მუშებს —დაუცადონ მთავრობის ჩარევას საქმეში. რეზოლიუციებში აღნიშნულია, რომ ამ შედეგის გამორკვევამდე უსარგებლო და საშიშია შეუერთდნენ საგაფიცვო მოძრაობას, რომელიც „საჭირო მომზადების გარეშე დაიწყეს ისეთმა ადამიანებმა, რომელთაც არ სურთ და არც შეუძლიათ პასუხისმგებლობა".

სოციალისტური პარტიის ორგანო „პოპიულერ"-ი შრომის რეფორმისტული კონფედერაციის ორგანო „პეპლ", ამახინჯებენ რა ციფრებს და ფაქტებს ყოველ ღონეს ხმარობენ სახელი გაუტეხონ ფეიქართა უნიტარულ კავშირებს და ჩაშალონ გაფიცვა". (ადს).

პარტიათა ბრძოლა სამხრეთ-სლავიაში

რადიკალური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ვენა, 27 სექტემბერი. როგორც ბელგრადიდან იუწყებიან, იქ დამთავრდა რადიკალური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოვებული პლენუმი. ცეკას თავმჯდომარემ **სტანოევიჩმა მკაცრად გაილაშქრა ყოფილი პრემიერის ვუკიჩევიჩის და საგარეო საქმეთა მინისტრის მარინკოვიჩის წინააღმდეგ, აგრეთვე კოროშეცის ეხლანდელი კაბინეტის წინააღმდეგ.** სტანოევიჩმა განაცხადა, რომ მხოლოდ ვუკიჩევიჩი, მარინკოვიჩი და კოროშეცი და მათი კაბინეტები არიან პასუხისმგებელნი იმ მწვავე პოლიტიკური კრიზისისათვის, რომელსაც ამჟამად სამხრეთ- სლავია განიცდის.

პლენუმმა ხმის უმრავლესობით მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ეთანხმება სტანოევიჩის თეზისებს. **რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ რადიკალური პარტია მოითხოვს კოროშეცის გადადგომას და ხორვატიის ოპოზიციასთან შერიგებას.**

პლენუმმა ერთხმად აირჩია სტანოევიჩი პარტიის თავმჯდომარედ. (ადს)

შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხი დამოუკიდებელ პროფკავშირთა პროტესტზე

ვენა, 27 სექტემბერი. როგორც ბელგრადიდან იუწყებიან, დამოუკიდებელი პროფკავშირების წარმომადგენელთა პროტესტის (ამ პროფკავშირების დახურვის გამო) საპასუხოდ შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ იგი წინადადებას მისცემს ადგილობრივ ხელისუფლებას მოქმედების ნება დართოს იმ პროფკავშირებსა და ორგანიზაციებს, რომელთა სადგომებშიაც გაჩხრეკის დროს არ აღმოჩნდა საეჭვო საბუთები და მასალა. ამასთან ერთად განთავისუფლებულ იქნა დამოუკიდებელ პროფკავშირთა ბევრი მოღვაწე, ვინაიდან ჩხრეკამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინა. (ადს).

მემაღაროეთა უნიტარული ფედერაციის ყრილობა

პარიზი, 27 სექტემბერი. მემაღაროეთა უნიტარული ფედერაციის ყრილობაზე სენტ-ეტიენში, მისალოც დეპეშათა (მათ შორის საბჭოთა მემაღაროების კავშირის დეპეშის) მოსმენის შემდეგ, ბევრმა დელეგატმა შეავსო კირშის პოლიტიკური მოხსენება. ამის შემდეგ მოხსენება მოწონებულ იქნა ერთხმად. სამანდატო კომისიის განცხადებით, ყრილობას ესწრება 23 დელეგატი, რომელნიც 28 პროფკავშირს წარმოადგენენ. (ადს)

მთავრობის კრიზისი შვეციაში

სტოკჰოლმი, 27 სექტემბერი. კონსერვატორების ლიდერებმა შეფეს აცნობეს: სახალხო პარტიის ლიდერმა **ეკმანმა**, რომელიც ძველი კაბინეტის სათავეში სდგას, და ლიბერალების ლიდერმა **ლაფგრენმა**, რომელსაც მასში გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობა უჭირავს, **უარი განაცხადეს ბურჟუაზიული პარტიების კოალიციაში მონაწილეობის მიღებაზე.** (ადს)

ვენიზელოსის მორიგი ინტერვიუ

პარიზი, 27 სექტემბერი. ვენიზელოსმა პარიზში საუბარი გაუმართა უცხოელ ჟურნალისტებს. მან განაცხადა:

„საფრანგეთი, რომელიც მშვიდობიანობისათვის მუშაობს, მხოლოდ მოხარული უნდა იყოს იტალიასა და საბერძნეთს შორის. ხელშეკრულების დადების გამო. ამ ხელშეკრულებს ძირითად მიზანს შეადგენს ის, რომ განამტკიცოს ურთიერთობა ორივე ქვეყნის შორის მეგობრობისა და ნდობის ისეთსავე საფუძველზე,რომელზედაც უკვე დიდი ხანია ემყარება საბერძნეთის ურთიერთობა საფრანგეთსა და ინგლისთან. ეს მით უფრო სასარგებლოა რომ იტალია ხმელთა შუა ზღვის დიდ სახელმწიფოდ ხდება. უნდა ვისურვოთ, ასეთივე ხასიათის ხელშეკრულებები დაიდოს საბერძნეთსა ,სამხრეთ-სლავიასა, ბულგარეთსა, თურქე-

დაპატიმრებანი ლიტვაში

კოვნო, 27 სექტემბერი. ლიტვის პრესა იუწყება, რომ პროვინციაში გაჩხრიკეს და დააპატიმრეს რამდენიმე სოციალ- დემოკრატი, რომლებსაც ბრალდება პლეჩკაიტისთან კავშირი. (ადს)

ახმედ-ზოგუს წინააღმდეგ

ვენა, 27 სექტემბერი. ავსტრიის ოფიციოზის „რეიხსპორტი"-ს ცნობით, ალბანეთის მთავრობამ კონფისკაცია უყო ყოფილ ფინანსთა მინისტრის მთელ ქონებას: მინისტრმა უარი განაცხადა სიტყვა ეთქვა ახალი მეფის პატივსაცემად.

გაზეთების ცნობით, სკუტარში მოჰკლეს ჟანდარმთა ოფიცერი ნუზგი, ცნობილი მტერი მეფე ზოგუსი. ზოგიერთი კათოლიკენი ჩრდილოეთ ალბანიაში უარს ამბობენ ახმედ ზოგუს მეფედ აღიარებაზე (ახმედ ზოგუ მუსლიმანია).

„კრასინი"-ს მეორე რეისი

რადიო „კრასინი"-დან

ყინულის მჭრელი „კრასინი", 28 სექტემბერი. როდესაც „კრასინი" ტრომსეში იდგა, ყინულისმჭრელი დაათვალიერეს ადგილობრივი კომუნისტური ორგანიზაციის და პროფკავშირების წარმომადგენლებმა. გაიმართა პატარა მიტინგი, რომელზედაც გამოვიდნენ კომუნისტური ორგანიზაციის თავმჯდომარე და მისი მოადგილე. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ორასმა. (ადს).

„კრასინი"-ს შესახვედრად

მოსკოვი, 27 სექტემბერი. შესდგა იმ კომისიის სხდომა, რომელიც აწყობს ყინულის მჭრელი„კრასინი"-ს საზეიმო შეხვედრას. ყინულის მჭრელის შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან ლენინგრადში მიემგზავრება საბჭოთა კავშირის ავიაქიმისა და მოსკოვის პრესის წარმომადგენლების სპეციალური დელეგაცია. (ადს)

პლენუმის რეზოლიუცია

(საქ. კ. პ. (ბ) გამოკვლევის შედეგებისა და საკავშ. კომპ. (ბ) ცეკას მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ,

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მეოთხე პლენუმი, მოისმინა რა მან საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პასუხისმგებელი ინსტრუქტორის ამხ. პშენიცინის მოხსენება საქართველოს კომპარტიის (ბ) გამოკვლევის შედეგებისა და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გადაწყვეტილებათა შესახებ, სთვლის ამ გადაწყვეტილებებს სწორად და საქართველოს კომპარტიის (ბ) მუშაობის მიღწევებისა და დეფექტების სავსებით ამსახველად. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას რეზოლიუცია ამომწურავად განსაზღვრავს იმ ამოცანებს, რომლებიც დგანან საქართველოს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების წინაშე.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმი ავალებს საქართველოს პარტორგანიზაციებს მიიღონ ყველა ღონისძიება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განუხრელად გატარებისათვის.

1. მიღწევების განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებასთან ერთად პლენუმს საჭიროდ მიაჩნია, რომ მთავარი ყურადღება მიექცეს იმ სუსტ მხარეებს, რომლებიც აღნიშნულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას რეზოლიუციაში; კერძოდ სოფლად მუშაობის გაუმჯობესებას და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს; მუშების ჩაბმას მრეწველობის რაციონალიზაციის საქმეში; მუშების და გლეხობის ძირითადი მასის კულტურულ ყოფა-ცხოვრებით საჭიროებათა დაკმაყოფილებას, განსაკუთრებით ავტონომიურ რესპუბლიკებში; პირველ რიგში ქვედა საფეხურის პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური აპარატების მუშაკთა კადრების გაუმჯობესებასა და აღზრდას.

2. პლენუმი ავალებს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პრეზიდიუმს დაამუშაოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელების კონკრეტიული გეგმა, ამასთანავე უზრუნველჰყოს ამ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიონალურ და კომკავშირის ორგანიზაციების ყველა საფეხურზე, და აგრეთვე საქართველოს კომპარტიის (ბ) საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებში.

3. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას რეზოლიუციის განსამარტავად და პრაქტიკული ღონისძიებების გამოსამუშავებლად მისი ადგილებზე გატარებისათვის— მომავალ სამაზრო და საოლქო პარტკონფერენციებზე გაიგზავნონ ცეკას წევრები.

4. იმ მიზნით, რათა შესწავლილ იქნას ადგილებზე მუშაობის პირობები და დახმარება გაეწიოს ადგილობრივ პარტორგანიზაციებს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას ძირითადი დირექტივების გატარების საქმეში, განსაკუთრებით საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით,—საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მაგალითის მიხედვით, გაიგზავნოს ადგილებზე ცეკას წევრების ჯგუფი, 1—1 ნახ. თვით მუშაობის ჩატარების შემდეგ აღნიშნულმა ამხანაგებმა მოხსენება უნდა წარუდგინონ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პრეზიდიუმს.

5. მოწვეულ იქნას სრულიად საქართველოს თათბირი ქალთა შორის მუშაობის შესახებ. თათბირის მუშაობას საფუძვლად დაედოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების კოლეგიის გადაწყვეტილებები.

6. მორიგ პლენუმზე დასმულ იქნას საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცეკას მოხსენება. მოხსენება იმ თვალსაზრისზე უნდა იქნეს აგებული, თუ როგორ სწარმოებს საკავშირო ლენინური კომკავშირის ცეკას გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება და რამდენად ტარდება ის მითითებანი, რომლებიც მიიღო საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მოხსენების ირგვლივ.

7. მოწვეულ იქნას სრულიად საქართველოს თათბირი აგიტაციისა, პროპაგანდისა და ბეჭდვითი სიტყვის საკითხების განსახილველად, იმ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად, რომლებიც დაკავშირებულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების მიერ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას სააგიტ.-საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების მოხსენების ირგვლივ მიღებულ დადგენილებებთან.

8. საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის განვითარებისა და გაძლიერების მიზნით პლენუმი ავალებს ცეკას პრეზიდიუმს მობილიზაციის წესით ჩააბას საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები.

საკონცესიო საქმის აქტივიზაცია

მოსკოვი, 28 სექტემბერი. მთავარმა საკონცესიო კომიტეტმა შეიმუშავა კონცესიების გეგმა კომუნალური მეურნეობის დარგში. გეგმა ეხება 60-ზე მეტ ქალაქს და ითვალისწინებს კომუნალურ წარმოებათა, ტრამვაის, გაზის ქარხნების, ელექტრო სადგურების, წყალსადენის; კანალიზაციის და სასაკლაოთა კონცესიით გაცემას. ამ წარმოებებში დაბანდებული იქნება 400 მილიონ მანეთზე მეტი უცხოეთის კაპიტალი. საბჭოთა კავშირის ქალაქების მოსახლეობა პირდაპირ ამერიკული სისწრაფით იზრდება. მაგალითად თბილისის მოსახლეობა, რომელიც 1922 წელს 234.000-ს უდრიდა, 1926 წელს 293.000-მდე გაიზარდა, არსებული ქალაქების ზრდის გარდა, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით, იქმნებიან ახალი საქალაქო ტიპის დასახლებანი. საზოგადოებრივად სასარგებლო კომუნალურ წარმოებათა მოწყობას მეტად დიდი თანხები დასჭირდება. დაახლოვებითი გამოანგარიშებით, საზოგადოებრივად სასარგებლო წარმოებათა მოწყობას უახლოეს ხანებში დასჭირდება 1 ნახ. მილიარდ მანეთზე მეტი. დაახლოვებით 1 მილიარდი მანეთი დასჭირდება საზოგადოებრივად სასარგებლო წარმოებათა მოწყობას ახალ საქალაქო ტიპის დასახლებებში. ამას უნდა დაემატოს თანხები, რომლებიც დასჭირდება არსებულ წარმოებათა გაფართოვებასა და გადაკეთებას. ვინაიდან დიდი თანხები სჭირდება მრეწველობის განვითარებას, არ შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ სათანადო სახსრები სწრაფად გამოინახოს ჩვენი ქვეყნის შიგნით. ამიტომ მთავრობამ გადასწყვიტა კონცესიებით გასცეს საზოგადოებრივად სასარგებლო წარმოებათა მოწყობა და ექსპლოატაცია. მთავარი საკონცესიო კომიტეტის მიერ საკონცესიო ობიექტების ნუსხაში შეტანილი ქალაქები (მოსკოვი, ლენინგრადი, ოდესა, ხარკოვი, თბილისი; კიევი; ტაშკენტი; ვლადივოსტოკი; ნოვოსიბირსკი; სვერდლოვსკი, დონის როსტოვი) წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის უდიდეს ეკონომიურ და კულტურულ-პოლიტიკურ ცენტრებს (ადს).

გეოლოგების ყრილობა

ტაშკენტი, 28 სექტემბერი. გეოლოგების საკავშირო ყრილობის მუშაობა დამთავრდა. მეორე ყრილობის მოწვევა გადაწყდა ურალში 1930 წელს. (ადს)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გაფიცვების ტალღა იზრდება

მოსკოვი, 28 სექტემბერი. გაზეთ „პრავდა"-ს პარიზელი კორესპონდენტი **გაბრიელ პერი** იტყობინება:

გაფიცულ ჩრდილოეთ საფრანგეთის ფეიქრებს შეუერთდა ორი დიდი საფეიქრო ფაბრიკა ფირმა „ლომმე" და „ანვენტერიეს" მუშები. უკმაყოფილება ფეიქართა შორის ქალაქ ლილში დღითი დღე უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. შეიძლება გადაწყვეტით ითქვას, რომ ქალაქ ლილის ფეიქრები შეუერთდებიან გაფიცულებს.

მორიგი გაწვევა მოსკოვში

მოსკოვი, 28 სექტემბერი. ამ დღეებში აქ შესდგა მოსკოვის ტერიტორიალურ ოლქის სამხედრო მუშაკთა თათბირი, რომელმაც განიხილა წითელ ჯარში მორიგ გაწვევის მსვლელობის საკითხები. როგორც თათბირზე გამოირკვა, გაწვევა დიდი წარმატებით მიმდინარეობს. ჯერ-ჯერობით უკვე გამოცხადებულია ახალ გაწვეულთა 95 პროცენტი. სამხედრო სამსახურისათვის გამოუსადეგარნი გასაწვევ ახალგაზრდებში წელს გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე წარსულ წლებში.

მეტროპოლიტენის პირველი ხაზი

მოსკოვი, 28 სექტემბერი. მოსკოვის საბჭოს დადგენილებით საბოლოოდ გადაწყვეტილია, მეტროპოლიტენის აგება დაიწყოს მომავალ 1929 წელს. პირველი ხაზი გაყვანილ იქნება 1929 წელშივე. მეტროპოლიტენის მატარებლები ივლიან 60 ვერსის სისწრაფით საათში.

სამუშაოების დაწყებისათვის უკვე გადადებულია 5 მილიონი მანეთი.

ცენტრალური რადიო-საბჭო

მოსკოვი, 28 სექტემბერი. ვინაიდან რადიო გადაცემისა და რადიო ტეხნიკის საქმე, იმ ანარქიის გამო, რომელიც გამეფებულია ამ დარგში, იწვევს დიდ დაბრკოლებებს რადიო მშენებლობის წარმატებით განვითარების გზაზე, ფოსტა- ტელეგრაფის კომისარიატმა შეიტანა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოში დადგენილების პროექტი იმის შესახებ, რომ მოწყობილ იქნას ცენტრალური საკავშირო რადიო საბჭო აღნიშნულ საბჭოს გადაეცემა ხელმძღვანელობა რადიოს ყველა მხარეებზე.

მოსკოვი— თბილისის ტელეფონის ხაზის გაუმჯობესება

მოსკოვი, 28 სექტემბერი. მოსკოვის საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგური ერთი კვირაა აწარმოებს ახალი მოწყობილობების გამოცდას მოსკოვი—თბილისის ტელეფონის ხაზზე. ახალი მოწყობილობა საშუალებას იძლევა ერთ და იმავე დროს ორივე მხრიდან სწარმოებდეს სამი სხვადასხვა საუბარი. ცდებმა კარგი ნაყოფი გამოიღო.

ამ დღეებში თბილისში გამოემგზავრებიან მოსკოვის ტელეგრაფის მუშაკები, რომელნიც დადგამენ ადგილობრივ აღნიშნულ მოწყობილობას.

რედაქტორების საკავშირო თათბირი

კამათი ამხ. ინგულოვის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 26 სექტემბერი. რედაქტორთა საკავშირო თათბირის 24 სექტემბრის სალამოს სხდომაზე წარმოებდა კამათი ამხ. ინგულოვის მოხსენების გარშემო. ორატორები ეხებოდნენ თვითკრიტიკის შემდგომი განვითარების საკითხებს, ამ მუშაობის დეფექტებს, გაზეთების რედაქციებისა და პარტიული კომიტეტების ურთიერთობის საკითხებს, მუშკორთა მოძრაობას, პრესის როლს და მის კადრებს და სხვ.

ლაზიანი

(ს.კ.პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტი)

ამხ. ლაზიანი ეხება თვითკრიტიკის საკითხს და პრესის როლს და ამბობს, რომ როდესაც თვითკრიტიკის დეფექტებთან დაკავშირებით ისმება კითხვა, თუ რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება: თვითკრიტიკის შემდგომ განვითარებას თუ ბრძოლას ამ მუშაობაში არსებულ შეცდომებთან, პასუხი ნათელია: მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს თვითკრიტიკის შემდგომ განვითარებას, ხოლო ეს უკვე გულისხმობს შეცდომების გამოსწორებას. უაზრობაა, როდესაც ლაპარაკობენ—პრესამ თვითკრიტიკის მონოპოლია ჩაიგდო ხელში. თვითკრიტიკა მთელი პროცესია, რომელიც სხვადასხვა კალაპოტში მიმდინარეობს. თუ იმას ლაპარაკობენ, რომ პრესა უკეთ ასრულებს ამ საქმეს, უნდა ვთქვათ, რომ პრესა ქების ღირსია, მხოლოდ შეიძლება იმის მოთხოვნა, რომ პრესა უფრო სწორად ატარებდეს ცხოვრებაში თვითკრიტიკის განვითარების ლოზუნგს.

სეფი

(თბილისი)

ამხანაგი სეფი დაწვრილებით ეხება მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცლების როლს თვითკრიტიკის შემდგომ განვითარებაში.

„ამ თათბირზე გამომგზავრების წინ—ამბობს ორატორი—მე გადავათვალიერე სხვადასხვა გაზეთების მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცლები და თვალში მეცა, რომ თვითკრიტიკის პირველ პერიოდში გაზეთებმა რამდენიმედ ფელეტონის ტონით დაიწყეს წერა თვითკრიტიკის საკითხებზე. შემდეგში კი საწინააღმდეგო მოვლენას ჰქონდა ადგილი: მასალას მშრალად და ფორმალურად ათავსებენ“. გზადაგზა ორატორი ეხება მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცლების რედაქციის საკითხს. ამხ. სეფი კატეგორიულად ილაშქრებს „ორი ხელისუფლების“ არსებობის წინააღმდეგ რედაქციაში. მისი აზრით, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელს ცალკე რედაქტორი არ უნდა ჰყავდეს.

„აგრეთვე საჭიროა—ამბობს შემდეგ ამხ. სეფი,—რომ მუშაობა თვითკრიტიკის გარშემო მარტო მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელზე არ ტარდებოდეს. ეს მუშაობა თანაბრად უნდა ნაწილდებოდეს სხვა განყოფილებებშიაც“.

ფილოვიცი

ამხ. ფილოვიცი ილაშქრებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცლებისათვის ცალკე რედაქტორების დანიშვნის წინააღმდეგ.

„თუ პრესა, ამბობს ის, სათანადოდ ვერ მუშაობს თვითკრიტიკის განვითარებისათვის, უნდა გამოიცვალოს რედაქციის მთელი შემადგენლობა. მაგრამ მგონია, რომ ასეთ მდგომარეობას ადგილი არა აქვს“.

ურიცკი

(მოსკოვი)

ამხ. ურიცკი ამბობს, რომ თვითკრიტიკის შევიწროვებაში თვით გაზეთებსაც მიუძღვის ბრალი.

„თუ ჩვენს იუწყებაში თვითკრიტიკის გარშემო მხოლოდ მიღებულ მასალებს დავემყარებით და არ დავრაზმავთ მასებს, მაშინ ჩვენს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები სწორი იქნება. თუ ჩვენი თვითკრიტიკა მხოლოდ სამეურნეო მუშაკების შეცდომების გამომჟღავნების ხაზს გაჰყვა, სამეურნეო მუშაკებმა შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება მიიღონ, რომ ჩვენ მათ წინააღმდეგ ლაშქრობა გამოვაცხადეთ. საკითხის შინაარსი თვითკრიტიკის ორგანიზაციით განისაზღვრება“.

ივანოვ-გრამენი

(მოსკოვი)

ამხ. ივანოვ-გრამენი თავის სიტყვაში უმთავრესად ეხება გაზეთის მუშაკთა კადრების საკითხს. უპარტიო ჟურნალისტების უდიდესი უმრავლესობის, და აგრეთვე გადაგვარებული პარტიელების ნაწილის ძირითად ნაკლად ამხ. გრამენს მიაჩნია სრული აპოლიტიურობა და ბიუროკრატების წინაშე მლიქვნელობა.

ამ მტკივნეულ მოვლენებს ამხ. გრამენი იმით ხსნის, რომ სრულებით არ არსებობს ჟურნალისტთა საზოგადოებრიობა. ჟურნალისტის შრომა არის იმ კაცის შრომა, რომელიც კოლექტივთან არ არის დაკავშირებული. ამხ. გრამენს მოჰყავს ცალკე საგზაო მუშაკების სრული გადაგვარების მაგალითები და კითხულობს, რით შეიძლება ვუწამლოთ ამას. ამ კითხვაზე ამხ. გრამენი თვითონ იძლევა პასუხს:

„უწინარეს ყოვლისა საჭიროა კომუნისტური კადრების გაძლიერება, მაგრამ მარტო ეს საკმაო არ არის. აგრეთვე ფართოდ უნდა დავაყენოთ მუშაობა ეხლანდელი კადრების აღსაზრდელად, უნდა შევქმნათ ჟურნალისტთა საზოგადოებრიობა, უნდა გამოვიყვანოთ ჟურნალისტები ბოგემის ჭაობიდან, უნდა ჩავატაროთ ფართო მუშაობა კლუბებში, ბეჭდვითი სიტყვის სახლებში, გაზეთების უჯრედებში.

ზბინევიჩი

(ნიჟნი-ნოვგოროდი)

ამხანაგი ზბინევიჩი ეხება საკითხს რედაქციის, კერძოდ რედაქტორის ხვედრითი წონის შესახებ ჩვენს საზოგადოებრიობაში. საშიშ სიმპტომს ის წარმოადგენს, რომ რედაქტორების 50 პროცენტი პარტიულ კომიტეტებშიაც კი არ შედის. ბევრი რედაქტორი სრულებით მოწყვეტილია პარტიულ მასას და პარტიულ საზოგადოებრიობას. გამოსავალს ამხ. ზბინევიჩი რედაქციის აპარატში მუშების რიცხვის გაძლიერებაში ხედავს, რისთვისაც, მისი აზრით, დაწინაურებული უნდა იქნენ ნიჭიერი მუშაკები მუშკორთა კადრებიდან.

გარინი

(უკრაინა)

ამხანაგი გარინი ლაპარაკობს ნაციონალური პრესის შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენი პრესის ცენტრალური ორგანოები, მათ შორის „პრავდა“ საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ნაციონალური და კულტურული მშენებლობის საკითხებს და ნაციონალური პრესის ზრდას. ნაციონალურ პრესას ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწიოს.

დექტიარევი

(წითელი არმია)

ამხანაგი დექტიარევი ეხება იმ დეფექტებს, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მომზადების საქმეში. ჩვენი პრესა სრულებით არ ეხება მასიური სამხედრო მუშაობის მრავალ საკითხს.

მოსკოვი, 24 სექტემბერი. 25 სექტემბრის დილისა და სალამოს სხდომებზე გაგრძელდა კამათი ამხ. ინგულოვის მოხსენების გამო.

ზაქს-გლადნევი

(საკავშირო დეპეშათა სააგენტო)

აქ ბევრი ილაპარაკეს საკავშირო დეპეშათა სააგენტოს შესახებ. მე ვეცდები, თავაზიანობის წესის თანახმად, შევეხო გაზეთის თვითკრიტიკას. აქ უვარგისად ჩასთვალეს უცხოეთის საფოსტო ინფორმაცია, რომელიც ამავე თათბირზე ძალიან შეაქო ფელიქს კონმა. ამ საქმის გამო მე წერილები გაუგზავნე გაზეთების ყველა რედაქტორს და ვთხოვე აღენიშნათ, თუ რა ცვლილებანი იყო საჭირო საფოსტო ინფორმაციის გასაუმჯობესებლად, მაგრამ არც ერთი რედაქციისაგან პასუხი არ მიმიღია. ამ საქმეში თავი იჩინა ჩვენი აპარატის ინერციამ. ჩვენი გაზეთების მეორე ნაკლი ის არის, რომ ხმას არ იღებენ საბჭოთა სხვა გაზეთების მუშაობის შესახებ. აი, მაგალითად, „კრასნაია ზვეზდას“ კვირინდელი ნომრის სენსაციური ცნობა ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულების შინაარსის შესახებ. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს უცხოეთის განყოფილებამ ეს ცნობა უცხოეთის სააგენტოების საშუალებით მიაწოდა მსოფლიოს ყველა გაზეთს. ბერლინიდან და სხვა ადგილებიდან იუწყებიან, თუ რა გამოხმაურება ჰპოვა ამ ცნობამ, ხოლო მოსკოვის გაზეთებიდან მხოლოდ „იზვესტია“-მ მოათავსა ამ სენსაციის შინაარსი და აღნიშნა წყარო. „ვეჩერნიაია მოსკვა“-მ დაბეჭდა ცნობა მხილების შესახებ, მაგრამ, ბურჟუაზიული პრესის ტრადიციების მსგავსად, წყარო არ აღნიშნა.

შემდეგ ძალიან ცუდია, რომ გაზეთებს არა აქვთ პრესის მიმოხილვა, სადაც მარტო ციტატები კი არ იქნება მოყვანილი, არამედ რამდენამდე ურთიერთის თვითკრიტიკაც.

ტუმარკინი

(ურალი)

აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში შენიშნულია საზღვრის გავლების ცდა ძირიდან წარმოებულ კრიტიკისა და პროფესიონალური მწერლების კრიტიკას შორის, როგორც ამბობენ ზოგიერთი მუშაკები.

კიკნაძე

(თბილისი)

წინადადებას იძლევა, უფრო ხშირად იმართებოდეს რედაქტორების თათბირი, ამასთან უფრო ფართო შემადგენლობით.

კასიმი

(უზბეკისტანი)

აცხადებს, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა ეროვნულ პრესას. შემცდარია იმის მტკიცება, რომ ეროვნული გაზეთების ტირაჟის სტაბილიზაცია მოხდაო. ბევრმა ხელმძღვანელმა გლეხურმა გაზეთებმა თავისი ტირაჟი 5-ჯერ და მეტადაც გაადიდა. ტირაჟის შემდგომ ზრდას აბრკოლებს მეტის-მეტად უვარგისი საფოსტო კავშირი. ეროვნულ ოლქებში ბევრი ისეთი დასახლებული პუნქტია, რომელთანაც არავითარი საფოსტო კავშირი არ არსებობს.

ამხ. ბუბნოვი

სამხედრო პრესა ამჟამად წარმოადგენს მცირერიცხოვან, მაგრამ მჭიდროდ შეკავშირებულ რაზმს, რომელიც შედის ჩვენი კავშირის პარტიულ-საბჭოთა პრესის შემადგენლობაში. ჩვენ გვაქვს ერთი ცენტრალური სამხედრო გაზეთი, დაახლოებით ოცამდე წითელარმიული გაზეთი, 5 ჟურნალი, ახკორების არმია, 50.000 კაცით და, ბოლოს, ჩვენ გვაქვს როტებისა და პოლკების გაზეთების — დაახლოებით 6.000 — ფალანგა. ჩვენი პრესის ამ ქსელში ყოველდღე გაივლის დაახლოებით—1.500.000 კორესპონდენცია. ეს იმას მოწმობს, რომ სამხედრო პრესა ამჟამად გადაიქცა არა მარტო „საუწყებო ხასიათის“ რიგიანად მომქმედ ინსტრუმენტად, არამედ არმიისა და თავდაცვის მშენებლობაში მასების ჩამბმელ და საკმაოდ წესიერად მომუშავე იარაღად. სამხედრო პრესას ჩვენ არ ვაშორებთ ჩვენს საერთო პარტიულ-საბჭოთა პრესას. ამის გამო ყველა ის საკითხი, რომელიც თქვენ გხვდებათ, სამხედრო პრესის წინაშეც სდგას, ზოგჯერ უფრო მწვავე ფორმით, ვიდრე საერთო პრესის წინაშე.

უკანასკნელ ნახევარ წელიწადს ბევრი სიძნელე შეგვხვდა. ეს სიძნელეები დაკავშირებული იყო ორ მთავარ ფაქტთან — პურის დამზადებასთან და შახტის საქმესთან. თუ ვიკითხავთ — თუ როგორ გაუძლო სამხედრო პრესამ იმ საკითხებს, რომლებიც წამოიჭრნენ უკანასკნელი ნახევარი წელიწადს, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სამხედრო პრესამ ამ სიძნელეებს, მეტი რომ არა ვსთქვათ, დამაკმაყოფილებლად მაინც გაუძლო. თვითკრიტიკის საკითხი წითელ არმიასა და სამხედრო პრესასაც ეხება. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვეძლო გვეთქვა: არმია სულ სხვანაირი ორგანიზმია და თქვენი თვითკრიტიკა მას მოაშორეთო. ეს დიდი შეცდომა იქნებოდა. არც ჩვენს პარტორგანიზაციებში, არც ჩვენს პოლიტშემადგენლობაში, არც ჩვენს მეთაურთა შემადგენლობაში არ გამოჩნდება არც ერთი რამოდენიმედ მაინც შესამჩნევი ჯგუფი, რომ ამ თვალსაზრისისათვის „გადაეხვია“. ჩემს დირექტივაში, რომელიც მე ივნისში დავგზავნე თვითკრიტიკის საკითხის შესახებ, ჩვენი შეხედულების დედა-აზრი ამ სიტყვებით ჩამოვაყალიბე: „შეცდომად უნდა ჩაითვალოს ყოველგვარი ცდა იმის შესახებ, რომ არმია დაცულ იქნას თვითკრიტიკის ზეგავლენისაგან“. ტყუილად ფიქრობენ, რომ არმიას სარბიელი არა ჰქონდეს თვითკრიტიკისათვის: არმიას აქვს პლაცდარმები საკმაოდ დიდი რიცხვი, სადაც თვითკრიტიკას შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა.

ეს არის ჯერ ერთი ჩვენი პარტორგანიზაცია, რომელიც დიდ როლს თამაშობს არმიის ცხოვრებაში; მეორე—არმიის კომკავშირული ორგანიზაცია, რომელიც ახლა არმიის მთელი შინაური ცხოვრების ფაქტიურად სერიოზული ფაქტორად გადაიქცა; მესამე—წითელი არმიის კონფერენციები. რასაკვირველია, თვითკრიტიკა პარტიული ორგანიზაციის შიგნით თემებითა და სიფართოვით განსხვავდება იმისაგან, რაც შესაძლებელია უპარტიო კონფერენციაზე. რასაკვირველია, არმიაში, პირველ-კომკავშირი უნდა წარმოადგენდნენ თვითკრიტიკის სარგებლის და მისი სწორე გამოყენების ნიმუშს. მაგრამ შემცდარი იქნებოდა იმის თქმა, რომ ჩვენ რომელიმე ზემოთ დასახელებული ორგანიზაცია შეგვიძლია გავანთავისუფლოთ თვითკრიტიკის ზემოქმედებისაგან.

რა წარმოადგენს სამხედრო პრესის თვითკრიტიკის ობიექტს? წითელი არმიის გაზეთების მიზანში ამოღებული აქვთ სხვადასხვა მოვლენა, რომლებსაც შეგვიძლია გავუკეთოთ ერთი სათაური: ბიუროკრატიული დამახინჯებანი სამხედრო აპარატში და არმიის ცხოვრებაში. გაზეთები ებრძვიან სამხკორების დევნას, ამხილებენ ბიუროკრატიულ „უარყოფას“ და სხვადასხვა. შიგა და შიგ გვხვდება გადაჭარბება იმ მხრით, რომ მეთაურთა შემადგენლობას უსაფუძვლო ბრალს სდებენ ხოლმე, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ საქმეში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მიუხედავათ იმისა, რომ თვითკრიტიკის განვითარების საქმე ჩვენში ამჟამად შეფერხებულია, ჩვენი სამხედრო პრესა სწორედ იმით განირჩევა, რომ თვითკრიტიკის გატარების საქმეში მას პირველი ადგილი უჭირავს. ამასთან სამხედრო პრესას არა მარტო პირველი ადგილი უჭირავს, არამედ—ეს უნდა აღინიშნოს,—მის საკმაოდ თამამ და პოლიტიკურად გონიერ მუშაობას უნდა მიეწეროს ის, რომ სხვადასხვა დივიზიებმა და პოლკებმა და თვით საოლქო სარდლობამ მოგვცეს მთელი რიგი სავსებით სწორი მითითებისა, რომლებიც არა მარტო დახმარებას უწევენ პრესას თვითკრიტიკის საქმეში, არამედ აადვილებენ ამ საქმეს და ხელს უწყობენ საქმიანი კრიტიკის საერთო განვითარებას ჯარში.

მე ვთქვი, რომ ჩვენ გვაქვს სამხკორების ძლიერი ქსელი. ამას უნდა დავუმატოთ, რომ თვითკრიტიკის საქმეში ჩვენი სამხკორები გამოცდას დამაკმაყოფილებლად აბარებენ. მოვიყვან მხოლოდ ერთს მაგალითს. ბელორუსიის ოლქის გაზეთმა „კრასნოარმეისკაია პრავდა“-მ ჩაატარა თავისი სამხკორების მიერ უკანასკნელი თვეების განმავლობაში წარმოებული მუშაობის შემოწმება. შედეგები ასეთია: 816 შენიშვნიდან 805 შენიშვნა გამართლდა, 88—გამართლდა ნაწილობრივად, 135 შენიშვნისათვის საჭიროა დამატებითი გამოკვლევა და მხოლოდ 105 შენიშვნა (დაახლოებით 13 პროცენტი) არ გამართლდა.

კიდევ შენიშვნების „უარყოფის“ შესახებ. მე მგონია, შენიშვნების უარყოფას ჩვენ სხვადასხვა შემთხვევებში ერთნაირად ვერ მივუდგებით. არის შენიშვნების გამაბათილებელი წერილები, რომლებიც უნდა დაიბეჭდოს, არის ისეთები, რომლებიც არ უნდა დაიბეჭდოს და არის ისეთები, რომლებისთვისაც დამნაშავე ც. საკონტროლო კომისიას უნდა გადაეცეს (ტაში).

მეორე საკითხი, რომელიც მე მინდა გავაშუქო, არის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უყურებთ თქვენ, საერთო პრესა, თქვენს მიმდინარე მუშაობაში სამხედრო მშენებლობის საკითხებს და თავდაცვის უფრო ფართო საკითხებს. პრესა უკვე შეეჩვია არმიის ცხოვრების ისეთი მხარეების გაშუქებას, როგორიცაა მანევრები, და დამაკმაყოფილებლად ატარებს თავდაცვის კვირეულთან დაკავშირებულ კამპანიებს და სხვ. მაგრამ ჯერ კიდევ კარგად არ არის მოგვარებული თავდაცვის საკითხების გაშუქების საქმე საერთოდ, ვერ ახერხებენ ამ საკითხების დაკავშირებას ყოველდღიურ სოციალისტურ მშენებლობასთან და პირიქით.

ნება მომეცით მოკლედ შევჩერდე ზოგიერთ ნაკლზე, რომელსაც ადგილი აქვს ზოგიერთი სამხედრო საკითხების გაშუქების დროს ჩვენს პრესაში. ჩვენი საგაზეთო მუშაკები ჯეროვნად არ აფასებენ იმის საფრთხეს. ამ „სულიკვეთებას“ ბოლო უნდა მოეღოს, თავის დროზე ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევდით სამხედრო ტეხნიკის საკითხების არასისწორით გაშუქებას. ამჟამად ეს წარსულს ჩაბარდა, მაგრამ აქა-იქ რეციდივებს მაინც აქვს ადგილი. მათ ბოლო უნდა მოვუღოთ.

წითელი არმია, რომელიც იმისათვის დანიშნულია სამხედრო ორგანიზაციაა, იმავე დროს აწარმოებს დიდს,—ეს არ არის გადამეტება,—პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობას ჩვენს ქვეყანაში მუშებსა და გლეხებს შორის. მოახდინეთ აღრიცხვა, თუ ვინ ზის ჩვენი კულტურული ფრონტის ისეთ მნიშვნელოვან ადგილებზე, როგორც არის ქოხ-სამკითხველო, კოოპერაცია და სხვ. აქ თქვენ დაინახავთ მრავალ წითელ არმიელს უმეტეს მეთაურთა შემადგენლობიდან. მე არას ვამბობ ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებზე, რომლებიც, როგორც სოფელთან და ქარხანასთან დაკავშირებულნი, თვალსაჩინო მუშაობას აწარმოებენ სოციალისტური განათლების დარგში. წითელი არმიის ეს როლი ცუდად შუქდება. წითელი არმია უდიდესი კულტურულ-პოლიტიკური ძალაა.

რაც უფრო მეტად გავაშუქებთ ჩვენ შეიარაღებულ ძალთა მუშაობის ამ მხარეს, მით უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებენ იმისათვის, რომ გააძლიერონ მოვალეო ყალბი წარმოდგენა ჩვენს წითელ არმიაზე. მთელი ეს ლაპარაკი „წითელი მილიტარიზმის შესახებ“ არის არა მარტო ჩვენს წინააღმდეგ მიმართული ცილისწამება იმპერიალიზმის გამობრძმედილ მსახურთა მხრივ, არამედ ის იარაღი, რომელიც სოც.-დემოკრატების იმპერიალისტური ბურჟუაზიის ლაქიების ხელში წარმოადგენს მუშათა მასების გამბრუებელ საშუალებას, ყოველივე ეს მთლიანად შედის იმაში, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებას, ვინაიდან რაც უფრო ფართოდ, ყოველმხრივად, ნათლად, ცოცხლად, კონკრეტულად, დეტალურად და საინტერესოდ იქნება გაშუქებული ჩვენი გაზეთების ფურცლებზე ის დიდი კულტურულ-პოლიტიკური როლი, რომელსაც თამაშობს წითელი არმია, მით უფრო მტკიცე იქნება მშვიდობიანობის საქმე, მით უფრო მტკიცე იქნება ჩვენი თავდაცვა.

დასასრულ, ნება მომეცით, გისურვოთ სამი რამ: პირველი — მხურვალედ ვუსურვებ წარმატებას ჩვენი თათბირის მუშაობას, რომელმაც უფრო მეტად უნდა განამტკიცოს ჩვენი პრესა აგიტატორის, პროპაგანდისტის, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორის პოსტზე. მეორე — ნება მომეცით ვისურვო, რომ ჩვენი თათბირით მოგვს სამხედრო საქმეს და რომ თათბირის შემდეგ თქვენ უფრო ხელჩართულად და უფრო მტკიცედ შესდგომოდეთ არმიისა და თავდაცვის საკითხების გაშუქებას. მესამე — მე არა ერთხელ მილაპარაკია იმის შესახებ, რომ საბჭოთა ჟურნალისტებს შორის არიან „ივანები, რომლებთაც არ ახსოვთ“ თავიანთი ნათესაობა წითელ არმიასთან, ნება მომეცით ვისურვო, რომ მათ გაიხსენებინოთ თავიანთი ნათესაობა სამხედრო საქმესთან და კვლავ შეუწყონოთ ხელი თავიანთ კალამი არმიისა და თავდაცვის საქმისათვის არა მარტო დიდი პრესის ფურცლებზე — ჩვენ პატარა ღარიბ სამხედრო გაზეთებშიც. თუ ჩვენ დაგვეხმარებით ამ საქმეში—სამხედრო პრესა და წითელი არმია გეტყვით წითელ არმიის მადლობას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს სხვა გაზეთის რედაქტორებმა, მათ შორის რადეკოვმა (სტალინო), რუბინშტეინმა (ყაზანი), შუკოვიჩმა (ბელორუსია), პიროგოვმა (ტულა), მაკარევმა (როსტოვი დონზე), გორშკოვმა (იაროსლავლი). დიდი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ამხ. კრინიცკიმ. შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ინგულოვმა.

—:—

ამხ. ინგულოვის საბოლოო სიტყვას მოვათავსებთ შემდეგ ნომერში.

ამხ. ენუქიძის სიტყვა

მოსკოვი, 28 სექტემბერი. რედაქტორების სრ. საკავშირო თათბირის 24 სექტემბრის სალამოს სხდომაზე გამოსულმა ამხ. ენუქიძემ განაცხადა:

„საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა მომანდო, ვისარგებლო ჩვენი საბჭოთა და პარტიული პრესის ავტორიტეტულ წარმომადგენელთა თათბირით და წამოვაყენო მომავალ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი. მე სიტყვას არ გავაგრძელებ არც პრესის როლზე, არც საერთო პოლიტიკურ ამოცანებზე, ვინაიდან მეტია განმეორება იმისა, რაც თქვენ კარგად იცით, მხოლოდ უნდა აღვნიშნო, რომ საბჭოების მომავალ გადარჩევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეს გადარჩევა ხდება უფრო გვიან, ვიდრე წინა წლებში ხდებოდა, ე. ი. ფაქტიურად საარჩევნო კამპანიას ვიწყებთ უკანასკნელი საარჩევნო კამპანიიდან (1927 წელს) ორი წლის განვლის შემდეგ. ამ ორ წელიწადში მოხდა უდიდესი პოლიტიკური და, განსაკუთრებით, ეკონომიური ხასიათის მოვლენები. ამ მოვლენებმა, რასაკვირველია, თავიანთი დაღი დაასვეს ამომრჩეველთა მასების განწყობილებას. ჩვენს ქვეყანაში ეჭვი არ არის, ადგილი აქვს ჩვენი მეურნეობის ყველა დარგის—მათ შორის სოფლის მეურნეობის—ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ზრდის გამო, მუშურ-გლეხური მასების კეთილმოწყობა იმატა, მაინც, იმ პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომელსაც ჩვენ სოფლის მიმართ ვაწარმოებთ, ბოლო დროს გამწვავდა გლეხობის ერთი ნაწილის სულიერი განწყობილება, და ეს, რასაკვირველია, თავის გავლენას მოახდენს როგორც საარჩევნო კამპანიის მსვლელობაზე, ისე მის შედეგებზე. ჩვენმა პოლიტიკამ ზურგი აუწვა კულაკურ და ანტისაბჭოთა ელემენტებს და გაამახვილა ბრძოლა საშუალო გლეხობაზე გავლენის მოსაპოვებლად. ერთის სიტყვით, ბრძოლამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო.

პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა არსებითად ისეთივე რჩება ამ საარჩევნო კამპანიაში, როგორიც იყო ეს პოლიტიკა 1927 წელს. ამ მხრივ არ ვფიქრობთ შევიტანოთ ახალი რამ ჩვენს პოლიტიკაში სოფლის ან ქალაქის ამა თუ იმ ფენების მიმართ. მხოლოდ ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე წინად, ანგარიში უნდა გაუწიოთ ყველა იმ ტეხნიკურ და ორგანიზაციულ ნაკლს, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინად, და, კერძოდ, 1927 წელს. მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ, ძველი პოლიტიკის სისწორით გატარებასთან ერთად, თავიდან ავიცილოთ დეფექტები. ამ დეფექტების დაძლევაში მთავარ როლს, რაღა თქმა უნდა, ჩვენი პარტიული და საბჭოთა პრესა შეასრულებს. ჩვენ სასურველად მიგვაჩნია, რომ წელს მომავალ არჩევნებში პრესამ საკითხი საარჩევნო კამპანიის შესახებ დააყენოს ყველა პოლიტიკურ საკითხზე წინ როგორც საარჩევნო კამპანიის, ისე, განსაკუთრებით, საანგარიშო კამპანიის დროს. საანგარიშო საარჩევნო კამპანია წელს მთელ კავშირში განზრახულია დეკემბერში. დრო ცოტა რჩება, თუ, განსაკუთრებით, მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დეკემბერში უნდა მოხდეს ზოგიერთი სხვა მასიური კამპანიაც (კოლხელშეკრულებათა კამპანია, პურის დამზადება და სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.) ამიტომ ჩვენ ვთხოვთ პრესას, რომ ამ ხნის განმავლობაში თავისი მთავარი ყურადღება მიაქციოს და თავის ორგანოების ფურცლებზე მთავარი ადგილი დაუთმოს საარჩევნო და საანგარიშო კამპანიებს. იმ ორგანოებმა, მაგალითად, რომლებიც ვერ შესძლებენ საკავშირო მთავრობის მოკლე ანგარიშის მთლიანად მოთავსებას, ის მაინც უნდა მოახერხონ, რომ თავიანთ მკითხველებს მიაწოდონ ამ ანგარიშიდან ამოღებული ადგილები ცალკე დარგების მოქმედების შესახებ, ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მთავარი როლი უნდა ითამაშოს ცენტრალურმა პრესამ მაგრამ ადგილებზედაც, სადაც მეტ წილად გაერთიანებული საბჭოთა და პარტიული ორგანოები გვაქვს, ყველა ჩვენმა გაზეთმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, რომ არჩევნების საკითხებს ყოველმხრივად მოუდგეს.

ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს, პრესის ყურადღება მივაქციოთ შემდეგ საკითხებს, რომლებიც მეტად მნიშვნელოვან საკითხებად მოგვაჩნია. ეს საკითხები უფრო ეხებიან საორგანიზაციო დარგს, ვიდრე პრინციპიალურ-პოლიტიკურ მხარეს. პრესამ უნდა დასვას საკითხი ადგილობრივი საბჭოების და დეპუტატების მიერ სრული ანგარიშების ჩატარების შესახებ—მათ თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშები უნდა წარუდგინონ მუშათა და გლეხთა მასებს.

შემდეგ, საჭიროა პრესამ შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც ყოველ მშრომელს შესაძლებლობას მისცემს თავისი საარჩევნო უფლებების განხორციელებისა. ჩვენ ვთხოვთ აგრეთვე პრესას, გააშუქოს თავისი ორგანოების ფურცლებზე საკითხი მოჯამაგირეების კავშირის უღარიბეს გლეხობასთან. მთელი ჩვენი ყურადღება არჩევნების დროს მიქცეული უნდა იყოს იქითკენ, რომ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით ხელი შეუწყოთ მოჯამაგირეების და უღარიბეს გლეხობის ერთსულოვნებას და მათი კავშირის განმტკიცებას საშუალო გლეხობასთან კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტების მოსაგერიებლად. ამას გარდა, საჭიროა პრესამ ფართოდ გააშუქოს საკითხები კოოპერატიული, პროფესიონალური და სახელმწიფო მშენებლობის მთავარი დარგების შესახებ. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს არჩევნების დროს ჩამორჩენილ ეროვნებათა აქტივობის ამაღლებას, დასასრულ, პრესა უნდა ეცადოს რაც შეიძლება ფართოდ ჩააბას საარჩევნო კამპანიაში ქალები; მანვე ხელი უნდა შეუწყოს მუშა ქალების, გლეხი ქალების და უპარტიო აქტივის დაწინაურებას საბჭოთა საპასუხისმგებლო სამუშაოზე.

აი ის ძირითადი საკითხები, რომლების დასმა განვიზრახე თქვენს წინაშე. ვიმეორებ, ეს საკითხები ჩვენთვის ახალი არ არის. მაგრამ ეს საკითხები, ალბად, აისახებიან იმ დადგენილებებში, რომლებსაც თქვენ ამ თათბირის შემდეგ მიიღებთ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მთელი საარჩევნო კამპანია ფართოდ იქნება გაშუქებული პრესაში“.

ამხ. ულიანოვას მოხსენება

მოსკოვი, 27 სექტემბერი. 26 სექტემბრის დილის სხდომაზე რედაქტორების თათბირმა მოისმინა ამხ. ულიანოვას მოხსენება—„მუშ-სოფკორული მოძრაობის ხელმძღვანელობის საკითხები“.

მოხსენებამ გამოიწვია დიდი კამათი, რომელიც გაგრძელდა მთელი დილის სხდომის განმავლობაში.

სალამოს სხდომაზე დამთავრდა კამათი ამხ. ულიანოვას მოხსენების გარშემო და თათბირმა მოისმინა ამხ. ულიანოვას საბოლოო სიტყვა.

შემდეგ თათბირი გაიყო ორ სექციად—პრესის მუშაკთა მომზადების სექცია და საორგანიზაციო-სამეურნეო საკითხების სექცია. პირველმა სექციამ მოისმინა ამხ. მურავეისკის მოხსენება პრესის მუშაკთა მომზადების და გადამზადების შესახებ. მეორე სექციამ მოისმინა ამხ. მინკინის მოხსენება პრესის საქმეთა კომიტეტის მუშაობის შესახებ.

თათბირის დახურვა

მოსკოვი, 28 სექტემბერი. 27 სექტემბერს დილით რედაქტორთა სრულიად საკავშირო თათბირზე გაგრძელდა სექციების მუშაობა. დღის პირველ საათამდე მუშაობდნენ კომისიები რეზოლიუციების გამოსამუშავებლად ძირითად მოხსენებების შესახებ. დღის პირველ საათზე ამხ. კრინიცკის თავმჯდომარეობით დაიწყო საბოლოო პლენარული სხდომა. პირველად თათბირმა მოისმინა გოლდენბერგის (ფინანსთა სახკომი) მოკლე ცნობა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გავრცელების კამპანიის მსვლელობის შესახებ.

თათბირმა მიიღო გოლდენბერგის მოხსენება ცნობად და შეუდგა კომისიების მოკლე მოხსენებათა მოსმენას.

ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია ამხ. მოლოტოვის ძირითადი მოხსენების შესახებ. შემდეგ მცირეოდენი შესწორებებით და ცვლილებებით მიღებულ იქნა რეზოლიუციები ამხ. ინგულოვის, ულიანოვასი და მურავეისკის მოხსენებების შესახებ.

საორგანიზაციო-სამეურნეო საკითხების გამო თათბირმა გადასწყვიტა შექმნას კომისია სხვადასხვა წინადადებების გამოსამუშავებლად გაზეთების სამეურნეო მდგომარეობის გამოუმჯობესების დარგში.

თათბირი დაიხურა ამხ. კრინიცკის მოკლე საბოლოო სიტყვის შემდეგ. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ნოტა საფრანგეთისადმი

პარიზი, 28 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „გარეშე საქმეთა სამინისტრომ დღეს 12 საათსა და 30 წუთზე მიიღო შეერთებული შტატების მთავრობის ნოტა ინგლის-საფრანგეთის საზღვაო კომპრომისის შესახებ ვინაიდან დოკუმენტი საკმაოდ ვრცელია, ის ალბად ხვალ დილით გამოქვეყნდება. (ადს).

თათბირი პოლონეთის კონსტიტუციის შეცვლის შესახებ

ვარშავა, 28 სექტემბერი. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „რობოტნიკ“-ი იუწყება, რომ მთავრობასთან თანამშრომლობის უპარტიო ბლოკმა მოიწვია თათბირი პოლონეთის კონსტიტუციის შეცვლის შესახებ. თათბირში მონაწილეობა მიიღეს იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა ცარმა, დეპუტატმა კოსციალკოვსკიმ, გარეშე საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების უფროსმა გოლოვკომ, დეპუტატმა იან პილსუდსკიმ (პილსუდსკის ძმა), თავადმა რაძივილმა და სხვებმა. თათბირზე განხილული გეგმები მოითხოვენ დემოკრატიული ინსტიტუტების გაუქმებას და პარლამენტისათვის ყოველი უფლების ჩამორთმევას (ადს).

ვოლოშინსკის წერილი ვოევოდა იუზეფსკის სიტყვის შესახებ

ვარშავა, 28 სექტემბერი. მთავრობასთან თანამშრომლობის უპარტიო ბლოკის დეპუტატმა ვოლოშინსკიმ, რომელიც თავმჯდომარეობდა დეპუტატებისა და სენატორების იმ კრებას, რომელზედაც თავისი ცნობილი სიტყვა წარმოსთქვა ვოლინიის ვოევოდამ იუზეფსკიმ, ოფიციოზ „გლოს პრავდი“-ში მოათავსა წერილი. ეს წერილი უარყოფს პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობას იუზეფსკის სიტყვის შესახებ. ვოლოშინსკი ეკამათება „გაზეტა ვარშავსკა“-ს, რომელმაც იუზეფსკის სიტყვა დაჰგმო, და სწერს: „ჩემს მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ ვოევოდას მთელი სიტყვა კრებამ კმაყოფილებით მიიღო და იმ დეპუტატებმა და სენატორებმა, რომლებიც ვოევოდას შემდეგ გამოვიდნენ, მხარი დაუჭირეს მას“. (ადს).

ყუმბარები მელბურნში

ლონდონი, 28 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო მელბურნიდან იუწყება: „დღეს სანაოსნო კამპანიების ორი თავმჯდომარის ბინებზე შეაგდეს ყუმბარები. ყუმბარებმა მხოლოდ შენობები დააზიანეს. ბინადართაგან არავინ დაზარალებულა“ (ადს).

„ელ პროგრესის“ რედაქტორი გაანთავისუფლეს

პარიზი, 27 სექტემბერი. ბარსელონიდან იუწყებიან: გაანთავისუფლეს გაზეთ „ელ პროგრესის“ რედაქტორი და სხვა პირები, რომლებიც დაპატიმრებულნი იყვნენ ახალ-ახალ აღმოჩენილ შეთქმულებასთან დაკავშირებით.

ვინერ-ნეიშტადტის დემონსტრაციების მოწყობის გარშემო

ვენა, 28 სექტემბერი. ქალაქ ვინერნეიშტადტის პოლიციამ აკრძალა ავსტრიის კომპარტიის მიერ 7 ოქტომბრისათვის დანიშნული დემონსტრაცია, ქვემო ავსტრიის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის და „შუცბუნდის“ („რესპუბლიკანური თავდაცვის კავშირი“, რომელსაც სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობენ) წარმომადგენლებმა მთავრობას წარუდგინეს 7 ოქტომბრისათვის დანიშნული მსვლელობის გეგმა. სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ, რომ მსვლელობისათვის მათ მიეცეთ ქალაქის ცენტრი, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება პოლიცია, რომელიც მოითხოვს, რომ ან სრულებით აკრძალოს სოციალ-დემოკრატიული დემონსტრაცია, ან სოციალ-დემოკრატებსა და ფაშისტებს სხვადასხვა რაიონში. (ადს).

სტუდენტთა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის საქმე

დონის როსტოვი, 28 სექტემბერი. ოქტომბერში საოლქო სასამართლოში დაიწყება ყუბანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის საქმის გარჩევა. ორგანიზაციას მეთაურობდნენ მღვდლების, ყოფილი ოფიცრების და მოხელეების შვილები. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოების მოსპობას, საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და იმ პოლიტიკური პარტიების ლეგალიზაციას, რომლებიც ძველ დროს არსებობდნენ. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე ორგანიზაციამ გამოუშვა დიდძალი ანტისაბჭოთა ფურცლები. ვინაიდან ფურცლების გამოშვებამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო, ორგანიზაციამ გადასწყვიტა დინამიტსა და ყუმბარებზე გადასვლა. ორგანიზაციას განზრახული ჰქონდა აეფეთქებია პარტიის შენობა, რკინის გზის ხიდი და მოეკლა ორგანიზაციისათვის საშიში პიროვნება—წინაიდა კრილოვა, რომელმაც იცოდა ორგანიზაციის არსებობა. კრილოვის ქალი ხიდიდან მდინარე ყუბანში გადააგდეს.

საბრალმდებლო სკამზე ზის 22 კაცი (ადს).

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას IV პლენუმი

კამათი ამხ. პუშენიცინის მოხსენების გამო

27 სექტემბრის სალამოს სხდომა

27 სექტემბერს დილით პლენუმს არ უმუშავია. სალამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. პუშენიცინის მოხსენების გამო. ამ სხდომაზე პირველად გამოვიდა ამხ. არუთინოვი.

ამხ. არუთინოვი

სოფლის მეურნეობის ამაღლებისა და ინტენსიფიკაციის პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსავლიანობის აწევასთან, პირველ რიგში—მარცვლეულისა და ტეხნიკური კულტურების მოსავლიანობის აწევასთან. საჭიროა მივმართოთ ყოველ ღონეს, რომ ეს პრობლემა ახლო მომავალში გადავწყვიტოთ. თესვის მახლობელი კამპანიის დროს მანქანების მიწოდების საქმე, ისე უნდა მოვაგვაროთ, რომ მრავალი რაიონიდან სრულებით განვდევნოთ დღემდე იქ გაბატონებული ხის კავი და სახნისი. ეს ღონისძიებები და მიწათსარგებლობის ახალი აგრიკულტურული ფორმების შემოღება პარტორგანიზაციების ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას უნდა შეადგენდეს ადგილებზე. სოფლის მეურნეობაში მთელ ყურადღებას დღემდე ვაქცევდით მიწათსარგებლობას და ვივიწყებდით მესაქონლეობას, რომელიც, თავის მხრივ, დიდ როლს თამაშობს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საქმეში. მესაქონლეობის რაიონებში ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს მესაქონლეთა ჩაბმა კოოპერაციაში. გარდა მერძევეობის დარგისა. ჯერ კიდევ არა გვაქვს მესაქონლეობის კოლექტიური მეურნეობები. საჭიროა ყველა ამას დიდი ყურადღება მიექცეს.

შემდეგ ამხ. არუთინოვმა, შეეხო რა მუშაობას ღარიბ გლეხებს შორის, აღნიშნა, რომ ადგილობრივ ჯერ კიდევ სისწორით ვერ შეითვისეს საქართველოს კომპარტიის ც. კ-ის დირექტივები; ამის შედეგად მოჰყვა ის, რომ ბევრ რაიონში ეს მუშაობა მხოლოდ ეხლა იწყება, ამ მუშაობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლასობრივი ხაზის გატარება, რასაც ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ, განსაკუთრებით იმ მაზრებში, სადაც ძალიან ძლიერია დიფერენციაცია და საგრძნობია შეძლებული გლეხების და კულაკური ელემენტების გავლენა, თუნდაც რელიგიურისა და ყოფა-ცხოვრების ჩაგვრის ხაზით.

ამხ. საკიანი

შეჩერდა უმთავრესად სამრეწველო საქონლის ფასების დაკლებისა და პროდუქტების თვითღირებულების შემცირების საკითხებზე. ფასების სტაბილიზაციის საკითხი და დამზადებელ ოპერაციებში მეტის გეგმიანობის შეტანა, ტრანსპორტის გაიაფება, რომელსაც თავის მხრივ მოსდევს ამა თუ იმ პროდუქტების დამზადების გაიაფება, დანართი ხარჯების შემცირება,—ყველა ეს ძირითადი საკითხებია კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ ბაზრის მოწესრიგებისა და დაპყრობის საქმეში. ბაზრის დაპყრობის საქმეში კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ შესრულებული მუშაობა ჯერ კიდევ არ არის სავსებით საკმარისი. დღემდე არ არის მოწყობილი ხელზე ვაჭრობა, რომელსაც მუშათა რაიონებში დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი იძლევიან ექსპორტის შესაძლებლობას, რომელიც ამჟამად თვალსაჩინოდ გაიზარდა. დღემდე საექსპორტო გეგმით ჩვენ ვასრულებდით მხოლოდ იმას, რაც ამიერ-კავკასიის საერთო ექსპორტიდან ჩვენ წილად მოდიოდა. წელს კი ჩვენი ექსპორტი, წინანდელთან შედარებით, 50—60 პროცენტით გაიზარდა. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, ეს ექსპორტი კიდევ უფრო გაიზრდება. ყველა საექსპორტო შესაძლებლობის გამოყენება და ექსპორტის განვითარება დაკავშირებულია იმ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იმ სამრეწველო მოწყობილობათა იმპორტთან, რომლებიც ჩვენ გვჭირია. ჩვენი ექსპორტი ისე უნდა მოვაწყოთ, რომ გამოუყენებელი არ დარჩეს არც ერთი შესაძლებლობა, ავიღოთ, თუნდაც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნაყარი და ნარჩენი მასალის ექსპორტი. მიუხედავათ იმისა, რომ არსებობს სააქციო საზოგადოება „ტრიაპიო-ლოსკუტ“-ი, ეს საქმე ნელის ნაბიჯით მიდის, წინ, მაშინ, როდესაც მარტო თბილისს შეუძლია წელიწადში 200.000 მანეთის ნაყარი და ნარჩენი მასალა მოგვცეს. საჭიროა ყველა ადგილობრივი ორგანოს ინიციატივა და აქტიური მონაწილეობა ამ საქმის მოწესრიგებაში.

შემდეგ ამხ. საკიანი შეჩერდა ორ სხვა მომენტზე: მებოსტნეობის განვითარებაზე საქართველოში, განსაკუთრებით ქალაქისა და ქალაქის მახლობელ რაიონებში, და ფრინველთა მოშენებაზე, რისთვისაც ჩვენ გვაქვს წინასწარი ძირითადი და კლიმატიური პირობები.

ამხ. ივანოვ-კავკასიელი

ამბობს: რეზოლიუციის განხილვის დროს საჭიროა არ დავივიწყოთ ჩვენი მუშაობის თვითკრიტიკაც. ჩვენ აქ ნათლად და გარკვევით უნდა აღვნიშნოთ წარსული დეფექტები და შეცდომები, რომ ჩვენი მომავალი მუშაობა წარვმართოთ მათი შესწავლისა და მოსპობის გზით. თუ ავიღებთ, მაგალითად ჩვენს სამრეწველო მშენებლობას, იმავე რეზოლიუციაში აღნიშნულია, „რომ აქ ჩვენ გვაკლდა გეგმიანობა და გარკვეულობა“. მომავალში საჭიროა არა მარტო გეგმიანობის გაძლიერება, არა მარტო გაძლიერება იმ აპარატისა, რომელიც ამტკიცებს ჩვენი სამრეწველო მშენებლობის ყველა პროექტს, არამედ კოოპერაციაში დარაზმვა იმ ადგილობრივი სამრეწველო მშენებლობისა, რომელიც თავისი საკუთარი ძალღონით ვერ გასძღოლია საქმეს.

შემდეგ ორატორი შეჩერდა სახელმწიფო აპარატზე. მან აღნიშნა, რომ ეს აპარატი ჯერ კიდევ ძალიან არის დაავადებული სირთულით და ბიუროკრატიზმით. საჭიროა ამ აპარატის ძირიანად შეცვლა და იქ ახალი კომუნისტური ძალების გადაგზავნა.

ამხ. ივანოვ-კავკასიელი შემდეგ შეეხო მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატს, რომელიც მოწოდებულია წინასწარ ზომები მიიღოს ყველა მტკივნეული მოვლენების ასაცილებლად და რომელსაც ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მასებთან ფართო დაკავშირების გამო. ორატორის აზრით, საჭიროა ამ აპარატის ამაღლება, საჭიროა უზრუნველვყოთ, რომ ადგილებზე მის მუშაობას უფრო ყურადღებით ეკიდებოდნენ.

ამხ. ლაკობა

შეეხო მუშაობის პირობებს აფხაზეთში. მან აღნიშნა მიზეზები აფხაზეთის თამბაქოს ქარხნის დახურვისა. ქარხანა, მძიმე მატერიალურ საქციზო დავალიანების გამო, დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. მას ძველი მოწყობილება ჰქონდა, არ გააჩნდა საბრუნავი თანხები, არ ჰყავდა კვალიფიციური მუშა ხელი, არ მოეპოებოდა გამსაღებელი ბაზარი. ყველა ამან ქარხანა დახურვამდე მიიყვანა. ეს დიდი ზიანია აფხაზეთისათვის, რომელიც თამბაქოს ნედლეულის ბაზაა. შემდეგ ამხ. ლაკობამ აღწერა აფხაზეთში მუშაობის სიძნელე. მოსახლეობის დაქსაქსულობა, გაფანტულობა და მეურნეობათა სიმცირე ხელს არ უწყობს მუშაობას მეურნეობათა კოლექტივიზაციისათვის და ამ მეურნეობათა გადასაქცევად გლეხობის კულტურულ კერად. აფხაზეთი მდიდარია ხილით. საჭიროა კონსერვის ფაბრიკის მოწყობა, რომ გადამუშავდეს ის ხილი, რომელიც ამჟამად უქმად იკარგება. ლიმონის კულტურის განვითარებას, რომლისათვისაც აფხაზეთის პირობები ხელსაყრელია, დიდი წარმატება ექნება და აფხაზეთის მშრომელ გლეხობას რეალურ დახმარებას გაუწევს. უნდა მოვსპოთ ამჟამად არსებული დეფექტები საქმეში, თესვის კამპანიისა და თამბაქოს პლანტაციების კონტრაქტაციის საკითხებში.

—:—

ამხ. ლაკობას შემდეგ ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქ. კომპარტიის ცეკას მდივანი ამხ. მ. კახიანი, რომლის სიტყვის სტენოგრამას მოვათავსებთ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

თათბირი სასკოლო აღმშენებლობის შესახებ

გუშინ დილით შესდგა საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნების და აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეთა (საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას მეოთხე პლენუმის წევრთა) თათბირი სახალხო განათლების შესახებ. თათბირს დაესწრენ აგრეთვე პლენუმის სხვა წევრები და დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები. ამხ. დავით კანდელაკმა გააკეთა მოხსენება სახალხო განათლების სისტემის შესახებ საქართველოში.

სახალხო განათლების სისტემა საქართველოში

ამხ. დ. კანდელაკის მოხსენება

ამხანაგებო, დღეს ჩვენს თათბირზე სდგას საკითხი სახალხო განათლების სისტემის შესახებ. ამ საკითხს განიხილავს სპეციალური პარტიული თათბირი, რომელიც მოწვეული იქნება ს. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტთან დაახლოვებით ნოემბერში.

ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვება საკავშირო კანონმდებლობა სახალხო განათლების საკითხის გამო, ე. ი. არ მოგვეპოვება მთლიანი და დაკანონებული სასკოლო სისტემა. ამიტომ უნდა გამომუშავდეს სახალხო განათლების სისტემის გარკვეული მთლიანი პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედება პარტიულ თათბირს.

როგორი იყო ჩვენი გეზი

უპირველესად ყოვლისა, უნდა დავსვათ საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად სწორი იყო ჩვენი გეზი სკოლისა და მისი სისტემის მშენებლობის საქმეში, დღემდე ამ მხრივ არ მოიპოვებოდა არავითარი გეგმა არა თუ ჩვენში,—მთელ საბჭოთა კავშირშიც. სასკოლო მშენებლობაში ჩვენ ვემყარებოდით იმდენად არა იმას, თუ რა ესაჭიროებოდა ჩვენ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, რამდენად იმას—რას მოითხოვდნენ მასები. ეს შეცდომა იყო. ამიტომ ვტოვებთ რა ძალაში ჩვენი პოლიტეხნიკური და შრომის სკოლის ძირითად დებულებებს, გადასინჯვის დროს უნდა გავითვალისწინოთ ის, გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩვენი სამრეწველო მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული განვითარების საჭიროებანი დაუკავშიროთ ჩვენი სასკოლო ქსელის შემდგომ ზრდას.

პირველი საფეხურის სკოლა

დავიწყოთ შრომის სკოლიდან. ყველას მიერ აღიარებულია, რომ ოთხწლედი უნდა დარჩეს ზოგად განათლების მასიურ სკოლად, რომელიც უნდა გაიაროს მთელმა მოზარდმა მოსახლეობამ. საკითხი ოთხწლედის შესახებ შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად სწორია ჩვენ მიერ აღებული ტემპი პირველი საფეხურის სკოლის განვითარებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ მაზრაში 8 წლის განმავლობაში ჩვენ ვერ ვამჩნევთ პირველი საფეხურის სკოლის ბუნებრივ ზრდას. ამასთან ერთად ზედმეტად გაიზარდნენ მეორე საფეხურის სკოლები—შვიდწლედები და ცხრაწლედები. ჩვენი პარტიული დირექტივა პირველი საფეხურის სკოლის მიმართ უნდა უაღრესად მტკიცე იყოს, შეიძლება წინასწარ ვსთქვათ, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და სავალდებულო საყოველთაო სწავლების საქმე უკან დაიხევს მრავალი წლით, თუ პარტიამ არ გამოიტანა მტკიცე დადგენილება იმის შესახებ, რომ ცენტრალური ყურადღება მთელს ჩვენ კულტურულ მუშაობაში სოფლად და ქალაქად მიექცეს ოთხწლედს. საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ ოთხწლედებში მოექცეს რაც შეიძლება მეტი მოზარდი მოსახლეობა.

მასწავლებელთა შემოწმება

შემდეგი საკითხი შეეხება მასწავლებლობას. უკვე შემუშავებულია სათანადო კანონპროექტი იმის შესახებ, რომ შეუდგეთ სამასწავლებლო პერსონალის სრულ გადასინჯვას ჩვენს სკოლებში. დღეს ჩვენში ისეთი მდგომარეობაა. რომ 100 კაცი, რომელთაც დაამთავრეს სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი, ვერ შოულობს ადგილს, ვინაიდან ჩვენს სკოლებში დამკვიდრებულნი არიან სრულიად უკვალიფიკაციო მასწავლებლები, რომლებსაც არა აქვთ არავითარი პედაგოგიური გამოცდილება. ამავე დროს ამ 100 კაცში ნაწილს შეადგენენ პარტიულები და პედაგოგები მათემატიკური და საბუნებისმეტყველო განათლებით. სამასწავლებლო პერსონალის გადასინჯვის დროს ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რამდენად გამოსადეგია მასწავლებელი ამა თუ იმ სკოლისათვის. ეს განსაკუთრებით საჭიროა **4-წლედების მიმართ.**

9 წლედები

რაც შეეხება დანარჩენ ორ საფეხურს, ჩვენ მიზნად დავისახეთ მოვამზადოთ სპეციალისტები, განსაკუთრებით საშუალო-ტეხნიკური პერსონალი, ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის. დღეს, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პირობებში, ჩვენ უნდა მოვამზადოთ საუკეთესო კვალიფიკაციის სპეციალისტები. მდგომარეობა რთულდება ადგილობრივ, ენათა სიმრავლით, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოში. თუ გამოვიანგარიშებთ იმ წელთა რაოდენობას, რომელიც საჭიროა რუსული ენის შესასწავლად, მივალებთ, რომ 9 წლის სწავლებიდან ორი წელი მას უნდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ცოდნის შესათვისებლად საერთო განათლების საგნებში, რომელნიც უნდა წარმოადგენდნენ უმაღლესი განათლების საფუძველს, რჩება სულ შვიდი წელი. თუ ავიღებთ ნაციონალურ უმცირესობებს, იქ მდგომარეობა უარესია. სომხურ სკოლებში ენების შესწავლას უნდება უფრო მეტი დრო და ძირითადი საგნების შესასწავლად რჩება უფრო ნაკლები დრო. ყოველივე ამისაგან დიდად ზარალობს ჩვენი სკოლა ღირსების მხრივ, რაც თავს იჩენს უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩაბარების დროს. რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია არა მარტო სასწავლო წლების სიმცირით, არამედ იმ სპეციფიური მიზეზებითაც, რომლებზედაც უკვე ვილაპარაკე. თუ ვაღიარებთ, რომ ცხრაწლედი არ არის საკმარისი საერთო განათლების მისაღებად და რომ საჭიროა მისი გადიდება 1 ან 2 წლით, რომ, ამასთან დაკავშირებით, საჭიროა გადავსინჯოთ მთელი პროგრამა,—ეს გადაწყვეტილება არ იქნება საკმარისი. უნდა მივიღოთ მეორე გადაწყვეტილებაც ჩვენი ცხრაწლედის სასკოლო სისტემის რაციონალიზაციის ხაზით ე. ი. შევამციროთ ცხრა წლედების ქსელი აუცილებელ მინიმუმამდე, რომელიც საკმარისი იქნება უფრო სწორი პროფტეხნიკური განათლების უზრუნველსაყოფად. უნდა მივიღოთ აგრეთვე გადაწყვეტილება სამასწავლებლო შემადგენლობის გადასინჯვის შესახებ.

შრომის სკოლის მიზანი

შრომის სკოლა სრულებითაც არ უნდა ამზადებდეს სპეციალისტებს. იგი უნდა ამზადებდეს ისეთ ხალხს, რომელიც შემდეგ შევა უმაღლეს სასწავლებლებში. შრომის სკოლა არის ზოგად განათლების სკოლა და მასში სრულებითაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი პროფტეხნიკური განათლების ელემენტებს. ჩვენ შეგვიძლია გავხსნათ მრავალი სპეციალური დარგის სკოლა კვალიფიციურ მუშაკთა მოსამზადებლად საამშენებლო, მექანიკური და ელექტრო-ტეხნიკურ საქმეთათვის, რომელთათვის საკმარისია ოთხი-ხუთი წლის სწავლება საერთო განათლების ფუნდამენტის მისაღებად. ყველა ის განხრა, რომელიც გვაქვს ცხრა წლედებში, ხშირად იღებენ მახინჯ ფორმებს, თუ გინდ ცხრა წლედების ზედმეტად გაზრდილ ქსელის სახით, და სრულებით არ შეეფერებიან უმაღლესი სკოლის მოთხოვნილებებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ორი წლის წინად განათლების სახალხო კომისარიატს მისცა დირექტივა ამ მეტად გაბერილი ქსელის შემცირების შესახებ. პარტიის ამ დირექტივას ჩვენ ვასრულებთ ჯგუფების შემცირების ხაზით: 1924—25 წელს გვქონდა ცხრაწლედების 233 ჯგუფი, 1925—26 წელს—149, 1926—27 წელს—85, ხოლო 1927—28 წელს—71 ჯგუფი. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. თუ ჩვენ გვექნება მოწაფეთა სათანადო რიცხვი, ცხრაწლედს დაამთავრებს ყოველწლიურად დაახლოვებით 1.000 კაცი. ამის შემდეგ ჩვენ შევძლებთ შევქმნათ სწორი სისტემა მათი მიღებისა უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდელოდ, რადგან გამოცდა ბოლოს და ბოლოს არ გვაძლევს რეალურ შედეგებს. დღეს დღეობით კი იმ ცოდნათა დონის მიხედვით, რომლებსაც ვაძლევთ ჩვენ საშუალო სკოლაში, ფაქტიურად ამ სკოლას ამოცანებს ვაკისრებთ უმაღლეს სასწავლებელს.

უცხო ენები

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებლად საჭიროა შემოვიღოთ 10 წლის სწავლება და უცხო ენების სავალდებულო შესწავლა. ეს აუცილებელია უმაღლესი სკოლისათვის, ყველა ტეხნიკუმისათვის, სპეციალისტებისათვის, რომელნიც ვერ იმუშავებენ, თუ არ ეცოდინებათ უცხო ენები. უცხო ენა—გერმანული ან ფრანგული ამორჩევით,—უნდა შემოვიღოთ უკანასკნელ—მე-7, მე-8, მეცხრე და იმ მეათე ჯგუფებში; რომლის დაარსებაც გვაქვს განზრახული: აი ის წინადადებანი, რომელნიც შემოგვაქვს ჩვენი სკოლების დონის ასამაღლებლად.

შემდეგი საკითხი არის დისციპლინის საკითხი ჩვენს სკოლაში. კომკავშირმა უნდა მიიღოს უფრო აქტიური მონაწილეობა ამ საქმეში, უნდა დაგვეხმაროს დისციპლინის სათანადო დონემდე ასამაღლებლად. წელს კომკავშირმა დიდი როლი ითამაშა ჩვენი სკოლებისა და სპეციალური ტეხნიკუმების შევსების საქმეში. მეტიც—ეს კამპანია ჩვენ კომკავშირის მეშვეობით ჩავატარეთ.

მატერიალური ბაზისი

ჩვენი სკოლების ღირსების გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული იმ მატერიალურ ბაზაზე, რომელიც მათ მოეპოვებათ. განათლების სახალხო კომისარიატი აწვდის ადგილებს მხოლოდ სამუშაო ხელფასს სამასწავლებლო პერსონალისათვის. დანარჩენი ხარჯი მძიმე ტვირთად აწევს ჩვენს მაზრებს, ადგილობრივ ბიუჯეტს. აქ საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება ადგილობრივ სახალხო განათლების განყოფილებებთა ბიუჯეტის გასადიდებლად.

სოციალური შემადგენლობის შემოწმება

საკითხი ჩვენი სკოლების სოციალური შემადგენლობის შესახებ, რომლის გაუმჯობესებაც განზრახული გვაქვს წელს, ჯერ კიდევ არა გვაქვს შესწავლილი. არ ვიცით, რომელ საფეხურამდე აღწევს ღატაკი მოსწავლე, ყოველ შემთხვევაში ,საჭიროა დაისვას საკითხი ღატაკთა სპეციალური ფონდის შექმნის შესახებ. ამ ფონდს უკვე ითვალისწინებენ ადგილობრივი ბიუჯეტები. განათლების სახალხო კომისარიატი, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, ზომებს ღებულობს ღატაკთა ფონდების შესამოწმებლად ყველგან და ამ ფონდების შესაქმნელად იქ, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ არსებობენ. ღატაკთა ფონდი საჭიროა იმისათვის, რომ საშუალება მოგვეცეს მივაწოდოთ ღატაკებს საერთო სადგომები, ზამთრის ტანსაცმელი, სასწავლო წიგნები; რათა მათ შესძლონ განაგრძონ სწავლა ჩვენს შრომის სკოლებში და ტეხნიკუმებში. აი ყველა ის ღონისძიება, რაც საჭიროა მეორე საფეხურის სკოლისათვის.

სპეციალური სკოლები

რაც შეეხება ჩვენს სპეციალურ სასწავლებლებს, და სპეციალურ განათლებას, აქაც საჭიროა მთელი სისტემის გადასინჯვა. სპეციალური ტეხნიკუმები რომელნიც ამზადებენ სხვადასხვა სპეციალისტებს ჩვენი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისათვის, სუსტად აკმაყოფილებენ ამ უკანასკნელთა მოთხოვნილებებს. სწავლება ამ სკოლებში ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ იქიდან გამოსულ ხალხს შეეძლოს პრაქტიკულად გამოიყენოს თავისი ცოდნა. ამ მხრივ განათლების კომისარიატს უნდა დაეხმარონ სამეურნეო ორგანოები.

საქარხნო-საფაბრიკო სკოლები, ისევე, როგორც, საზოგადოდ, პროფესიონალური სკოლები, მე მგონია, არ უნდა ეყრდნობოდნენ შვიდწლედების ბაზას. ქვედა პროფსკოლები უნდა ვითარდებოდნენ [illegible] ბაზაზე ქალაქში და სოფლის მეურნეობის ბაზაზე—სოფლად. არსებული საქარხნო-საფაბრიკო სკოლები უნდა დაუკავშიროთ წარმოებას, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არა აქვს ადგილი. მაგალითისათვის ავიღოთ ბორჯომის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა, რომელიც სულ არ არის დაკავშირებული არც ერთ წარმოებასთან. ეს მოვლენა უნდა აღმოვფხვრათ.

დღეს აქტუალურად სდგას სამთამადნო საქარხნო-საფაბრიკო სკოლის შექმნის ამოცანა. ჭიათურაში, სადაც ამ საკითხს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, საჭიროა დაწვრილებით შევისწავლოთ იგი იმ თვალსაზრისით, თუ რისი შექმნა უფრო მიზანშეწონილია— საქარხნო-საფაბრიკო სკოლის თუ სპეციალური სამთამადნო ტეხნიკუმის.

სას.-სამ. სკოლები

რაც შეეხება დაბალ სასოფლო-სამეურნეო განათლებას—გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებს, მათ პრინციპიალურად და ფაქტიურადაც გაამართლეს თავიანთი არსებობა. აქ საჭიროა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ისინი, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების ქსელის ზედმეტი ზრდის გამო, ზოგიერთ რაიონში კატასტროფიულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ არ აძლევენ საჩვენებელ ნაკვეთებს, მათ არა აქვთ კაბინეტები, არა აქვთ მოწყობილება. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების შექმნის დროს ჩვენ მიზნად დასახული გვქონდა ის, რომ ამ სკოლებში მოსწავლეთა მეტი პროცენტი დარჩენილიყო სოფლად კულტურულ მუშაკებად. საჭიროა მივიღოთ ყოველი ზომა იმისათვის რომ უზრუნველვყოთ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა საჭირო მოწყობილობით და საჩვენებელ ნაკვეთებით, ვინაიდან გლეხთა სკოლა უდიდეს როლს თამაშობს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში. იმ გლეხთა ახალგაზრდობისათვის, რომელიც გადასცილდა სასკოლო ასაკს და დარჩა სკოლის გარეშე, უნდა შევქმნათ ორწლიანი სკოლა მათთვის აუცილებელი აგრარული ცოდნის მისაცემად და მათგან კულტურულ მუშაკთა კადრის შესაქმნელად.

პოლიტგანათლება

ეხლა რამდენიმე სიტყვა პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის შესახებ. საკავშირო კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ კულტსაგანმანათლებლო მუშაობისათვის და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის საჭირო ხარჯები ტარდებოდნენ ადგილობრივი ბიუჯეტში. ის თანხები, რომელნიც ხმარდებიან პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობას ადგილობრივი ბიუჯეტებით, ჯერ საკმარისი არ არიან. საჭიროა გადასინჯულ იქნას ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითადი მუხლები და ყოველ მიზეზს გარეშე გადიდდეს თანხა პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობისათვის.

სკოლათა მშენებლობა

საზოგადოდ სახალხო განათლების მატერიალური ბაზის საქმე არც თუ ისე კარგადაა, როგორც შეიძლება ვიფიქროთ პირველი შეხედვით. განსაკუთრებით კატასტროფიულია მდგომარეობა სასკოლო მშენებლობის საქმეში. ამას წინად დავათვალიერეთ ჩვენი სკოლები და დავრწმუნდით, რომ სკოლის სადგომები ხშირად საშინელ მდგომარეობაში არიან. ამიტომ საჭიროა გადაიჭრას საკითხი სასკოლო მშენებლობისათვის სპეციალური ფონდის შექმნის შესახებ.

რაც შეეხება ნაციონალურ უმცირესობებს, მე ეს საკითხი არ გამოვყავი ცალკე, იმიტომ რომ ყოველივე რაც ვილაპარაკე, უშუალოდ შეეხება ნაციონალურ უმცირესობათა სკოლების მშენებლობასაც. აქ ადგილი არა აქვს არავითარ სპეციფიურ პირობებს.

აი ყოველივე ის, რის გადმოცემასაც საჭიროდ ვსთვლიდი ჩვენს თათბირზე.

კამათი ამხ. კანდელაკის მოხსენების გამო

ამხ. კანდელაკის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

ამხ. გიორგაძე

იგი უმთავრესად შეეხო გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მდგომარეობას. ამ სკოლების გაუმჯობესება აუცილებელია. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების ქსელის ზრდას აბრკოლებს არსებული სკოლების მოუწყობლობა, გარდა ამისა, საჭიროა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებს მივცეთ უფრო მცოდნე ხელმძღვანელები.

ამხ. ყურულიშვილი

ლაპარაკობს პროფტეხნიკური განათლების შეკავშირების შესახებ მრეწველობის მოთხოვნილებებთან. პროფტეხნიკური სკოლები უნდა ამზადებდნენ საშუალო ტეხნიკურ პერსონალს მრეწველობის იმ დარგებისათვის, რომელნიც განსაკუთრებით საჭიროებენ მათ, მაგალითად, სამთომადნო მრეწველობა დიდად საჭიროებს საშუალო-ტეხნიკურ პერსონალს და ამიტომ საქარხნო-საფაბრიკო სკოლის ნაცვლად უფრო მიზანშეწონილი იქნება სამთომადნო ტეხნიკუმის გახსნა ჭიათურაში.

ამხ. ჯიჯოევი

აღნიშნავს, რომ პედაგოგიურმა ტეხნიკუმმა რამდენიმე წლის განმავლობაში არ მოგვცა არც ერთი მასწავლებელი სამხრეთ-ოსეთისათვის. ეს ერთგვარად აიხსნება იმით, რომ ტეხნიკუმის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდობა ეტანება უმაღლეს სასწავლებლებს და გაურბის პრაქტიკულ მუშაობას. სასკოლო მუშაკთა კადრების ნაკლებობა აბრკოლებს სამხრეთ-ოსეთის სასკოლო მშენებლობას, და აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას ნაციონალურ უმცირესობათა შორის.

ამხ. ფ. მახარაძე

ამბობს, რომ სახალხო განათლების სისტემის გაუმჯობესების დარგში, ოთხწლედის პროგრამის სათანადოდ გადამუშავებასა და ცხრაწლედის კურსის გადიდებასთან ერთად, საჭიროა სპეციალური პროფტეხნიკური განათლება შეუფარდოთ ამა თუ იმ რაიონის თავისებურებას და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებებს. რაც შეეხება ნაციონალური უმცირესობათა სასკოლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, საჭიროა მიეცეთ სწავლის განგრძობის შესაძლებლობა იმ ნაციონალური უმცირესობებს, რომელთაც ჯერ არა აქვთ ცხრაწლედები. სკოლების მდგომარეობა მრავალ რაიონში აუტანელია. გასაკვირია თუ როგორ ახერხებენ მეცადინეობას ასეთ სადგომებში. საჭიროა გავადიდოთ თანხები სკოლების ასაგებად ეკონომიურად ჩამორჩენილ რაიონებში.

ამხ. ტოროშელიძე

აღნიშნავს, რომ სტუდენტობა ნახევრად მშიერია. უნდა მიეცეთ ჩვენს სტუდენტობას თავისუფალი მეცადინეობის საშუალება. პირველ რიგში საჭიროა სტიპენდიანტების რიცხვის გადიდება და სტუდენტობის უზრუნველყოფა საზრდოთი. არსებული სასადილო სტუდენტებს აძლევს მხოლოდ 800 სადილს დღეში, თანაც თვითეულ სტუდენტს ეძლევა მხოლოდ 10 დღის ტალონები. ცუდი კვების გამო სტუდენტობა გვიანდება ფაკულტეტებზე, და სახალხო განათლების საქმე არ მიდის წინ, რადგან არა გვყავს საჭირო კადრი. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ჩვენი სამეურნეო ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სტუდენტების პრაქტიკასა და სტაჟის მიღების საკითხებს.

ამხ. ჩერქეზიშვილი

ამბობს, რომ შრომის სკოლის სისტემის გადასინჯვის დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს სკოლის ასაკამდე განათლებასაც. ისეთი საბავშვო ბაღები, რომლებშიაც მტკიცედ არის დაცული მონტესორის სისტემა, ირიცხება სულ 9. ვერ არის სათანადოდ დაყენებული შრომითი აღზრდის საქმე საბავშვო ბაღებში. შრომითი აღზრდის ძირითადი პრინციპის განხორციელების მხრივ ჩვენს საბავშვო ბაღში მეტად დიდი გადახრაა ესტეტიური აღზრდისაკენ. სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში არა ჩანს პედაგოგიური მუშაობა, და განათლების სახალხო კომისარიატს ჯერ ცოტა რამ გაუკეთებია პედაგოგიური ინსტიტუტის საკითხის გარშემო. შემდეგ ამხ. ჩერქეზიშვილი ეხება ქალთა პროფტეხნიკური განათლებას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრულია ჭრა-კერვის სკოლებით.

ამხ. სალუქვაძე

აღნიშნავს პროლეტარული სტუდენტობის უმწეო მდგომარეობას. მხოლოდ 7 პროცენტი იღებს სტიპენდიას. საჭიროა მივიღოთ ზომები სტუდენტების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამხ. კანდელაკი

(სახელმწიფო უნივერსიტეტი) ლაპარაკობს სასოფლო-სამეურნეო განათლების შესახებ. მისი აზრით, საშუალო და დაბალი სასოფლო-სამეურნეო სკოლები უნდა მოვუმარჯვოთ სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებებს. სოფლის მეურნეობას როგორც დღეს, ისე მომავალში სჭირდება საშუალო ტეხნიკური შემადგენლობა, ეგრედწოდებული ტეხნიკები და აგრონომები მეურნეობის ცალკე დარგებისათვის, მაგალითად, მესაქონლეობისათვის, მებაღეობისათვის, ფრინველთა მოშენებისათვის და სხვ.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო სკოლების მუშაობა უნდა შეუფარდოთ ამ მოთხოვნილებებს.

ამხ. არუთინოვი

აღნიშნავს, რომ ცხრაწლედები იმ სახით, როგორც არის იგი დღეს, მხოლოდ ამრავლებს უმუშევარ ახალგაზრდობის რიგებს. ცხრაწლედების შემცირება და სპეციალური პროფტეხნიკური განათლების განვითარება ხელს შეუწყობს იმას, რომ ის, ვინც დაამთავრა ცხრაწლედი და არ შევიდა უმაღლეს სასწავლებელში, გამოყენებული იქნება რაიმე სამუშაოზე. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით საჭიროა ვეცადოთ, რომ ადგილებზე გატარებულ იქნას საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივა 17 პროცენტიან ასიგნობის შესახებ ადგილობრივ ბიუჯეტიდან პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობისათვის.

ამხ. მამულია

ამბობს, რომ სახალხო განათლების სისტემის განხილვის დროს საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ორი ძირითადი დებულება: 1) ჩვენი სკოლა მთლიანად უნდა იქნეს გამსჭვალული ჩვენი ეკონომიკით და პოლიტიკით, 2) ჩვენმა სკოლამ უნდა გამოზარდოს ახალი ადამიანი, რომელსაც ექნება საკმაო ცოდნა სოციალისტური მშენებლობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად და აქტიური მონაწილეობის მისაღებად საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ცენტრალური ყურადღება უნდა მიექცეს სკოლის ასაკამდე აღზრდას და დაბალ განათლებას.

ამხ. ქაცარავა

ამბობს, რომ საჭიროა სახალხო განათლების სისტემის გადასინჯვა. ის მარქსისტული სკოლა, რომელიც უნდა გვქონდეს, ჯერ კიდევ არა გვაქვს. ამჟამად მხოლოდ სუროგატი გვაქვს ასეთი სკოლის. საჭიროა 4 წლედ. საფუძველზე პროფტეხნიკური სკოლების შექმნა ამ სკოლებში უნდა ჩავაბათ და რაიმე სპეციალობა მივსცეთ იმ ახალგაზრდობას, რომელსაც საშუალო განათლება არ მიუღია. მაგალითად, იმასთან დაკავშირებით, რომ სოფლებში ტრაქტორისტების საჭიროებაა, შეიძლებოდა საავტომობილო კურსების დაარსება.

ამხ. იმედაძე

აღნიშნავს, რომ კულტუროსნობის საფუძველი წერა-კითხვის ცოდნაა. დღემდე ამ საკითხს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის სახელმწიფო ხარჯები საკმაო არაა და საჭიროა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხარჯების გამოყენება. მწვავედ სდგას სასკოლო ასაკს გადაცილებული ბავშვების საკითხი. ამ ბავშვების შორის 170.000 წერა-კითხვის უცოდინარია. ის თანხები, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტის შესავსებათ მიდის სასკოლო მშენებლობისათვის, ნაწილობრივ უნდა გამოყენებულ იქნან სასკოლო ასაკს გადაცილებულ ბავშვთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ.

ამხ. ნ. მახარაძე

ეხება დაბალ პროფტეხნიკურ განათლებას. კური განათლების გაძლიერება შეამცირებს ახალგაზრდობის ლტოლვას ქალაქისაკენ და არ მოსწყვეტს მათ სოფლის მეურნეობას. შემდეგ ამხ. ნ. მახარაძე აღნიშნავს, რომ ენის საკითხი რამდენიმედ ართულებს სასკოლო მშენებლობას. ეს საკითხი ყოველთვის არ არის დაკავშირებული მოსახლეობის მოთხოვნილებებთან, რის გამო ზოგჯერ საჭირო ხდება, რომ სკოლა, რომელშიაც სწავლა ერთ ენაზე სწარმოებს, მეორე ენაზე იქნას გადაყვანილი.

—:—

ამხ. ნ. მახარაძის გამოსვლით დამთავრდა თათბირი სასკოლო მშენებლობის შესახებ. რეზოლიუციის გამოსამუშავებლად არჩეულია კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: კანდელაკი, მამულია, ყურულიშვილი, მელაძე, ამასი, არუთინოვი და ჯავახიძე. (ადს).

პლენუმის დღიური

27 სექტემბერს სალამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. პუშენიცინის საბოლოო სიტყვა და ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენება მასიური მუშაობის შესახებ.

29 სექტემბერს დილით გაიმართება სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდივნების თათბირი. დღის წესრიგში სდგას იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოთა გამოკვლევის შედეგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჰაერო-ქიმიური მანევრები ბაქოში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

პირველი იერიში

დაღამდა.

ბაქო ჭარბად არის განათებული ელექტრო-სინათლით.

ქუჩები სავსეა ხალხით. კინო, თეატრები, სავაჭრო დაწესებულებები მუშაობენ ჩვეულებრივ. მხოლოდ, ქალაქს ეტყობა ნერვიულობა, ყველა რაღაცას მოელის.

ქალაქის მილიცია შეიარაღებულია გაზის საწინააღმდეგო ნიღაბებით, მოსჩანან ავიაქიმ-რაზმელები, მოწყალების დები, სანიტარები მუშები, ყველანი აღჭურვილნი არიან იარაღით და ნიღაბებით.

თავშესაფრებთან, რომლებიც მრავლად არიან მოწყობილი ქალაქში, მორიგეობენ ავიაქიმრაზმელები.

ღამის 9 საათია.

ჰაერი გაარღვია საყვირის ხმამ. პირველ საყვირს მოჰყვა მეორე და მალე ქალაქს მოედო განგაშის ხმა, მაუწყებელი იმის, რომ ქალაქს მოელის „საფრთხე", ჰაერიდან.

ქალაქი შეიცვალა. ამოძრავდა ხალხი. მოქალაქენი ეშურებიან თავთავიანთ ბინებისაკენ.

ავიაქიმის ავტომობილები, სანიტარული რაზმები მზად არიან აღმოუჩინონ დახმარება გაზებისაგან დაზარალებულ რაიონებს.

სათვალთვალო პუნქტებზე გამოჩნდნენ მორიგეები, რომლებიც ზვერავენ ჰაერს და ელიან „დაუპატიჟებელ სტუმრებს"—„მტრის" თვითმფრინავებს.

„მტერი" გამოჩნდა

ღამის სრული 10 საათია.

გაისმა საყვირების ხმა, რომელმაც ამცნო მოსახლეობას, რომ „მტერი" გამოჩნდა და უახლოვდება ქალაქს.

ქუჩები სწრაფად დაცარიელდა, მოქალაქეებმა, რომლებმაც ვერ მოასწრეს მისვლა ბინებზე, მიაშურეს თავშესაფრებს.

გავიდა ათი წუთი და ქალაქი მოიცვა სიბნელემ. ამავე დროს მოისმა „მტრის" აეროპლანების პროპელერების ხმაური.

სიბნელე გაარღვია პროჟექტორის სხივებმა, რომლებიც ჰაერში ეძებდნენ „მტრის" აეროპლანებს.

იგრიალა საზენიტო ზარბაზნებმა. აეროპლანები აღმოჩენილია და მათ ესვრიან ყუმბარებს, აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, შაშხანა თოფებს გააქვთ ტკაცა-ტკუცი

ბაქო იგერიებს თავდამსხმელებს.

თვითმფრინავებმა მოასწრეს რამდენიმე შხამიან გაზებით სავსე და ხანძრის გამომწვევი ყუმბარის ჩამოგდება. ამუშავდენ სახანძრო და ავიაქიმრაზმელები, აქრობენ „ხანძარს", შველიან გაზებისაგან „მოწამლულებს", ასუფთავებენ გაზებისაგან მოშხამულ ქუჩებს, ეზოებს.

მიუხედავათ სიბნელისა დისციპლინა საუკეთესოა. ყველა თავის ადგილზეა; პანიკას, უაზრო შეხლა-შემოხლას არა აქვს ადგილი.

საუკეთესოდ მუშაობენ მუშათა ათასეულები, სანიტარული წრეები. ანაზდეულად ჩნდებიან იქ, სადაც მოითხოვს საჭიროება.

საქარხნო-საფაბრიკო რაიონებში

საქარხნო-საფაბრიკო რაიონებში—ბაილოვი, ბიბი-ეიბათი, საბუნჩი, სურახანი—მზად არიან „მტრის" მოსაგერიებლად, ელოდებიან მხოლოდ აეროპლანების გამოჩენას.

ყველგან გამოცხადებულია „საალყო წესები".

მუშათა ათასეულები მტკიცედ სდგანან სადარაჯოზე—ნავთის წარმოებების დასაცავად.

გამოჩნდა „მტრის" აეროპლანი, რომელმაც იხელთა დრო და ჩამოაგდო ხანძრის გამომწვევი ყუმბარა. ავიაქიმელ-მუშებს არ გამოეპარათ ყუმბარის ჩამოგდება და ხანძარი დროზე იქნა ჩაქრობილი.

მტრის აეროპლანები რამდენჯერმე შეეცადენ ზარალი მიეყენებიათ ნავთის წარმოებისათვის, მაგრამ მუშები ენერგიულად, ერთსულოვნად და საქმის სრული ცოდნით იგერიებდნენ „მტერს".

საათის 11-ზე „მტერმა" შესწყვიტა იერიში და გაბრუნდა უკან.

ქალაქი დამშვიდდა. მხოლოდ სათვალთვალო პუნქტებზე დარაჯად იდგნენ ავიაქიმრაზმელები.

ე. ხუციშვილი.

ქ. ბაქო, 27 აგვისტო.

მეორე იერიში

დილიდანვე ცა მოწმენდილი იყო. დილის 7 საათია, მაგრამ საკმაოთ ცხელა.

ქალაქმა გამოიღვიძა და შეუდგა ყოველდღიურ ცხოვრება-საქმიანობას.

დილის 8 საათზე გაისმა საყვირების გამაფრთხილებელი ხმა, „მტერი" ალბათ აპირებს მეორე იერიშის მოტანას ქალაქზე.

ქალაქი მზად არის „მტრის" შესახვედრათ. ქალაქის თითქმის სამი მეოთხედი დაფარულია ბოლის ფარდით, რომელიც ხელს უშლის აეროპლანებს კარგათ გაერკვიონ ადგილ-მდებარეობაში.

სრულ 10 საათზე ჰორიზონტზე, დასავლეთის მხრივ, გამოჩნდა „მტრის" სამი აეროპლანი, რომლებიც ზვერავდნენ ქალაქს.

ქალაქი დაცარიელდა, შესწყდა ყოველგვარი მოძრაობა. ტრამვაის ვაგონები გაქვავდნენ ერთ ადგილას.

რამდენიმე წუთის შემდეგ გამოჩნდა „მტრის" ესკადრილია 8 აეროპლანის შემადგენლობით.

ამუშავდნენ საზენიტო ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები. ისმის გამუდმებული სროლა, ყუმბარების აფეთქების ხმა.

ქალაქი ენერგიულად იგერიებს მტერს, რომელიც უფრო ეტანება საქარხნო-საფაბრიკო რაიონს და ნავთით დატვირთულ გემებს.

თავგანწირვით მუშაობენ ცეცხლის მქრობელი და ავიაქიმის რაზმები.

ამხ. სემაშკოს სახელობის ცენტრალურ საავადმყოფოს გაუჩნდა „ცეცხლი", რომელიც თვალის დახამხამებაში იქნა ჩაქრობილი.

„მტერი" ეტანება ელექტრო-სადგურს მაგრამ საზენიტო ზარბაზნები არ აცლიან ყუმბარის ჩამოგდებას.

იერიში გაგრძელდა ერთ საათს. „მტერმა" დაჰკარგა ორი აეროპლანი, რის შემდეგ მან დასტოვა ბრძოლის ველი და მიიმალა.

მესამე იერიში

მესამე და უკანასკნელი იერიში „მტერმა" მიიტანა ქალაქზე ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე

აეროპლანები სცდილობენ დააზიანონ ქალაქის მნიშვნელოვანი პუნქტები, თავს დასტრიალებენ ელექტრო-სადგურს, ნავთის რეზერვუარებს, მაგრამ ქვევიდან მათ უწევენ ენერგიულ წინააღმდეგობას.

შემახის რაიონი მზად არის „მტრის" მოსაგერიებლად.

შტაბში თავმოყრილნი არიან თავდაცვის საქმის ხელმძღვანელები.

მუშაობს ორი ჩვეულებრივი და ერთი საველე ტელეფონი.

შტაბის უფროსი არ შორდება ტელეფონებს, რომლებიც წამ და უწუმ წკარუნებენ.

— გამოჩნდა ოთხი აეროპლანი ბალაჯარის მხრივ,—იტყობინება პოსტი № 19.

— წისქვილის ქუჩაზე გაჩნდა „ხანძარი",—იძახის პოსტი № 4.

— „აფეთქდა" ნავთის რეზერვუარი,—იტყობინება პოსტი № 12.

შტაბის უფროსი იძლევა სათანადო განკარგულებებს. მისი ყოველივე ბრძანება სრულდება დაუყოვნებლივ, ელვის სისწრაფით.

შტაბი მუშაობს შეუფერხებლივ, როგორც საუკეთესოდ აწყობილი მანქანა. არავითარი „პანიკა", არავითარი არევ-დარევა.

— მიეშველეთ პოსტს № 4-ს,—იძახის უფროსი და რამდენიმე რაზმელი მიჰქრის იმ ადგილისაკენ, რომელიც ითხოვს დახმარებას.

— სანიტრები მე-7 პოსტისაკენ; მეხანძრენი მე-9-ე პოსტისაკენ!—ისმის უფროსის განკარგულება.

ამავე დროს გარედან მოისმის ზარბაზნების გრიალი და აეროპლანის გუგუნი.

ასე იცავდა შემახის რაიონი თავს „მტრის" იერიშისაგან.

—:—

ნაშუადღევის ოთხ საათზე არმიის სარდლის ამხ. ლევანდოვსკის განკარგულებით მოქალაქეებს მიეცათ ნება გამოსულიყვნენ ქუჩებში და თვალ-ყური ედევნებინათ აეროპლანების მოქმედებისათვის და მოგერიების საქმისათვის.

გაიმართა საჰაერო - ქიმიური თავდაცვის ინსცენიროვკა.

სრულ 5 საათზე გაისმა საყვირების ხმა, რომელმაც ამცნო ქალაქს, რომ დამთავრებულია როგორც მანევრები, ისე ინსცენიროვკა. აეროპლანებმა ერთხელ კიდევ გაინავარდეს ჰაერში და დაეშვნენ აეროდრომზე.

სახანძრო და ავიაქიმრაზმები გაემართნენ თავ-თავიანთ რაიონებისაკენ.

ასე დამთავრდა ბაქოს საჰაერო-ქიმიური მანევრები, რომლებმაც დაანახვა ყველას, რომ ბაქოს პროლეტარიატი მზად არის დაიცვას მტრისაგან თავისი სისხლით მონაპოვარი—საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო ქალაქი—პროლეტარული ბაქო.

ე. ხუციშვილი.

ქ. ბაქო, 28 სექტემბერი.

ამიერ-კავკ. რკინისგზელთა მეშვიდე ყრილობა

მეოთხე დღე

ამხ. პ. საბაშვილის საბოლოო სიტყვა

გუშინ დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. საბაშვილის საბოლოო სიტყვა.

ამხ. საბაშვილი თავის საბოლოო სიტყვაში პირველად შეეხო კულტურულ-გამნათლებელ მუშაობას და აღნიშნა, რომ ყრილობის დელეგატებმა ამ საკითხს დიდი ყურადღება მიაქციეს. ისინი საყვედურს გამოსთქვამდნენ კულტფონდის სიმცირის გამო, ეს საყვედური სამართლიანია და იმას მოწმობს, რომ მუშათა მასების კულტურული დონე თანდათან იზრდება და ამის გამო შეუძლებელი ხდება კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება იმ ფონდებით, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია. მაგრამ ისმება საკითხი, თუ სადიდან შეგვიძლია ჩვენ კულტფონდის გადიდება, როცა ამისი შესაძლებლობა არა გვაქვს. კულტმუშაობის გაჩაღებისათვის საჭიროა აგრეთვე თვითმოქმედების გამოჩენა ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ფართე მასების მიერ. დღემდის კი ამ საკითხს ნაკლები ყურადღება ექცეოდა.



ამხ. უსტიაშვილი

ა/კ. რკინისგზელთა საგზაო კომიტეტის სატარიფო-ეკონომ. განყ. გამგე

შემდეგი საკითხია თვითკრიტიკა. ზოგიერთებს ამ საკითხის შესახებ არ აქვთ ნათელი წარმოდგენა და ჰგონიათ, თუ რომელიმე არჩეული პიროვნების მუშაობის ნაკლის შესახებ რამე დაიწერა გაზეთში, ამის შემდეგ მისი არჩეული თანამდებობაზე დატოვება აღარ შეიძლება, ის უკვე ავტორიტეტდაცემულია მასების თვალში. ეს არ არის მართალი. თვითკრიტიკა უსათუოდ საჭიროა, ის არ დასცემს ხელმძღვანელ ამხანაგების პრესტიჟს. უარყოფითი მხარეები ყველა ჩვენთაგანს აქვს; საჭიროა მისი გამოაშკარავება და ნაკლოვანებების აღმოფხვრა. ამავე დროს კრიტიკა არ უნდა იქნეს გამოყენებული პირადი ინტერესების ნიადაგზე ანგარიშის გასწორებისათვის.

ორიოდე სიტყვით შევჩერდები დაწინაურების საკითხზე. მართალია დაწინაურების საქმეში გვაქვს ერთგვარი მიღწევები, მაგრამ არა საკმაო. ვაწინაურებთ ხშირად ისეთებს, რომელთაც არა აქვთ საკმაო ცოდნა-გამოცდილება ხოლო უფრო მომზადებულები დაუწინაურებელი რჩებიან. ამიტომ გვიხდება ზოგჯერ დაწინაურებულის უკან დაბრუნება. ეს შეცდომები ისევ ადგილობრივ პროფორგანოებმა უნდა გამოასწორონ. უნდა შევამჩნიოთ დასაწინაურებელი ამხანაგები, შევქმნათ მათი რეზერვი, მაგრამ ყველაფერი ეს უნდა ხდებოდეს გეგმიანად, წინასწარი მომზადებით.

დელეგატები შეეხნენ ბიუროკრატიზმს. ბიუროკრატიზმის სახეები მრავალგვარია. ზოგჯერ ჩვენ ვუსაყვედურებთ არჩეულ ამხანაგებს, რომ ისინი დაუყოვნებლივ არ გვაძლევენ პასუხს შეტანილ განცხადებებზე, ან შეკითხვებზე, მაგრამ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ზოგიერთი ამხანაგი ძალზე დატვირთულია მუშაობით და მას არ ძალუძს ყველასათვის თავის დროზე პასუხის გაცემა, ყველას დაკმაყოფილება. შეიძლება ყველა ერთეულები კეთილსინდისიერათ არ ასრულებენ თავის მოვალეობას, ასეთების წინააღმდეგ რა თქმა უნდა, უნდა მივიღოთ ზომები.

შეეხნენ აგრეთვე უმუშევართა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხსაც. ეს საკითხი რკინისგზელებისათვის განსაკუთრებით მწვავედ სდგას. როგორ შეიძლება, მაგალითად, უმუშევრებიდან მოვამზადოთ მემანქანეები, როდესაც ამისათვის საჭიროა მთელი რიგი წლები, რაც შეეხება უფრო დაბალ კვალიფიკაციურ მუშებს, ასეთები უმუშევრებშიაც საკმაოდ მოიპოვება. ასე რომ რკინის გზის პირობებში უმუშევართა კვალიფიკაციის ამაღლება ძალიან რთული საკითხია და ამ მხრივ დიდ ილუზიებს არ უნდა მივეცეთ.

გვესაყვედურეს აგრეთვე სპეცტანსაცმელების დარიგების დაგვიანებისათვის. აქ განაცხადეს, რომ 70 პროცენტი სპეცტანსაცმელების უკვე დამზადებულია და რატომ არ იწყებთ მის დარიგებასო. საგზაო კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს, სანამ მთელი ასი პროცენტით არ მოვიმარაგებთ სპეცტანსაცმელს მანამ არ დავიწყოთ მისი რიგები, რომ შემდეგში არავითარ საყვედურს არ დაურჩეს ადგილი. მე მგონია, რომ ამ აზრს ყრილობაც გაიზიარებს.

დასასრულ უნდა შევჩერდე ქალთა და ახალგაზრდობის შორის მუშაობის საკითხზე. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს მუშაობა კარგად არის დაყენებული, მაგრამ წინანდელთან შედარებით ერთგვარი მიღწევები გვაქვს ამჟამად უფრო მეტი პროცენტია ქალები და ახალგაზრდები ჩაბმული როგორც წარმოებაში, ისე პროფორგანიზაციების მუშაობაშიც. მაგრამ ეს კიდევ არაა საკმაო. ქალების უსათუოდ უფრო მეტი პროცენტი უნდა ჩავაბათ კულტმუშაობაში, რასაც ადგილობრივმა პროფორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ამხ. საბაშვილის მოხსენების შემდეგ ყრილობამ საგზაო კომიტეტის საერთო ხაზი მე-6 ყრილობიდან დღემდე სცნო სწორად, ხოლო მისი მუშაობა დამაკმაყოფილებლად. დაამტკიცა აგრეთვე სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი საფინანსო ანგარიში, ხოლო პრაქტიკული წინადადებების შემუშავება მიენდო ამხ. უსტიაშვილს, გრიგორიანს და აბდულაევს ცალკე დელეგაციების წევრთა მონაწილეობით.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობის თავმჯდომარის ამხ. პოზდეევის მოხსენება ამიერ-კავკასიის რკინის გზების მუშაობის შესახებ.

ა. კ. რკინის გზების გამგეობის მუშაობა

(ამხ. პოზდეევის მოხსენება)

ამხანაგებო, თითქმის ორი წელი გადის, რაც ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობას არ ქონდა საშუალება თქვენთვის მოხსენება გაეკეთებია თავისი მუშაობის შესახებ. ორი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რკინის გზებს დიდი მიღწევები აქვს. თუ ამ ორი წლის წინედ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ტვირთის გადაზიდვა უდრიდა 1000 ვაგონს, ეხლა ეს რიცხვი 50 პროცენტით არის გაზრდილი. ამ ხნის განმავლობაში მთელი რიგი კაპიტალურ სამუშაოები იქნა შესრულებული. ტეხნიკური მდგომარეობის მხრივაც დიდი მიღწევები გვაქვს. 1913 წელთან შედარებით ჩვენ დიდათ წავიწიეთ წინ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზები წარმოადგენს ისეთ მაგისტრალს, რომელიც ითვლება ერთ ძირითად ფაქტორად ამიერ-კავკასიის სამეურნეო მდგომარეობაში და ემსახურება საგარეო ვაჭრობის გაძლიერებას, ჩვენს ექსპორტს.

თუ როგორია ჩვენი მიღწევები საანგარიშო ხნის განმავლობაში, ამის შესახებ მე მოვიყვან რამდენიმე ციფრს: მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ტვირთის საერთო გადაზიდვა უდრიდა 1355,2 მილიონ ტონ-კილომეტრს, წინაამდეგ გასული წლის პირველი ნახევრის 1145 მილიონ ტონ-კილომეტრისა. აქ ჩვენ უკვე გადავაჭარბეთ გათვალისწინებულ გეგმას. სამგზავრო მატარებლების მოძრაობა გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 5,5 პროცენტით, საბარგო მატარებლების მოძრაობა გაიზარდა 2,2 პროცენტით, ტვირთის საშუალო მოძრაობა გაიზარდა 5,1 პროცენტით.

ჩვენ საკმაო რაოდენობით მივიღეთ მძლავრი ორთქმავლები და გადავედით 90 ათასიან შემადგენლობაზე. რითაც საგრძნობლად გადიდდა გადაზიდვის შესაძლებლობანი. 1913 წელში ერთ საბარგო მატარებელს გადაჰქონდა 700 ტონა, ამჟამად გადააქვს 1475 ტონა; სამგზავრო მატარებლები ავიყვანეთ 540 ტონამდე.

ამხ. პოზდეევი

ა/კ. რკინისგზათა გამგეობის თავმჯდომარე

მოყვანილი ციფრები იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენ რაციონალურად ვაწარმოებთ გზების ექსპლოატაციას.

საექსპორტო ტვირთის გადაზიდვის გაძლიერების მიზნით ჩვენ დავიწყეთ აღმოსავლეთ უბანში მეორე ხაზის გაყვანა, რაც მალე დამთავრდება, აღვადგინეთ რამოდენიმე ხაზი და მომავალში განზრახულია 13 ახალი ხაზის გახსნა. განზრახული გვაქვს 120 კილომეტრის მანძილზე აღვადგინოთ მეორე ხაზი. ამ საკითხის გადაწყვეტას მიმდინარე წელში ხელი შეუშალა შპალების უქონლობამ, მაგრამ ამაში დამნაშავეა არა გზების გამგეობა, არამედ ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციები, რომელთაც გზები უზრუნველ უნდა ეყოთ შპალების საკმაო რაოდენობით.

სამწუხაროდ ამიერ-კავკასიის ტყეებს არ შეუძლიათ მოგვცეს შპალები საკმაო რაოდენობით. ამის გამო ჩვენ იძულებული ვართ შეუკვეთოთ ასეთი ცენტრში და ჩრდილო-კავკასიაში. გასულ წელს გზათა კომისარიატს ესაჭიროებოდა 11 მილიონი შპალი, ხოლო მიიღო 7 მილიონი. მიუხედავად ამისა საექსპლოატაციო გეგმა 26—27 წელში ჩვენ განვახორციელეთ თითქმის გადაჭარბებით. 1926-27 წელში გამოვცვალეთ 685 ათასი ცალი შპალი, 27—28 წელში უნდა გამოგვეცვალა 550 ათასი, მაგრამ ათი თვის განმავლობაში შევსძელით მხოლოდ 280 ათასის. დაბრკოლებები გვქონდა აგრეთვე რელსების გამოცვლის საქმეებიც.

დიდი მუშაობა სწარმოებს ხიდების ასაგებად. მთელი რიგი ხიდების აგება უკვე დავამთავრეთ მიმდინარე წელში. გაიხსნა ევლახის ხიდი, მოკლე ხანში, დამთავრდება საჯევახოს; ჩაქვის, ცხურის-ხევის და სხვა ხიდები.

რაც შეეხება საბინაო მშენებლობას, ამ მხრივ გვაქვს საგრძნობი მიღწევები, მაგრამ თქმა იმის, რომ ეს საკითხი მოწესრიგებულია, არ შეიძლება. მიმდინარე წელში საბინაო მშენებლობისათვის ცენტრ. კომუნალურ ბანკიდან მივიღეთ 7500 ათასი მანეთი, ხოლო 650.000 მანეთი საგზაო კომისარიატიდან. ამ თანხიდან 650 ათასი მანეთით დავამთავრეთ გასულ წელში დაწყებული სახლების აგება. 1927 წლის პირველი ოქტომბრიდან მიმდინარე წლის პირველ აგვისტომდე აგებულ იქნა 11.800 მეტრი საცხოვრებელი ბინა, ოქტომბერში დამთავრდება 4900 კვ. მეტრ. გარდა ამისა ლენინაკანში შენდება საერთო საცხოვრებელი ტიპის ბინა 2.500 მეტრის სივრცით. რაც შეეხება საბინაო კოოპერაციის მუშაობას შეიძლება ითქვას, რომ ეს მუშაობა არაა დამაკმაყოფილებელი.

ეხლა გადავიდეთ იმის დახასიათებაზე, თუ როგორია ჩვენი სახელოსნოების და დეპოების მდგომარეობა, რომელზედაც დამოკიდებულია რკინის გზების ნაყოფიერი მუშაობა. ამ მხრივ თუმცა ერთგვარ გაუმჯობესებას აქვს ადგილი, მაგრამ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობიდან კიდევ შორსა ვართ. ამ ორი თვის წინად ჩვენ გვქონდა 28 პროცენტი დაზიანებული ორთქმავლები, ხოლო პირველ სექტემბრისათვის ეს რიცხვი 22 პროცენტამდე შევამცირეთ. ეს კიდევ არაა საკმაო. დაზიანებულ ორთქმავლების მაქსიმალური პროცენტი არ უნდა აღემატებოდეს 18-ს, თუ ამას ჯერ ვერ მივაღწიეთ, ამის მიზეზი ის არის, რომ არა საკმაოდ უზრუნველყოფილი ვართ სარემონტო საშუალებებით. ჩვენი სახელოსნოები ძველი და მოუწყობელია. მივიღეთ ზომები სახელოსნოების გასაფართოებლად, მაგრამ საგრძნობი შედეგები ჯერ-ჯერობით არაა მიღწეული. შეკეთება არ სწარმოებს საფუძვლიანად და ამის გამო მატარებლების მარცხს კიდევ აქვს ადგილი. ამას აქვს მთელი რიგი მიზეზები, მაგრამ უმთავრესია უპასუხისმგებლობა იმათი, ვინც შეკეთებას აწარმოებს. ისინი გულგრილად ეპყრობიან თავიანთ მოვალეობას. აუცილებელია ამ მხრივ გაძლიერებული ბრძოლა, რომ აღმოვფხვრათ მოვალეობისადმი გულგრილობა.

ჩვენთვის აუცილებელია თვეში 30 ორთქმავლის შეკეთება, ხოლო ნამდვილად კი ვასწრებთ 23-ის შეკეთებას. აუცილებელია თბილისის მთავარი სახელოსნოების ისე გადაკეთება, რომ შესაძლებელი შეიქნეს მძლავრი ორთქმავლების შეკეთება.

დაზიანებულ საბარგო ვაგონების რიცხვი წინედ იყო 5 პროცენტი, ამჟამად კი არის 7 პროცენტი. ჩვენი ძირითადი ამოცანაა ამ რიცხვის მაქსიმალურად შემცირება, რაც შეეხება სამგზავრო ვაგონებს, ამ მხრივ ჩვენ უკეთეს მდგომარეობაში ვართ.

ჩვენი მეურნეობის სხვა დარგებში მდგომარეობა ცოტათ თუ ბევრად დამაკმაყოფილებელია.

შემდეგ ამხ. პოზდეევი შეეხო ნავთსადენის მდგომარეობის გაუმჯობესებას, საამისოდ საწყობების მდგომარეობას, სატარიფო რეფორმის გატარებას რკ. გზ., ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 20 პროც. შემცირების საკითხს, საწარმოო თათბირების მუშაობას, შრომის დაცვის საკითხს, ადმინისტრატიულ აპარატის პროფორგანიზაციებთან დაკავშირების საჭიროებას, კონფლიქტების შემცირების აუცილებლობას, პასუხისმგებლობის გაძლიერებას და დასძინა, რომ რკინის გზელ მუშების დახმარებით და იმ ორგანოსთან სრული შეთანხმებით, რომელსაც ყრილობა, აირჩევს, ჩვენ შევსძლებთ ყველა ნაკლოვანებების აღმოფხვრას.

ამხ. პოზდეევის მოხსენების შემდეგ ყრილობამ მოისმინა კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის სამხ.-რევოლიუც. საბჭოს თავმჯდომარის და წითელი ჯარის სარდლის ამხ. ლევანდოვსკის მისასალმებელი დეპეშა. ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს.

საღამოს სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. პოზდეევის მოხსენების შესახებ, კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. ჩაჩუამ, პაქსაშვილმა, მამედოვმა, ბუაძემ, რაჯმაძემ, იარამამედოვმა; ბუაძემ, რაჯმაძემ, იარამამედოვმა პეტროსიანმა და სხვებმა.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

საბჭოების გადარჩევა

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა საბჭოთა არჩევნებისათვის წინასწარი სამზადისი მუშაობა ჩაატაროს 1-ლ დეკემბრიდან 1-ლ იანვრამდე, ხოლო საარჩევნო საანგარიშო კამპანია 1-ლ იანვრიდან 1-ლ თებერვლამდე.

1929 წლის თებერვლის 1-ლიდან დაიწყება ძირითადი საბჭოების გადარჩევა, რომელიც უნდა დამთავრდეს მარტის პირველამდე.

აფხაზეთისა და აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის და სამაზრო საბჭოების ყრილობები ჩატარებული უნდა იქნეს 1929 წლის მარტის 1-დან და დამთავრდეს ამავე თვის 20-მდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა მოწვეული იქნება 1929 წლის მარტის ბოლო რიცხვებში. საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს საბჭოების გადარჩევისა და საბჭოთა ყრილობების ჩატარების გეგმა.

ნაწილობრივი არჩევნები

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა სამხრეთ-ოსეთში საბჭოების ნაწილობრივ არჩევნების ჩამტარებელ ცენტრალურ კომისიის თავმჯდომარეთ დაამტკიცა ამხ. კოზლოვი.

საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები

საქ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით სამხრეთ-ოსეთში და თბილისის მაზრის ზოგიერთ თემებს გარდა, საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები ჩატარდება ახალციხის მთაგორიან ადგილებში, სახელდობრ — ადიგენის, ურაველის და ნიალა-ლეპისის თემებში.

გარდა ამისა, საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები ჩატარებული იქნება გორის მაზრის გორტიბეს, ახალ სოფლის და ბაკურიანის თემებში.

ახალციხისა და გორის სამაზრო აღმასკომებს წინადადება მიეცეთ ნაწილობრივი არჩევნები ჩაატარონ საბჭოთა საერთო არჩევნების ვადამდე.

სახელწოდების შეცვლა კიკნაველეთის თემისთვის

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა ქუთაისის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა კიკნაველეთის თემისათვის სახელწოდების შეცვლის შესახებ. პრეზიდიუმის დადგენილებით ამიერიდან ამ თემს ეწოდება საკრაულას თემი.

უზენაეს სასამართლოში

იუსტიციის სახ. კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად უზენაეს სასამართლოს წევრად ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე ბუჯიაშვილი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

სას.-სამ. საგადასახადო კამპანიის დეფექტები

შეცდომები ობიექტების აღრიცხვის საქმეში. — გადახრები ინდივიდუალურ დაბეგვრის დროს. — წელს მთელ საქართველოში ჩამოწერილია 276.656 მანეთი. — როგორ უნდა გამოსწორდეს შეცდომები

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განყოფილების ცნობით, წლევანდელ სასოფლო - სამეურნეო გადასახადის კამპანიაში შემჩნეულია ზოგიერთი დეფექტები და ახალი კანონის ნაწილობრივი დამახინჯება.

მაგალითად, კანონი ამბობს, რომ თუ მოქალაქე ცხოვრობს თავის მეურნეობაში, დასაბეგრ განაკვეთში შეტანილი უნდა იქნეს მისი არამიწადმოქმედებითი შემოსავლის 15 პროცენტი. ხოლო თუ იგი სცხოვრობს არა თავის მეურნეობაში, — 10 პროცენტი. ადგილებზე კი ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნულია მთელი არამიწადმოქმედების შემოსავალი.

ახალი კანონით სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლებული არიან სასოფლო - მეურნეობის მუშები, სამაზრო აღმასკომების დაბალი თანამშრომლები, მედიკური პერსონალი, მასწავლებლები და სხვა, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ადგილებს დასაბეგრ განაკვეთში შეუტანიათ მათი მთელი ხელფასი. მაგალითად: ტყის მცველი ბარამ ბოლქვაძე (ხულოს მაზრაში) თვიურ ხელფასს ღებულობს 30 მანეთის რაოდენობით. საღრიცხვო საგადასახადო კომისიას დასაბეგრ განაკვეთში შეუტანია მთელი მისი წლიური ხელფასი, როდესაც ამ სახის შემოსავალი სრულიად არ უნდა იქნეს შეტანილი დასაბეგრ განაკვეთში. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი მაგალითები საკმაოდ ბევრია, რის შედეგადაც არამიწადმოქმედებითი შემოსავალი გაზრდილია აჭარისტანში შარშანდელთან შედარებით 456 პროცენტით, ლეჩხუმის მაზრაში 189 პრ. და სხ. კანონის დამახინჯებას აქვს ადგილი აგრეთვე ინდივიდუალური დაბეგვრის მეთოდის გატარებაშიც. ახალი კანონის ძალით, ის მეურნეობანი, რომელნიც ატარებენ არა შრომითი ხასიათს, იბეგრებიან არა ნორმის, არამედ ფაქტიური შემოსავლის მიხედვით. (თანახმად საღრიცხვო და საგადასახადო კომისიების დადგენილებისა). ასეთ მეურნეობათა რაოდენობა კანონის თანახმად მაზრაში უნდა განისაზღვროს 1—3 პროცენტით. ეს მეთოდი ახალი შემოღებულია. მიღებული იყო ყოველგვარი ზომები, რომ ადგილებს ის გაეგოთ სწორად, რა მიზნითაც მათ მიეცათ მთელი რიგი ინსტრუქციები და, გარდა ამისა ადგილებზე იგზავნებოდენ ინსტრუქტორები. მიუხედავად ამისა, შემჩნეულია, რომ ადგილებზე ზოგან ინდივიდუალურ მეთოდით დასაბეგრ აღრიცხვაზე აუყვანიათ შრომითი ხასიათის მეურნეობები. მაგალითად: ხულოს მაზრაში მოქ. ინუს ბერიძე, რომელიც მშრომელი ელემენტია, ამასთან უახლოეს მონაწილეობას ღებულობს საბჭ. აღმშენებლობაში და რომელიც კანონის მიხედვით უნდა დაბეგრილიყო მხოლოდ 16 მანეთით, დაუბეგრიათ 80 მანეთით. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ინდივიდუალურ მეურნეობათა სიები აღრიცხვის დროსვე არ ყოფილან განხილული ღარიბ გლეხობის საერთო კრებებზე, არამედ განუხილავთ შემდეგ.

ასეთი მდგომარეობის გამო არის შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალურად დასაბეგრ მეურნეობებთა სიაში არ არის შეტანილი ნამდვილი კულაკური მეურნეობანი.

თუმცა იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები დასაბეგრ ობიექტების გადაჭარბებული აღრიცხვისა. მაგალითად, აჭარისტანში მოქ. შარაძის ოჯახში აღრიცხულია ოთხი სული მჭამელი, როდესაც ფაქტიურად ოჯახში იმყოფება 5 მჭამელი, ხოლო ამავე ოჯახში ერთი ძროხის ნაცვლად აღრიცხულია რვა ძროხა.

რასაკვირველია, საღრიცხვო კამპანიაში დაშვებული იყო აგრეთვე უბრალო ტეხნიკური შეცდომები.

ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად საქართველოს ფინსახკომისარიატმა, თანახმად სადირექტივო ორგანოების განკარგულებისა, მიიღო საჭირო ზომები. ზედმეტად დაბეგრილ მაზრებისათვის კანონით განსაზღვრულ შეღავათების გარდა, დაწესებულია გადასახადების დაკლებისათვის სპეციალური ფონდი. ეს ფონდი შემოღებულია იმ ვარაუდით, რომ წელს გაწერილი გადასახადი გასულ წელს ფაქტიურად შემოსულ გადასახადს უნდა აღემატებოდეს არა უმეტეს 60 პროცენტისა. მაგალითად, აჭარისტანში გადასახადი გაწერილია 112.527 მან. რაოდენობით, გასულ წელს კი ფაქტიურად შემოვიდა 42.891 მან. მაშასადამე, წელს გაწერილი უნდა იქნეს 60 პროცენტით მეტი, ანუ 66.723 მანეთი, ხოლო ზედმეტად გაწერილი 45.804 მანეთი უნდა ჩამოაკლდეს წლევანდელ გაწერილ გადასახადს აღნიშნულ გადასახადების დაკლებითი ფონდის ანგარიშში.

საქართველოს ფინანსთა სახკომისარიატის გამოანგარიშებით, წელს გაწერილი გადასახადი საქართველოში უნდა შემცირდეს 276.656 მანეთით.

ამრიგად, გამოსწორებული იქნება ზემოჩამოთვლილი დეფექტები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმ საშუალო შეძლების მეურნეობებს, რომლებიც გასულ წელთან შედარებით დაბეგრილი არიან ორჯერ და უფრო მეტად. აგრეთვე მაქსიმალური ყურადღება მიექცევა იმას, რომ დაბეგრილი არ იქნან მცირე შეძლების და ღარიბი მეურნეობანი, რომლებიც შეცდომით მოხვდენ სიებში. ჩამოთვლილ დეფექტების გამოსწორება იწარმოებს საჩივრებისა და განცხადებათა განხილვის დროს. ადგილებს მიცემული აქვთ დირექტივები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განიხილონ საჩივრები და განცხადებები. მიღებული იქნება აგრეთვე ზომები, რომ შეღავათები არ გავრცელდეს კულაკური ელემენტებზე და დაბეგვრის კლასიური ხაზი დაცული იქნას ბოლომდე.

საჩივრებისა და განცხადებების განხილვა იწარმოებს ღარიბი გლეხების კრებებზე, ფინორგანოების და სათანადო დაწესებულებათა წარმომადგენლების თანადასწრებით. ამასთანავე მიღებული იქნება ზომები, რომ საჩივრების გამო არ დაგვიანდეს გადასახადების აკრეფა და, თანახმად დებულებისა, პირველ ოქტომბრისათვის აკრეფილი იქნეს მთელი გადასახადის 20 პროცენტი.

დასახელებულ ზომების განხორციელების უზრუნველსაყოფად ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ადგილებს დაუგზავნა სათანადო ინსტრუქციები; ამ მიზნითვე, მაზრებში იგზავნებიან ფინანსთა სახკომისარიატის ინსტრუქტორები და პასუხისმგებელი თანამშრომლები.

აგრონომიული მუშაობა გორის თემში

(წერილი გორის მაზრიდან)

გორის თემში სწრაფი ნაბიჯით ვითარდება სოფლის მეურნეობა და უმჯობესდება ღარიბ გლეხობის კოლექტივებში გაერთიანების საქმეც. აგრონომიულ პროპაგანდას და რჩევა-დარიგების მიცემას გლეხებზე უთუოდ საგრძნობი ნაყოფი მოაქვს სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში. ამის დამამტკიცებელია აგრონომიული მუშაობა გორის თემში. თემი აერთიანებს სულ 48 სოფელს, რომლის მოსახლეობა უმთავრესად მისდევს მემინდვრეობას. თემში ტარდება მიწათმოწყობა, რომელიც მოკლე ხანში დამთავრდება. ხელისუფლება დიდ დახმარებას უწევს გლეხებს გრძელვადიან სესხის მიცემით, თესლეულით, მანქანა-იარაღების მიწოდებით, აგრონომიული რჩევა-დარიგებებით და სხვა. თემს ჰყავს საკუთარი აგრონომი და მოწყობილია აგრონომიული პუნქტი, რომელიც საკმაოდ მომარაგებულია საჭირო სამეურნეო მანქანა-იარაღებით, როგორიცაა: თვითმკვრელი-სამკალი მანქანა, სარკვევი, სათიბი, საცეხვი, კულტივატორი (მწკრივზე მთესველი), გუთნები, სალეწი მანქანა და სხვა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქ ზოგიერთ თემებისათვის აგრო-პუნქტის მანქანა-იარაღები გამოუყენებელი არ რჩება გლეხების მიერ. დღეს უკვე თემში, ბევრი გლეხი თესლეულს მანქანით არჩევს, სწამლავს და ისე თესავს. გლეხობა სიხარულით ეგებება სოფელში აგრონომის მოსვლას და სიამოვნებით ღებულობს მის რჩევა-დარიგებებს. ტარდება აგრეთვე საუბრები კოლექტივების მოწყობის შესახებ. უკანასკნელ 7—8 თვის განმავლობაში თემში დაარსდა რვა კოლექტივი. სოფ. ატენში, სადაც გაერთიანებულია 18 ღარიბი გლეხი. ეს კოლექტივი მისდევს მეხილეობა-მევენახეობას; ხელისუფლებამ იჯარით მისცა კოლექტივს 5 დესეტინა ხილის ბაღი, კოლექტივმა გაპარტახებული ხილის ბაღი ფეხზე დააყენა—აგრონომის დახმარებით. ამავე ადგილში კოლექტივმა დათესა სხვადასხვა კულტურული მცენარეები. კოლექტივის მიერ ბაღი შემოღობილია მავთულით. ხელისუფლებამ კოლექტივს სასოფლო-სამეურნეო ბანკში გაუხსნა 3.000 მანეთის კრედიტი. კოლექტივი ამჟამად აპირებს 5 დესეტინის სივრცეზე ამერიკული ჯიშის ვაზის გაშენებას. ამ კოლექტივის მუშაობა თემში სამაგალითოდ უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია აგრეთვე ზეღდულეთის კოლექტივის საქმიანობაც. ამ კოლექტივში გაერთიანებულია 22 წევრი, ამათში 15 ღარიბი გლეხია, 2 მოჯამაგირე, 1 ქვრივი მეოჯახე ქალი, დანარჩენი კი საშუალო გლეხებია. კოლექტივი ამუშავებს 60 დესეტინამდე მიწას. 40 დესეტინა თვით კოლექტივის წევრებისაა გაერთიანებული, ხოლო 20 დესეტინა მიეზომა საფონდო ადგილებიდან. კოლექტივს საკუთრად აქვს სამკალი—თვითმკრელი მანქანა, ტრაქტორი, 4 გუთანი და სხვა. ამ კოლექტივმა ტირიფონის ველზე, სადაც წყალი ჯერ არ არის გაყვანილი და ადგილობრივ გლეხობას მის სარგებლიანობაზე წარმოდგენა არა აქვს, ჭაობიან ადგილის შერჩევით 5 დესეტინის სივრცეზე მოიყვანა მშვენიერი ბოსტანი, რომლის შემოსავალი ნავარაუდევია 2.000 მანეთამდე. ზეღდულეთის კოლექტივს დიდი მომავალი აქვს.

დაარსებულია აგრეთვე კოლექტივები: ახალ სოფელში (ირიცხება 22 წევრი), ქარალეთში (ირიცხება 40 წევრი), მისდევენ მეფრინველეობას, თორტიზაში (ირიცხება 12 წევრი), [illegible] (ირიცხება 21 წევრი), ნაწრეტში (ირიცხება 18 წევრი) და სოფ. გარე-ჯვარში, (ირიცხება 25 წევრი).

საერთოდ კოლექტივებს სანიმუშოდ აქვთ დაყენებული თავიანთი მეურნეობა, რაც კარგ მაგალითს აძლევს კოლექტივების გარეშე მყოფ გლეხებს. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს უკვე ბევრი გლეხი მიმართავს აგრონომს კოლექტივის დაარსების შესახებ. ხელმძღვანელობა კოლექტივებზე დამაკმაყოფილებელია. აგრონომი ხშირი სტუმარია კოლექტივების.

ხელისუფლებამ დახმარება აღმოუჩინა ყველა კოლექტივებს. გრძელვადიანი სესხის სახით მიეცა მათ 15.000 მანეთი. კოლექტივებს ჰყავთ თავიანთი გამგეობები, რომლებიც ყოველთვიურად ანგარიშს აბარებენ ამომრჩევლებს, რის შემდეგ მათი ოქმები იგზავნება ხელისუფლების სათანადო ორგანოში. ზომების მისაღებათ ოქმში აღნიშნულ საკითხებზე.

კოლექტივების ასეთი ნაყოფიერი მუშაობა მოსვენებას არ აძლევს კულაკებს და ცდილობენ როგორმე შეაფერხონ მათი საქმიანობა. იყო შემთხვევა, როდესაც რამოდენიმე უვიცი გლეხი წამოეგო კულაკების ანკესზე, დასტოვა კოლექტივი. „კოლექტივიდან რა უნდა გერგოთ, ტოლით მე მოგიხნავთ, თესლსაც მოგცემთ და შემდეგ გავინაწილოთო". ასეთ „კეთილ-საიმედო" სიტყვებით მიმართავდენ კულაკები გლეხებს, მაგრამ ამ დროს არ ეძინა აგრონომსაც და მიღებულ ზომების კოლექტივიდან გამოსული გლეხები ისევ უკან ბრუნდებოდნენ.

ასეთია მოკლე ცნობები გორის თემის კოლექტივების მუშაობა-საქმიანობის შესახებ.

გარდა ამ მუშაობისა აგრო-პუნქტი აწარმოებს საცდელ-საჩვენებელ მუშაობას. ათი დესეტინის სივრცეზე დაითესა შაქრის ჭარხალი. სწარმოებს მუშაობა აგრო-განათლების დარგში. სასოფლო ყრილობაზე ჯგუფად შეკრებილ გლეხებში ტარდება აგრონომის მოხსენება-საუბრები, სწარმოებს საწრეო მუშაობაც. მოწყობილი იყო ორკვირიანი კურსები მევენახეობაზე. საჭიროა მომავალში უფრო მეტი აგრო-წრეების დაარსება.

ნაყოფიერად ჩატარდა საგაზაფხულო თესვის კამპანიაც. გლეხებს სათესად მიეცათ — 1.000 ფუთი ქერი და სიმინდი. ასეთმა დახმარებამ გლეხობა წაახალისა. წარსულ წელთან შედარებით ნათესის ადგილები გაიზარდა 800 დესეტინით. სწარმოებს მზადება საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის. ყველა ამ საქმიანობაში აღსანიშნავია აგრეთვე ვასო ცომაკურიძის ენერგიული მუშაობა, რომელიც ჩაბმულია სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ქართლელი.

ხელი მოაწერეთ
ინდუსტრიალიზაციის მ. სესხს!

როგორ მიმდინარეობს სესხის რეალიზაცია

ხელის მოწერამ საქართველოში გადააჭარბა 5.200.000 მან.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობით ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის საკონტროლო ციფრი საქართველოსათვის განსაზღვრული იყო 4 მილიონი მანეთით, ხოლო სარეზერვო ფონდით 5 მილიონ მანეთით.

სარეალიზაციო კამპანია საქართველოში თავიდანვე ინტენსიურათ სწარმოებდა, ხოლო შემდეგში კიდევ უფრო მეტის წარმატებით განვითარდა. თუ როგორი ინტენსივობით სწარმოებს ჩვენში სარეალიზაციო კამპანია, ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ჯერ სარეალიზაციო კამპანიის ნახევარი ვადაც არ გასულა და სარეზერვო ფონდი უკვე დაფარულია გადაჭარბებით.

მიღებული ცნობების თანახმად 28 სექტემბრისათვის სესხზე ხელის მოწერა საქართველოში შეადგენდა 5.200.000 მანეთს, აქედან თბილისში—3.523.000 მან., აჭარისტანში—376.000 მან., აფხაზეთში — 270.000 მან., გორის მაზრაში — 280.000 მან, შორაპნის მაზრაში — 230.000 მან., ქუთაისის მაზრაში — 175.000 მან., კახეთის მაზრაში—75.000 მან., ახალციხის მაზრაში—80.000 მან., ახალქალაქის მაზრაში—18.000 მან., ბორჩალოს მაზრაში—56.000 მან., სენაკის მაზრაში—50.000 მან., ზუგდიდის მაზრაში — 46.000 მან., ოზურგეთის მაზრაში — 64.000 მან., ფოთში—51.000 მან., და სამხრეთ-ოსეთში—49.000 მან.

მიღებულია ცნობები, რომ ხელის მოწერა წარმატებით გრძელდება. ზოგიერთ ადგილებში ხელის მოწერა უკვე მთლიანად ჩამოყალიბებულია, ხოლო დანარჩენ რაიონებში ხელის მოწერის ჩამოყალიბება ნორმალურათ მიმდინარეობს.

მაზრებში

ცვალებადი წითელ-არმიელებიც იძენენ სესხს

(წერილი გორიდან)

ამას წინად შესდგა მეორე საარტპარკის ცვალებად წითელ არმიელთა საერთო კრება, რომელზედაც გაკეთებულ იქნა ვრცელი მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობაზე. შეკითხვების შემდეგ წითელ არმიელებმა ერთხმად დაადგინეს გაიღონ თავისი მცირედი წვლილი სესხის შესაძენად. ხელის მოწერით შეგროვდა 200 მანეთამდე თანხა. ამ თანხით შეძენილი ობლიგაცია რჩება საარტ. პარკს კულტურული ფონდის გასადიდებლად.

ხ. კოკაჩიშვილი.

მაგალითი უჩვენეს

(ბორჩალოს მაზრა)

ბორჩალოს მაზრაში ჯერ კიდევ საერთო კრებების მოწვევამდე მაზრის ფინ. განყოფილებამ დანიშნა კონტრ-აგენტი სესხზე ხელის მოწერის შესაგროვებლად. ამ ამბავმა მასწავლებლების ყურამდე მიაღწია და პირველ რიგში კონტრ-აგენტთან გამოცხადდა სოფ. ტანძიის მასწავლებელი ნინო ყიფშიძე, რომელმაც 120 მანეთზე მოაწერა ხელი, მისი ხელფასი კი უდრის 40 მანეთს; შემდეგ ხელი მოაწერა ანა პეტრიაშვილმა (150 მანეთზე, ხელფასი უდრის 46 მანეთს).

ამ ამხანაგებმა მისცეს მაგალითი დანარჩენ მასწავლებლებს და ერთი კვირის განმავლობაში ლუქსემბურგის უბნის მასწავლებლებმა შეიძინეს სულ 4.000 მან. ობლიგაციები.

მასწავლებელი.

სართიჭალა, (თბ. მაზრა)

9 სექტემბერს თემის ყველა სოფლებში მოწვეულ იყო გლეხთა ფართო კრებები, რომელზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენებები ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის და მისი შეძენის პირობების შესახებ; გლეხობა სესხს ყველგან თანაგრძნობით ხვდება.

სესხის ობლიგაციების გავრცელებაში დიდ როლს ითამაშებენ, რაიონში მყოფი სარძეო ამხანაგობები და კოოპერატივი, რომელთაც წინასწარ მიღებული აქვს სათანადო ღონისძიებანი.

9 სექტემბერს საღამოს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების რაიადგილკომის მიერ მოწვეულ იქნა კავშირის წევრების კრება. კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება: თვითეულ მუშა-მოსამსახურემ გამოიწეროს სესხი ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობით.

შ. გარე-კახელი.

ხობი, ზუგდიდის მაზრა

სკოლის, აღმასკომის, კოოპერატივის, საკრედიტო ამხანაგობის, სამკითხველოს, ფოსტა-ტელეგრაფის, სახალხო სასამართლოს, საავადმყოფოს და სხვა დაწესებულებათა თანამშრომლებმა გადასდეს ერთი თვის ხელფასი ობლიგაციების შესაძენად, ხოლო სახელმწიფო დაზღვევის სააგენტოს თანამშრომლებმა ამხ. ი. ბუბუტეიშვილის თაოსნობით ხელი მოაწერეს ორ-ორი თვის ხელფასის რაოდენობით.

ქ. ბ—ლი.

[illegible]

14 სექტემბერს 25 ოქტომბრის სახელობის კლუბში შესდგა პერევისის მაღაროს მუშა-მოსამსახურეთა კრება, რომელსაც დაესწრო—400 კაცი. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. აბაშიძემ. კრებამ დაადგინა თვითეულმა მუშა-მოსამსახურემ შეიძინოს ობლიგაციები არა ნაკლებ ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

შ. ლომიძე.

მიწა-ტყის კავშირში

(ქუთაისი)

ამას წინედ შესდგა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო და ტყის მუშაკთა პროფ-კავშირის წევრთა გაერთიანებული კრება, სადაც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გოლეთიანმა. კრებამ დაადგინა: მუდმივ სამუშაოზე მყოფ მუშა-მოსამსახურემ ხელი მოაწეროს ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციებზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, ხოლო სეზონურმა სურვილის მიხედვით.

ივანე ბუხაიძე.

ს. შინდისი, გორის მაზრა

14 სექტემბერს შესდგა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების და მედსანშრომის კავშირის წევრთა გაერთიანებული კრება, სადაც გამოტანილ იქნა დადგენილება: გადადებულ იქნას ერთი თვის ხელფასი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების შესაძენად. გამოყოფილ იქნა სესხის გავრცელებისათვის ხელის შემწყობი კომისია.

გ. შ.

გომის თემი, ქუთ. მაზრა

17 ს[illegible] გომის თემის მასწავლებელთა გაერთიანებული კრება. კრების დღის წესრიგში იდგა საკითხი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა გადასდოს ერთი თვის ხელფასი სესხის შესაძენად.

ა. ც.

ფოთი

19 სექტემბერს ფოთის ფოსტელ მუშაკთა საერთო კრებამ ამხ. ფრიდმანის მოხსენების შემდეგ ერთხმად დაადგინა გადასდოს ერთი თვის ხელფასი ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების შესაძენად. სულ ფოთის ფოსტელებს შორის გავრცელებულია 2170 მან. ობლიგაციები. განყოფილების დამტარებელ ამხ. ივლიანე თოფურიამ და ფოსტალიონ ანდრია ხაბურზანიამ შეიძინეს სამი თვის ხელფასის რაოდენობის ობლიგაცია.

ბუჭა.

ოზურგეთი

საავადმყოფოს, სამალარიო სადგურის, ვენერიულ და ტუბერკულოზის დისპანსერების თანამშრომელთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. ბ. ღლონტის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობაზე. კრებამ ერთხმად დაადგინა: ობლიგაციების შესაძენად გაღებულ იქნას ერთი თვის ხელფასი. სულ 58 მუშა-მოსამსახურემ ხელი მოაწერა 2.601 მან. ობლიგაციაზე.

ზ. კ—ძე.

დუშეთის რაიონი

ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია დუშეთის რაიონში წარმატებით მიმდინარეობს.

ჩატარებულ იქნა მოხსენებები მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულ კრებებზე, სადაც ერთხმად გამოჰქონდათ დადგენილებები ობლიგაციების შესაძენად თითო თვის ხელფასის გადადების შესახებ.

დუშეთის რაიონში შემავალ თემებს მიეცათ საკონტროლო ციფრები. მაგალითად დუშეთის თემზე მიწერილი იყო 5.300 მანეთი, მაგრამ უკვე ხელმოწერილია 9.000 მანეთის ობლიგაცია.

ა. დ—ში.

საგარეჯოს თემი, გარე-კახეთი

საგარეჯოს თემში წარმატებით მიმდინარეობს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების გავრცელების კამპანია. გლეხობისა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე ტარდება მოხსენება-საუბრები ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ. 21 სექტემბერს მოწვეულ იქნა თემის პროფკავშირების წევრთა გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო 100-მდე მუშა-მოსამსახურე და აქტიური გლეხები. სათანადო მოხსენების მოსმენის შემდეგ საბჭოთა სავაჭრო პროფკავშირის, განათლების და მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის წევრთა გაერთიანებულ კრებამ ერთხმად დაადგინა გაიღოს ერთი თვის ხელფასი ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების შესაძენად. ამავე კრებაზე 15-მდე ამხანაგმა მოაწერეს ხელი ობლიგაციების შესაძენად ორი თვისა და თვე-ნახევრის ხელფასის რაოდენობით.

ელგ.

სიღნაღი

ქ. სიღნაღის სტამბის მუშა-მოსამსახურეებმა ვიწერთ მეორე ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციებს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, რაც უდრის 500 მანეთს. ამის გარდა სტამბა „სიმართლე"-მ შეიძინა თავის ხარჯზე 150 მანეთის ობლიგაცია.

სტამბის მუშა.

სამფინგანის თანამშრომლებში

(სიღნაღი)

15 სექტემბერს შესდგა კახეთის მაზრის სამფინგანის ქ. სიღნაღში არსებულ დაწესებულებათა თანამშრომლების საერთო კრება. კრებამ მოისმინა ამხ. ს. ღარიბაშვილის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა გადასდოს თითო თვის ხელფასი ობლიგაციების შესაძენად. არჩეულ იქნა კომისია სესხის რეალიზაციის ხელის შეწყობისათვის.

შ. ზურიაშვილი.

მარტყოფი. თბილისის მაზრა

21 სექტემბერს შესდგა მარტყოფის თემში შემავალ მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. ფარსმანაშვილის მოხსენება სესხის მნიშვნელობაზე. კრებამ დაადგინა თითო თვის ხელფასი გადასდოს ობლიგაციების შესაძენად.

შ. კანდელაკი.

საქ. სახკომსაბჭოში

ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციების შესახებ

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი ადგილობრივ (სამაზრო-საქალაქო) სავაჭრო ორგანიზაციების შეერთების შესახებ საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საზოგადოებასთან.

კოოპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტის მიმწოდებელი კომიტეტის შედგენილობის შევსება

საკავშირო კოოპერატიულ ბანკის საქართველოს განყოფილებასთან არსებულ კოოპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტის მიმწოდებელ კომიტეტის შედგენილობაში შეყვანილ იქნა სარეწაო კოოპერაციიდან ამხ. აიკაზოვი.

საგეგმო კომისიის მოწყობა ს.მ.უ. საბჭოსთან

სახ. საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ წინადადება მისცა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოაწყოს საგეგმო კომისია ს.მ.უ. საბჭოს შტატის ფარგლებში.

პირველდაწყებითი სავალდებულო საერთო სწავლების შემოღება ქ. თბილისში

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა თბილისის აღმასკომის მიერ შემუშავებული პროექტი დადგენილებისა—ქ. თბილისში პირველდაწყებითი სავალდებულო საერთო სწავლების შემოღების შესახებ.

ოდონტოლოგიური ინსტიტუტის მოწყობა

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო ოდონტოლოგიური ინსტიტუტის მოწყობა თბილისის სახ. უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტთან, რომლის ხელმძღვანელობა დაევალება მედიკურ ფაკულტეტის დეკანს.

განათლების სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა წარმოადგინოს მოხსენება ხსენებულ ინსტიტუტში მსმენელების მიღების პირობების შესახებ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიაში

იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად დაინიშნა ამხ. ა. ყამარაული.

თესვის კამპანიის ჩატარების რწმუნებულის მოადგილე

თესვის კამპანიის ჩატარების რწმუნებულის მოადგილე ამხ. რასულ-ზადე განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან.

თესვის კამპანიის ჩატარების რწმუნებულის მოადგილეთ დაინიშნა ამხ. მ. ძამანაშვილი.

წყალთა მეურნეობის 1928—29 წ. ხარჯთაღრიცხვა

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს 1928—29 წ. ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნა 4.507.000 მანეთის რაოდენობით.

მ—გ. ინსპექციის 1928—29 წ. საგასავალო ხარჯთაღრიცხვა

მ.—გ. ინსპექციის სახ. კომისარიატის 1928—29 წ. საგასავლო ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნა 210.774 მან. რაოდენობით.

სამხრეთ-ოსეთის კოოპერატიულ კავშირის ლიმიტი

წინადადება მიეცა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს სამხრეთ-ოსეთის კოოპერატიულ კავშირს საკრედიტო ლიმიტი აღუდგინოს გასულ წლის ლიმიტის რაოდენობით.

ვაშლის დამზადების შესახებ

წინადადება მიეცა ა.-კ. სახ. ვაჭრობას მიიღოს ყოველივე ზომები, რათა ვაშლის დასაზარისხებლად საჭირო ფარდულები დამთავრებულ იქნეს მოკლე ხანში.

მედსანშრომის მუშაკთა მეშვიდე ყრილობა

მეოთხე და მეხუთე სხდომები

27 სექტემბრის დილის და საღამოს სხდომებზე გრძელდებოდა კამათი ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ

კამათში გამოსული დელეგატები დაწვრილებით შეეხნენ ადგილებზე კავშირის მუშაობას და საჭიროდ სცნეს მუშაობის გაცხოველება და გაფართოება.

კერძოდ ორატორები შეეხნენ ექიმების მუშაობის პირობებს სოფლად. ექიმებს სოფლად მუშაობა უხდებათ განუსაზღვრელ დროს განმავლობაში. მათთვის არ არსებობს დასასვენებელი დღე, უხდებათ შორეულ სოფლებში მგზავრობა, ხელფასს კი ვერ ღებულობენ შესაფერს.

რაჭა-ლეჩხუმის მაზრის წარმომადგენელმა უსაყვედურა ცენტრ. გამგეობას, რომ იგი საჭირო ზომებს არ ღებულობს დაბალი მედ. პერსონალის ნივთიერად უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო მინიმუმი განსაზღვრულია 25 მანეთი, ონის საავადმყოფოს დაბალი მოსამსახურეები კი თვიურ ხელფასად ღებულობენ 13-დან 20 მანეთამდე.

სურამიდან ჩამოსულმა დელეგატებმა ყრილობას დაუხატა ის სურათი, თუ როგორ პირობებში უხდება მუშაობა სურამის ფსიქიატრიული ახალშენისა და საავადმყოფოს მოსამსახურეებს. აქ ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, როდესაც თვით მოსამსახურის ან ავადმყოფების მომვლელებს ფსიხოზი იპყრობს და თვით ავადმყოფდებიან ფსიქიურად. ამიტომ დელეგატები მოითხოვდენ, რომ კავშირმა გამოიმუშაოს ღონისძიებანი. ნორმალური სამუშაო პირობების შესაქმნელად ხსენებულ დაწესებულებებში.

მეექვსე და მეშვიდე სხდომები

მეექვსე სხდომაზე გრძელდება კამათი, რის შემდეგ მოსმენილ იქნა მომხსენებლის—ამხ. ა. ჯიჯაძის საბოლოო სიტყვა.

ამხ. ჯიჯაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ცენტრ. გამგეობის მუშაობა ცნობილია დამაკმაყოფილებლად, ამორჩეულია კომისია 18 კაცის შემადგენლობით. მოხსენების გარშემო პრაქტიკულ წინადადებათა შესამუშავებლად.

მეშვიდე სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ჯანმრთ. სახ. კომისარის მოადგილე ამხ. გზე დაყენებას. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ამჟამად მთელ რესპუბლიკაში არსებობს 83 საავადმყოფო. 4.300 საწოლით. 21 საავადმყოფო გახსნილია მარტო სასოფლო ადგილებში და მათში საწოლთა რიცხვი უდრის 2.263. ამას გარდა მოქმედობს 91 ამბულატორია, 240 საექიმო პუნქტი, 80-მდე საფერშლო პუნქტი, 2 პოლიკლინიკა და 83 კბილის სნეულებათა კაბინეტი.

შესამჩნევადაა გაუმჯობესებული და გამარტივებული საექიმო დახმარების საქმე სოფლად.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგური ამუშავდება 1930 წელს

თბილისში ჩამოვიდა აჭარის წყალის ჰიდრო ელსადგურის საამშენებლო სამუშაოთა მთავარი ინჟინერი—ი. მაშევსკი, რომელიც ახლახან დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც მონაწილეობა მიიღო უმაღლეს საკავშირო ორგანოებში აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის გადამუშავებელი პროექტის განხილვაში.



აჭარისწყლის ჰიდრო-ელსადგური.—ფსკერის გვირაბი

სადგურის საამშენებლო სამუშაოთა უახლოესი პერსპექტივების შესახებ ინჟ. მაშევსკიმ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— უმაღლეს საკავშირო ორგანოებში განსახილველად წარდგენილი იყო აჭარის წყალის სადგურის დასამთავრებელი პროექტის სამი ვარიანტი. იმ ვარიანტით, რომელიც ამჟამად მიღებული და დამტკიცებულია გათვალისწინებულია მთელ რიგ ისეთ სამუშაოთა შესრულება, რითაც დაჩქარებული იქნება სადგურის აგება, 1930 წლის მარტში სადგური ამუშავებულ უნდა იქნეს. პირველ რიგში სადგური იმუშავებს ე. წ. დაბალი წნევით და მოგვცემს 6.700 კილოვატ ენერგიას. გარდა ამისა პროექტით გათვალისწინებულია, რომ არხიდან ზედმეტი წყლის გადასაშვებათ გაყვანილ იქნეს არა გვირაბი, არამედ ღია არხი, რითაც ჯერ ერთი შემცირებული იქნება ხარჯი და მეორეც სამუშაო შესრულებული იქნება უფრო მოკლე ხანში.

ახლო მომავალში შეუდგებით თვით სადგურის აგებას. დასახულ სამუშაოთა შესასრულებლად მომავალი წლისათვის უზრუნველყოფილი ვართ საჭირო თანხებით.

ქრონიკა

ინჟ. ბ. ჭიჭინაძის დაბრუნება

მოსკოვიდან დაბრუნდა და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე.

ამხ. ვასილიევის დაბრუნება

28 სექტემბერს შვებულებიდან დაუბრუნდა და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრი და კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. ვასილიევი.

საბჭოთა სავაჭრო ფლოტის რწმუნებული

საბჭოთა სავაჭრო ფლოტის რწმუნებულად ამიერ-კავკასიაში, დაინიშნა ამხ. ა. მ. ხაჩიკიანი, რომელიც უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

მუშაობის დაწყება დილის 9 საათიდან

საქ. შრომის სახალხო კომისარიატის ცნობით 1-ლ ოქტომბრიდან ყველა სახელმწიფოებრივ, საზოგადო და კოოპერატიულ დაწესებულებებში მუშაობა დაიწყება დილის 9 საათზე და დამთავრდება ნაშუადღევის 3½ საათზე.

ხელფასის 60 პროცენტი პენსიონერებს

საკავშირო პროფსაბჭომ მომავალი წლის დაზღვევის საკონტროლო ციფრების განხილვის დროს საჭიროდ სცნო, რომ ყველა მოხუცებულ მუშებს, რომლებიც 1928-29 წ. გადაყვანილი იქნებიან პენსიაზე, პენსია მიეცეს მათი ჩვეულებრივი ხელფასის 60 პროცენტის რაოდენობით.

რემედასის ლატარიის მოგებათა მიღება

საქ. რემედასის ცენტრალური კომიტეტი აცხადებს ყველა იმ პირების საყურადღებოთ, რომელთაც აქვთ მოგებულ პრემიების ტალონები, ასეთები წარმოადგინონ 1-ლ ოქტომბრამდე, შემდეგ მოგებათა გაცემა შესწყდება.

საბაზრო კომიტეტები

თბილისის ბაზრებზე წესრიგის დაცვისა და სანიტარულ პირობების გაუმჯობესების მიზნით თბ. ალმასკომმა დაადგინა თბილისის ყველა ბაზრებზე დაარსოს საბაზრო კომიტეტები.

კომიტეტის დაარსებისათვის წინასწარი მუშაობა დამთავრდება ამ თვის ბოლო რიცხვებამდე. 1 ოქტომბრიდან კომიტეტები შეუდგებიან მუშაობას.

თვითეული კომიტეტი შესდგება 5 წევრისაგან, კომიტეტში შეყვანილი იქნება მუშკოოპის და თვითმშრომელთა 2 წარმომადგენელი და 2 კერძო ვაჭართა წარმომადგენელი, მეხუთე—კომიტეტის თავმჯდომარე დაინიშნება ალმასკომის მიერ.

გერმანელი ჟურნალისტის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა გერმანელი ჟურნალისტი არტურ იუსტი, რომელიც დარჩება თბილისში სამუშაოდ.

„პტიცევოდსოიუზი“-ს თავმჯდომარე თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა მეფრინველეობის საკავშირო კოოპერატიულ კავშირის „პტიცევოდსოიუზი“-ს თავმჯდომარე მ. ფოფანოვი. მისი ჩამოსვლის მიზანია მეფრინველეობის მდგომარეობასთან გაცნობა საქართველოში.

თბილისის ალმასკომში

◆ ჩამორთმეულ სახლების მოსავლელად ალმასკომმა გადასდო 145.053 მანეთი.

◆ ახალი წყალსადენის საჭიროებისათვის კომუნალურ განყოფილებას დამატებით გადაეცა 30.000 მანეთი.

◆ თბ. მაზრის გლეხკომს თბ. ალმასკომმა გადასცა ორთაჭალაში და მაიდანში მდებარე ბაღები.

◆ თიანეთის ალმასკომს თემის საჭიროებისათვის თბ. ალმასკომმა გადასცა 2425 მან.

◆ ქალაქის საავადმყოფოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასდო 15.000 მან.

შრომის კომისარიატში

◆ შრომის შესახებ გამოტანილი დადგენილებები, უმაღლეს ორგანოების განკარგულებით, სასამართლოს და ადმინისტრატიული ორგანოებმა, 48 საათის განმავლობაში უნდა აცნობონ შრომის ინსპექტორებს;

◆ უმუშევრობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად შრომის კომისარიატმა შეიმუშავა სპეციალური გეგმა, რომლის მიხედვით რესპუბლიკის მთავარ ქალაქებში ზამთრის რესლაინში მოეწყობა ახალი საზოგადო სამუშაოები.

სხვადასხვა

◆ წითელი ჯვარის სამკურნალოები. საგებმ. კომისიამ მიზანშეწონილად სცნო წითელი ჯვრის სამკურნალო დაწესებულებების ადგილობრივ ორგანოებისათვის გადაცემა.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. ბორჯომიდან—ხარიტონიას, გორიდან—გვახარიას, მეჯვრისხევიდან—ჩოტაშვილს, ველისციხიდან—გომელაურს და ქუთაისიდან—შაუთიძოვს.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ საგარეჯოს სახალხო თეატრში 30 სექტემბერს გაიმართება ადგილობრივ დამსახურებულ სცენის მოყვარის საშა ანუაშვილის საღამო.

◆ თეატრი ავლაბარში. ავლაბარში მუშათა თეატრის ასაგებათ თბ. ალმასკომმა გადასდო 133.000 მანეთი.

მარელისის ფაბრიკის გარშემო

(თათბირი ს. მ. უ. ს.-ში)

27 სექტემბერს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმთან შესდგა გაფართოებული თათბირი მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. თათბირს, გარდა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმისა დაესწრენ სატყეო მრეწველობის ტრესტის, ხის დამუშავებელთა კავშირის, მარელისის ფაბრიკის და სხვა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

როგორც პრესაში უკვე იყო აღნიშნული; მარელისის ფაბრიკის პროდუქცია ჯდება იმაზე მეტი, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო წინასწარ. გარდა ამისა, გამოშვებული პროდუქცია ვერაა კარგი ღირსების, რაც აძნელებს პროდუქციის გასაღებას. მარტო ერთ წელიწადსა და 5 თვეში წარმოებამ იზარალა 250.000 მანეთი.

ხაინფორმაციო მოხსენება თათბირზე გააკეთა სატყეო ტრესტის საწარმოო-საგეგმო განყოფ. წარმომადგენელმა ინჟ. ავალიანმა. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ამხ. გ. ყურულიშვილმა, გოდიბრელიძემ, ელბაქიანმა, სალდაძემ, ლიტვინენკომ (მარელის. ქარხნის ტექნ. დირექტორი) და სხვ.

საკითხის დაწვრილებით განხილვის შემდეგ თათბირმა დაადგინა ამოირჩიოს კომისია, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს ყველა საჭირო ღონისძიებები მარელისის ქარხანაში არსებული დეფექტების გამოსასწორებლათ და გრეხილი ავეჯეულობის წარმოების საღ ნიადაგზე დასაყენებლათ.

კომისიაში არჩეული არიან ამხ. ა. კალანდაძე, იორაშვილი, ძნელაძე, და სალდაძე (პროფკავშირიდან), ინჟ. გედევანიშვილი, ინჟ. ავალიანი და ამხ. ელბაქიანი.

კომისიამ თავისი მუშაობა უნდა დაასრულოს ერთი კვირის განმავლობაში და თავისი მოსაზრებანი წარუდგინოს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შემოზიდვის მოსაწესრიგებლად

დღემდე ამიერ-კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოზიდვა სწარმოებდა ადგილობრივ პირობებთან შეუთანხმებლად. ამიერ-კავკასია კი თავისი ბუნებრივი მდებარეობით მოითხოვს შერჩეულ ტიპის სასოფლო სამეურნეო მანქანებს. მაგალითად თუ ერთი ტიპის ტრაქტორი, ან სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა გამოსადეგია რომელიმე რაიონში, სხვა რაიონისათვის ის სრულებით უვარგისია.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს როგორც ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, ისე [illegible] ორგანოებმა და გადაწყდა ამიერ-კავკასიის რაიონებად დაყოფა თვითეულ ცალკე რაიონისათვის გამოსადეგ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესარჩევად.

ამიერ-კავკასიის რაიონებად დაყოფის საკითხის ადგილობრივ გადასაწყვეტად მოსკოვიდან ჩამოვიდა საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სასტანდარტო კომისია ამხ. ალფიმოვის ხელმძღვანელობით.

გუშინ შესდგა კომისიის სხდომა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკანურ მიწად-მოქმედების კომისარიატების და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შემომტან ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. სხდომას დაესწრნენ აგრეთვე სპეციალისტები.

სხდომამ მოისმინა ამხ. ალფიმოვის მოხსენება ამიერ-კავკასიის დარაიონების შესახებ და დაადგინა—ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო რაიონებად დაყოფის მიზნით ჩატარებული იქნეს სპეციალური გამოკვლევა. გამოკვლევისა და ამიერ-კავკ. რაიონებად დაყოფის შემდეგ გამომუშავებული იქნება, თუ რომელ რაიონში რა ტიპის სასოფლო-სამეურნეო იარაღის გამოყენებაა მიზანშეწონილი.

შემდეგში გამოწერილი იქნება მხოლოდ თვითეულ რაიონისათვის გამოსადეგი ტიპის მანქანები.

თვითეულ რესპუბლიკის რაიონებად დაყოფისა და გამოკვლევის ჩასატარებლად დაარსებული იქნება რესპუბლიკანური კომისიები. ამ საქმისათვის საკავშირო თანხებიდან უკვე გადადებულია 48.935 მანეთი. აქედან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რაიონებად დასაყოფად გადადებულია 17.360 მანეთი, აზერბეიჯანისათვის—22.140 მანეთი და სომხეთისათვის—19.575 მან. საქართველოში გამოკვლევისა და რაიონებად დაყოფის საქმის ჩასატარებლად უკვე დაარსდა კომისია პროფ. კონ. ამირაჯიბის თავმჯდომარეობით.

რ.

საექიმო რაზმებისა და ექსპედიციების დაბრუნება

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ინიციატივით ივლისში რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში გაგზავნილ იქნა რამოდენიმე საექიმო-სამკურნალო რაზმი და საექიმო ექსპედიციები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ადგილებზე მცხოვრებთა მასიური მკურნალობის ჩატარება და სხვადასხვა სენების გამომწვევ მიზეზების შესწავლა.

ჯერ-ჯერობით გაგზავნილი საექიმო რაზმებიდან თბილისში დაბრუნდენ ორი თვალის სნეულებათა რაზმი ექ. სარჯველაძისა და ექ. სიხარულიძის მეთაურობით. პირველმა რაზმმა შემოიარა თელავის მაზრა, ხოლო მეორემ ბორჯომის ხეობა, დაბრუნდენ აგრეთვე საშეანო-გინეკოლოგიური რაზმები ექ. ახვლედიანისა და ექ. ზ. ლორთქიფანიძის მეთაურობით. რაზმებმა ჩამოიარეს თელავის ყოფ. მაზრა და აჭარისტანი.

დანარჩენი რაზმი ექ. ყიფიანის მეთაურობით და კბილის სნეულებათა შემსწავლელი ექსპედიცია ექ. ბარათაშვილის ხელმძღვანელობით. კბილის სნეულებათა შემსწავლელი ექსპედიცია მუშაობდა კახეთში (ალაზნის ველზე) და სწავლობდა მალარიიდან გამოწვეულ კბილის დასნეულების მიზეზებს.

ყველა რაზმებმა ჩამოიტანეს დიდძალი მასალები, რომელთა დამუშავება უკვე დაიწყო.

შემოდგომის თესვა

ღონისძიებები კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად

ამიერ-კავკასიაში შემოდგომის თესვის ჩამტარებელ კამპანიის რწმუნებულის მოადგილის ამხ. ტაგიევის თავმჯდომარეობით შესდგა სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა ამიერ-კავკასიაში თესვის კამპანიასთან დაკავშირებული საკითხები.

მოხსენებების მოსმენის შემდეგ სხდომამ დაადგინა: დაევალოს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს დაუყოვნებლივ გაანაწილოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის თესვის კამპანიის ჩასატარებლად გადადებული თანხები. წინადადება მიეცეს აზერბეიჯანში თესვის კამპანიის ჩამტარებელ სამეულს საქართველოს საჭიროებისათვის დამატებით გამოყოს 35.000 ფ. ხორბალი, ხოლო სომხეთისათვის 15.000 ფუთი სათესლე ქერი.

სხდომამ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს, რათა აგრიკულტურულ ღონისძიებების ჩასატარებლად მომავალ წლის ანგარიშში „სოფლის კავშირს“ მისცეს 8.000 მანეთი.

წინადადება მიეცა „ზაკსელმაშს“ ახლად მიღებულ ტრაქტორებიდან 5 ტრაქტორი მისცეს აზერბეიჯანს, ხოლო დანარჩენი 15 ტრაქტორი საქართველოს.

ზამთარში საქონლის საკვებით უზრუნველსაყოფად წინადადება მიეცა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატს შემდეგ სხდომისათვის წარმოადგინოს 1928-29 წელში საქონლის საკვების დამზადების გეგმა და აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებს ატარებენ ამ მხრივ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები.

წინადადება მიეცა ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტს მებამბეობის რაიონებში შეიტანოს ხორბალი საჭირო რაოდენობით და 1-ლ ოქტომბრიდან შეუდგეს მებამბე გლეხებზე ხორბალის ავანსად დარიგებას.

წინადადება მიეცეს თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიებს ყოველ 2 კვირის განმავლობაში წარმოადგინონ კამპანიის მსვლელობის ანგარიშები.

დასასრულ სხდომამ დაადგინა წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაუყოვნებლივ შეუდგეს დასათეს მინდვრების საშემოდგომო მორწყვას.

სათესლე მასალის განაწილება

„სოფლის კავშირმა“ შემოდგომის თესვის კამპანიის საჭიროებისათვის აზერბეიჯანიდან დამატებით მიიღო 35.000 ფუთი ხორბალი და 15.000 ფუთი ქერი.

ეს სათესლე მასალა შემდეგ ნაირად იქნა განაწილებული ცალკე მაზრების და სამხრეთ-ოსეთის საკრედიტო ამხანაგობებს შორის:

ახალციხის მაზრა

სამაზრო საკრედიტო ამხანაგობას—4000 ფ. ხორბალი.

ბორჩალოს მაზრა

შაუმიანის საკრედიტო ამხანაგობას—800 ფ. ხორბალი და 1000 ფუთი ქერი; აშაგასტრალის საკრედიტო ამხანაგობას—700 ფ. ხორბალი და 500 ფუთი ქერი; ლიუქსემბურგის—800 ფ. ხორბალი და 500 ფ. ქერი. სულ 1300 ფ. ხორბალი და 2000 ფ. ქერი.

გორის მაზრა

ზაშურის საკრედიტო ამხანაგობას—500 ფ. ხორბალი; ქვემო-ჭალის—1200 ფ. ხორბალი; კავთისხევის—500 ფ. ხორბალი, წითელ ქალაქის—500 ფუთი ხორბალი, შინდისის—500 ფუთი ხორბალი; ტყვიავის—500 ფუთი ხორბალი, მეჯვრისხევის—1000 ფ. ხორბალი და ქარელის საკრედიტო ამხანაგობას—1000 ფ. ხორბალი და 1000 ფ. ქერი. სულ 5700 ფ. ხორბალი და 1000 ფ. ქერი.

თბილისის მაზრა

თიანეთის საკრედიტო ამხანაგობას—65 ფუთი ქერი; ერწოს—90 ფ. ხორბალი და 120 ფ. ქერი; მანგლისის—25 ფ. ქერი, ალბულაღის—235 ფუთი ქერი, თბილისის საკრედიტო ამხანაგობას—305 ფ. ქერი, დიღომის—70 ფ. ქერი, ასურეთის—260 ფ. ქერი, ავჭალის—355 ფ. ხორბალი და 145 ფ. ქერი. მცხეთის—70 ფ. ქერი, დუშეთის—280 ფუთი ქერი, ნატახტარის—470 ფუთი ხორბალი და 465 ფუთი ქერი და მარტყოფის საკრედიტო ამხანაგობას—366 ფ. ხორბალი და 385 ფუთი ქერი. სულ 1281 ფუთი ხორბალი და 2430 ფუთი ქერი.

ქუთაისის მაზრა

ქუთაისის მაზრის საკრედიტო ამხანაგობებს დამატებით სულ მიეცემათ 2000 ფუთი ხორბალი, აქედან თვით ქუთაისის საკრედიტო ამხანაგობას—350 ფუთი, ხონის—300 ფ., გორდის—150 ფ., ამაღლების—100 ფ., გორაზეინდარის—100 ფ., ვანის—300 ფ., დიდი ჯიხაიშის—200 ფუთი, ტობანიერის—100 ფ., სამტრედიის—200 ფუთი და მუხიანის საკრედიტო ამხანაგობას—200 ფ. ხორბალი.

რაჭა-ლეჩხუმის მაზრა

ონის საკრედიტო ამხანაგობას—700 ფ. ხორბალი და 400 ფუთი ქერი, ღების—600 ფ. ხორბალი, ამბროლაურის—500 ფ. ხორბალი და 200 ფუთი ქერი, ჭელიაღელის—500 ფ. ხორბალი და 300 ფუთი ქერი; პატარა ონის—500 ფუთი ხორბალი, ჭრებალოს—300 ფ. ხორბალი, ლაილაშის—500 ფუთი ხორბალი და 100 ფუთი ქერი, ცაგერის—700 ფუთი ხორბალი და 400 ფუთი ქერი და მექვენის საკრედიტო ამხანაგობას—300 ფ. ხორბალი. სულ 4600 ფუთი ხორბალი და 1400 ფუთი ქერი.

შორაპნის მაზრა

შორაპნის მაზრის საკრედიტო ამხანაგობებს სულ მიეცემათ 3000 ფუთი ხორბალი, აქედან კორბოულის საკრედიტო ამხანაგობას—800 ფ. საჩხერის—1000 ფუთი, კაცხის—400 ფ. ხარაგოულის—500 ფ. და ბორითის საკრედიტო ამხანაგობას—300 ფ.

კახეთის მაზრა

კახეთის მაზრის საკრედიტო ამხანაგობებს სულ მიეცემათ 2200 ფუთი ქერი. აქედან—აწყურის—350 ფ., ფშაველის—350 ფ. შილდის—500 ფუთი, შაშიანის—500 ფუთი და ყვარელის საკრედიტო ამხანაგობას—500 ფუთი ქერი.

ამრიგათ ამ დღეებში ჩამოთვლილ მაზრების საკრედიტო ამხანაგობების ღარიბ გლეხებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის გასანაწილებლად სულ დაურიგდება 26.831 ფუთი ხორბალი და 10.080 ფუთი ქერი.

სამხრეთ-ოსეთი

ცხინვალის საკრედიტო ამხანაგობას—2050 ფუთი ხორბალი და 1000 ფუთი ქერი, ახალგორის—1.200 ფუთი ხორბალი და ოქონის საკრედიტო ამხანაგობას—1750 ფ. ხორბალი. სულ 5000 ფ. ხორბალი და 1000 ფუთი ქერი.

—:—

„სოფლის კავშირს“ გაუნაწილებელი დარჩა კიდევ 8.169 ფუთი ხორბალი და 4.920 ფუთი ქერი რომელიც საჭიროების მიხედვით დამატებით იქნება განაწილებული ადგილებს შორის.

გორის მაზრაში

(საუბარი გორის სამაზრო პარტკომის პ. მ. მდივანთან ამხ. პ. მელაძესთან)

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში გორის სამაზრო პარტკომის მდივანმა ამხ. პ. მელაძემ საშემოდგომო თესვის კამპანიის შესახებ შემდეგი განაცხადა,—თესვის ჩამტარებელი სამაზრო კომისია ცენტრალურ კომისიასთან სავსებით შეთანხმებით მუშაობდა კამპანია მიუხედავად ზოგიერთ დაბრკოლებებისა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა, დათესილი იქნება მთელი რაოდენობა კონტრაქტაციით განზრახულ სივრცისა, როგორც ხორბლეულით, ისე ქერით.

სასოფლო სამეურნეო მანქანები თავმოყრილია ცენტრალურ პუნქტებზე, ამავ პუნქტებზე გლეხობას მოაქვს ხორბალი რომლის გადარჩევა ხდება სათანადო მანქანებით და გლეხებს ურიგდება სათესად გამზადებული. მოგვარებულია აგრო-კულტურულ დახმარების საკითხი. წინასწარ დასახული გეგმა საშემოდგომო თესვის კამპანიისა შესრულებული იქნება დამაკმაყოფილებლად.

ზუგდიდის მაზრის თემების რეორგანიზაცია

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა ზუგდიდის მაზრის ზოგიერთ თემების გაუქმების და რეორგანიზაციის საკითხი და დაადგინა: გაუქმებულ იქნეს ნიკოსიის თემი და გაერთიანებული იქნეს ზუგდიდის თემთან, ამავე თემთან გაერთიანდეს ყოფ. ჯოლეჯიანისა და ლედგებიეს თემების სოფლები, ხოლო თვით ზუგდიდის თემი გამოყოფილ იქნეს ქალაქისა და მის სამრეწველო რაიონის ფარგლებიდან ცალკე თემ-ერთეულად;

გაუქმებულ იქნეს ოქტომბრის (ყოფ. ცაიშკახათის) თემი და გაერთიანებულ იქნეს ცაიშის თემთან. გაერთიანებულ თემის ცენტრად იქნება ს. ცაიში. ამასთანავე პრეზიდიუმის დადგენილებით ამიერიდან ამ გაერთიანებულ თემს ეწოდება „ოქტომბრის თემი“. ახალ ცენტრიდან დაშორებული ნაწილები მოქცეული იქნება მეზობელ მახლობელ თემების ფარგლებში.

გაუქმდეს დიდინეძის თემი და მასში შემავალი სოფლები დანაწილებულ იქნეს დარჩელისა და ორულ-ერგეტის თემებს შორის;

გაუქმდეს ხობის თემი და შეუერთდეს ნოჯიხევის თემს, ცენტრი დაწესებულ იქნეს სოფ. ნოჯიხევში.

გაერთიანებულ იქნეს ახალ-ხიბულისა და საჯიჯაოს თემები. გაერთიანებულ თემების ცენტრის გამონახვა დაევალოს მაზრის ალმასკომს ადგილობრივ მცხოვრებლებთან შეთანხმებით.

გაუქმდეს ყულის-კარის თემი და დაარსებული იქნეს ყულისკარის სასოფლო საბჭო, ყულის-კარის თემი კი მთლიანად გაერთიანებული იქნეს ზუგდიდის თემთან.

გაუქმებულ იქნას ობუჯის თემი მთლიანად და გაერთიანდეს წალენჯიხის თემთან. (ცენტრი წალენჯიხაში).

გაუქმდეს საჩინოს თემი ჯგალის თემთან შეერთებით. გაერთიანებულ თემების ცენტრად მიჩნეულ იქნას სოფ. ჯგალი. ახალ ცენტრიდან დაშორებული სოფლები მცხოვრებთა სურვილის მიხედვით გაერთიანებული იქნეს მეზობელ თემებთან.

გაუქმებულ იქნეს ხაბუმესა და ნაფიჩხოვოს თემები და ორივე თემი შეუერთდეს ჭოლის თემს. გაერთიანებული თემების ცენტრა კი გადატანილი იქნეს სოფ. ჭოღაში. ნაფიჩხოვოსა და ხაბუმეში დაარსებული იქნეს სასოფლო საბჭოები.

რაც შეეხება ქალის თემის გაუქმებას და მის ჯვარისა და ფახულანის თემებს შორის დანაწილების საკითხს, ეს უკანასკნელი მოგვარებულ იქნება ადგილობრივ მაზრაღმასკომთან შეთანხმებით.

ზუგდიდის მაზრის თემების რეორგანიზაცია გამოწვეულია მაზრაში საბჭოების მუშაობის გაცხოველების და გამარტივების მიზნით. თემების გაერთიანება ხელს შეუწყობს თემებში საბჭოთა აღმშენებლობის გაძლიერებას და გაერთიანებული ძალით ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესების საქმეს.

რემედასის კვირეული

მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან 30-მდე ჩატარდება რემედასის კვირეული.

საქ. რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა კვირეულის ჩატარება გადასწყვიტა საზამთრო კომპანიასთან დაკავშირებით. ამჟამათ მიმდინარეობს ზამთრის მუშაობის გეგმის განხილვა რემედასის ორგანიზაციებში.

აღნიშნული გეგმა ფართოდ ითვალისწინებს, რემედასის ორგანიზაციის ზრდას რესპუბლიკანური მასშტაბით, მასიური მუშაობის გაფართოვების გზით.

ამას წინათ, საზამთრო პერიოდისათვის რემედასის ორგანიზაციების ნამდვილი მდგომარეობის გამოსარკვევათ ჩატარდა გამოკვლევები, კახეთის მაზრაში, აფხაზეთში და სხვაგან.

მიმდინარე ზაფხულის პერიოდში საქ. რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა, შესძლო მრავალი საინტერესო საქმიანობის ჩატარება. ასე მაგ.: ბაკურიანის რაიონში სას.-სამ. კომუნების მოსაწყობათ, უცხოელ პოლიტემიგრანტს-აგრონომების მივლინება, ჟურნ. „კაპიტალის ტყვეების ხმა“-ს გამოცემასთან დაკავშირებით ლატარეის გათამაშება, რომელმაც დიდძალი ხალხი მიიზიდა და სხვ.

1928-29 წლის ზამთრის პერიოდში მუშაობის ჩასატარებლათ, საქ. რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა დაიწყოს ზამთრის კამპანია ა. წ. 20 ოქტომბრიდან იმავე დროს ჩატარდება რემედასის კვირეული, რომელიც უმთავრესად მიმართულია რემედასის ორგანიზაციების ფინანსიურად გამოჯანსაღებისაკენ.

კვირეულის დროს, მოეწყობა მოხსენებები და ლექციები მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობაზე და გაშუქებულ იქნება რემედასის როლი ამ მოძრაობაში.

გარდა ამისა მოეწყობა ყულაბებით ფულის შეგროვება.

ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა კავშირის წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის გეგმა. ამ. გეგმის მიხედვით ცალკე კავშირების გამგეობებს ევალება წერა-კითხვის უცოდინარ კავშირის წევრთა რიცხვის გამორკვევა რაიონებში.

ამ ცნობების შეკრების შემდეგ თვითეულ რაიონში გაიხსნება წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო და მცირემცოდნეთა სკოლები. სკოლების შესანახათ თვითეულ კავშირს წ.-კ. უცოდინარ წევრზე კავშირი გადაიხდის თვიურათ 5 მანეთს, მცირემცოდნეზე—8 მან.

ამ სკოლებში წ.-კ. შეასწავლიან აგრეთვე კავშირის წევრის ოჯახის წ.-კითხვის უცოდინარ წევრებსაც. ამ უკანასკნელთათვის სწავლა იწარმოებს უფასოდ.

მეაბრეშუმეობა

„საქართველოს აბრეშუმის“ მომავალი წლის სამუშაო გეგმით განზრახულია თუთის ხის სანერგეების სივრცის გადიდება 50 ჰექტარიდან 70 ჰექტარამდე. სანერგეების გაფართოების შემდეგ შესაძლო გახდება მეაბრეშუმე გლეხებს ყოველ წლიურად უფასოდ დაურიგდეს 1.000.000 ცალი თუთის ნერგი. „საქართველოს აბრეშუმს“ ამასთანავე განზრახული აქვს თუთის სანერგეებათ გამოიყენოს ისეთი მიწის ნაკვეთები, რომლებიც უვარგისია სხვა კულტურებისათვის; განზრახულია აგრეთვე თუთის ხის გაშენება რკინისგზების ლიანდაგის გასწვრივ. „საქართველოს აბრეშუმს“ განზრახული აქვს შემოიღოს თუთის გაშენება იაპონური წესით, რაც გაცილებით ხელსაყრელია, ვინაიდან ამ წესით თუთის ხე მოშენდება გაცილებით სწრაფათ.

თუთის ხის სანერგეების მოწყობა-გაფართოვებაზე მომავალ წელს დახარჯული იქნება— 100.000 მანეთი.

„საქ. აბრეშუმს“ განზრახული აქვს თბილისში მოაწყოს მეაბრეშუმეთა გადასამზადებელი ორთვიანი კურსები, რომელზედაც მეაბრეშუმეებს შეასწავლიან აბრეშუმის ჭიის რაციონალურ მოვლა- გამოკვების წესებს.

იმ მეაბრეშუმეთ, რომლებიც უკეთ გამოკვებავენ აბრეშუმის ჭიას, მომავალში მიეცემა ჯილდო, ინკუბაციის წესით წელს გამოყვანილი იყო. 8.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი. წრევანდელმა ცდამ ნათელი გახადა, რომ ადგილობრივ დამზადებული აბრეშუმის თესლი არის სავსებით დამაკმაყოფილებელი ღირსების. საშუალო მოსავალი ამ თესლზე ერთ კოლოფზე უდრიდა 3 ფუთს. მომავალ წელში ინკუბაციის წესით გამოყვანილი იქნება 45.000 კოლოფი თესლი.

სასამართლო

უფლების გადამეტებისათვის

კოჯრის სატყეო რაიონში მირზოევის ყოფილ აგარაკში აშენებენ სხვადასხვა კულტურულ მცენარეებს.

სატყეო განყოფილების გამგეობას ამ მცენარეების მოვლელად დანიშნული ჰყავდა მოქ. მიხეილ ვასილისძე კეკელია.

ხშირი იყო შემთხვევა, როცა ამ გაშენებულ ადგილში კერძო პირებს ფარულად შეჰყავდათ საქონელი და აძოვებდენ.

როცა გაფრთხილებამ არ გასჭრა, კეკელიამ გადასწყვიტა ბოროტმოქმედთა და საქონლის შეპყრობა.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა კეკელია წავიდა ადგილის დასათვალიერებლად და თან წაიყვანა ტყისმცველი მირველოვი.

ტყისმცველები გაშენებულ ადგილში წააწყდენ საქონლის ჯოგს, ხოლო მწყემსები კი არსად სჩანდენ.

დაუარეს საქონელს თავი და უნდოდათ მათი გარეკა კოჯრისაკენ, მაგრამ ეს შეამჩნიეს იქვე დამალულმა მწყემსებმა, მისცვივდენ მათ და გაუწიეს წინააღმდეგობა.

ტყისმცველები იძულებული გახდენ თავი დაენებებიათ საქონლისათვის.

ბოლოს კეკელიამ წაავლო ხელი ერთ ცხენს და ზარალის ანაზღაურების მიზნით მოინდომა მისი წაყვანა, მაგრამ წინ გადაუდგა ცხენის პატრონი ფარსადანაშვილი და დაუწყო ლანძღვა-გინება.

კეკელიამ გადააჭარბა მისთვის მინიჭებულ უფლებას, ესროლა თოფი ფარსადანაშვილს, რომელსაც ტყვია მოხვდა მუცელში და იგი უსულოდ დაეცა ძირს.

მიხეილ კეკელია გუშინ გაასამართლა თბილისის სამაზრო სასამართლომ.

კეკელიას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, რაც ამნისტიით გაუნახევრდა.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—პ. ბურკაძე, სახალხო მსაჯულები: გოგიშვილი, ჯიოევი, პროკურორი—ლ. ჟღენტი.

ბრალდებულს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი ევ. ბოკერია.

გაფლანგვა

ქუთაისის მაზრის დამზღვევ სალაროს აგენტად მსახურობდა ილია ყარამანისძე ნაჭყეპია, რომელსაც ევალებოდა ანარიცხების აკრეფა დაწესებულებებიდან და სალაროში წარდგენა დაუყოვნებლივ.

ნაჭყეპიამ იმუშავა ამ თანამდებობაზე გასული წლის 1 ოქტომბრიდან ა. წ. 1 თებერვლამდე,. ხოლო შემდეგ კი მოხსნილ იქნა 1373 მანეთის გაფლანგვისათვის და მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

ნაჭყეპიამ თავი არ სცნო დამნაშავედ და ზემოდ-აღნიშნული თანხის დანაკლისი გადააბრალა სალაროს სააღრიცხვო განყოფილების გამგეს პოლიკარპე ლომინაძეს და მოლარე ნინა სოფრომაძეს.

საქმე გაარჩია ქუთაისის სამაზრო სასამართლომ

მოლარე ნინა სოფრომაძე უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

სააღრიცხვო განყოფილების უფროსი ლომინაძე სასამართლომ დამნაშავედ სცნო დაუდევრობაში, რამაც აგენტ ნაჭყეპიას საშუალება მისცა ჩაედინა ბოროტმოქმედება.

დაუდევრობისათვის ლომინაძეს მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობით და გამოსაცდელ ვადათ დაენიშნა ერთი წელი.

ილია ყარამანისძე ნაჭყეპიას დაუმტკიცდა 1373 მანეთის გაფლანგვა და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით სასტიკი იზოლიაციით. მსჯავრდადებულმა უნდა გადაუხადოს დამზღვევ სალაროს გაფლანგული თანხა.

—:—

მთვრალი მილიციელი საგუშაგოზე

თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით გაარჩია მიხეილ აკოფოვის საქმე.

აკოფოვი მსახურობდა მეხუთე უბანში უნცროს მილიციელის თანამდებობაზე.

ა. წ. 6 მარტს, როცა საგუშაგოზე იმყოფებოდა, მასთან მივიდა ნაცნობი მეგობარი და სთხოვა რამდენიმე ხნით მას წაჰყოლოდა ნაცნობი ებრაელის ოჯახში „აღდგომის მისალოცად“.

აკოფოვმა მიატოვა საგუშაგო. წავიდა მასთან ერთად და წაიქეიფა.

აკოფოვი რამდენიმე ხნის შემდეგ მობრუნდა საგუშაგოზე, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ფეხზე ძლივს დგებოდა.

ეს შეამჩნია გამწესრიგებელმა მილიციელმა, მოხსნა იგი საგუშაგოდან და შეუყენა ოქმი.

საქმე გადაეცა სასამართლოს.

აკოფოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 თვით, მაგრამ სასამართლომ მიიღო მხედველობაში მისი სოციალური მდგომარეობა და ის, რომ დანაშაული პირველად ჩაიდინა, სასჯელი შეუცვალა პირობით ერთი წლის ვადით.

ზერ.

საგადასახადო შეღავათი

ა. კ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს დადგენილებით ყველა სახელმწიფო სამთო და სამთო-სამრეწველო დაწესებულებები უკვე აღმოჩენილ ან ძველათ მიტოვებულ სამთამადნო მფლობების დამუშავების ან გამოკვლევის შესახებ ხელშეკრულების დადების დროს ვალდებული არიან სანოტარო მოწმობისთვის გადაიხადონ გამოსაღები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხის ერთი მეთექვსმეტედი პროცენტის რაოდენობით და სათანადო დანართები.

სოცდაზღვევის ორგანოები განთავისუფლებული არიან სასამართლოს ხარჯებისგან და სხვა გადასახედებისაგან.

სანოტარო გამოღებებისგან განთავისუფლებულია ყველა ის ხელშეკრულებები, რომლებიც დადებული იქნება სას. მეურნეობის ელექტროფიკაციის მიზნით, ელექტრო სადგურების ძრავებით მომარაგების ან ქვესადგურების მოწყობის და ელექტრონის გამცდარ ხაზების გაყვანის მიზნით.

ხახვის დამზადება

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით, წელს ხახვის გამოსავალი ყარაიისა და ბორჩალოს რაიონებში შეადგენს დაახლოებით 6.700 ცენტნერს (ცენტნერი—50 კილოგრამი) „სოფლის კავშირი“ ამზადებს 3.500 ცენტნერს და ბორჩალოს სამაზრო აღმასკომი 2.500 ცენტნერ ხახვს.

ხახვის დასამზადებელი ფასები წელს, გასულ წელთან შედარებით მაღალია და მის შესამცირებლად ვაჭრობის სახ. კომისარიატმა საჭიროთ სცნო 6 ვაგონი ფქვილის გაგზავნა ხახვის დასამზადებელ რაიონებში.

„სოფლის კავშირს“ და ბორჩალოს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს წინადადება მიეცა ხახვის დამზადება დაამთავრონ დეკემბრის დამლევისათვის. „ზაკსოიუზ“-ს დაევალა გასაღების საწყობები დამზადებული ხახვის შესანახათ, ხოლო დამზადების ადგილებზე ხახვის შენახვა დავალებული აქვს „სოფლის კავშირს“.

საზოგადო სამრეცხაო

თბილისის შრომის ბირჟასთან არსებულ კოლექტივების კომიტეტმა კომუნალურ დარგის მუშაკთა კავშირთან ერთად გადასწყვიტა გახსნას დიდი საზოგადო სამრეცხაო, რომელშიაც იმუშავებს შრომის კოლექტივი „გოგიენა“.

სამრეცხაო გარეცხავს ყველა სასტუმროების, კოოპერატიულ ორგანიზაციების, საექიმო დაწესებულებების და ქარხნების სპეცტანისამოსებს და თეთრეულებს.

სამრეცხაო იმუშავებს ორთქლით და რეცხვა იწარმოებს გაუმჯობესებულ ტექნიკურ საშუალებით. სამრეცხაო ამუშავდება 15 ოქტომბრიდან.

გარდა ამისა გადაწყვეტილია ცენტრში და გარე უბნებში გაიხსნას პუნქტები, რომლებიც კერძო მცხოვრებლებისაგან მიიღებენ სარეცხს.

შემთხვევები

თავის დაჭრა

სასადილო, „თელავში“ (ლენინის ქ.) 27 სექტემბერს ღვინის სმის დროს მე-3 სამილიციო რაიონის უნცროსმა მილიციელმა გიორგი ესტატესძე ღვაძაძემ თვითმკვლელობის მიზნით რევოლვერით დაიჭრა თავი. მიზეზი გამოურკვეველია. დაჭრილი გადაიგზავნა მე-2 საავადმყოფოში.

ცეცხლი

27 სექტემბერს, საღამოს „ცეკავშირის“ სამმართველოს შენობას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

დაჭრა

რესტორან „მეფისტო“-ს ახლო 27 სექტემბერს, საღამოს 9 ს. გრიგოლ ალექსანდრესძე აკოფაშვილმა დანით მძიმედ დასჭრა ამაიკ სააკისძე ტერ-გრიგორიანი. აკოფაშვილი გადაიგზავნა მე-2 საავადმყოფოში.

თავის მოწამვლა

27 სექტემბერს, ღამის 2 საათზე ვახტანგ ზაქარიასძე საყვარელიძემ თავის ბინაში (ანტონოვის ქ. 53), მორფით მოიწამლა თავი. საყვარელიძე გადაიგზავნა საავადმყოფოში. თვითმკვლელობის განზრახვის მიზეზი გამოურკვეველია.

უბედური შემთხვევა

27 სექტემბერს თბილისიდან მიმავალმა მეფურგუნემ ნიკო რეომისძე ილურიძემ (დუშეთის მაზრის სოფ. ბაზალეთის მცხოვრები) ზაჰესის ქვევით ფურგუნიდან გამოხსნა ცხენები და საბანაოდ ჩარეკა მტკვარში. ილურიძე ცხენებიანათ მოხვდა მორევში და დაიხრჩო.

შეპყრობა

27 სექტემბერს შეიპყრეს ალექსანდრე არუთინოვი, ასატურ გრიგორიანი და ჰამაიკ ჯანყულოვი, რომლებმაც ცენტრალურ ბაზარში ზაქარია სარიელაშვილს მოპარეს სხვადასხვა ნივთები. დააპატიმრეს ივანე ალექსანდრესძე იაშინი, მიხა ყელაშვილისათვის ფულის ამოცლისათვის.

რადიო-გადაცემა

დღეს თბილისის რადიოსადგურიდან 1070 მეტრ ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე, საგლეხო რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე, მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ—ქართულ ენაზე, მოხსენება მუშგლეხკორთა მოძრაობის შესახებ საკავშირო მუშგლეხკორთა თათბირთან დაკავშირებით—ქართულ ენაზე, მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ—ქართულ ენაზე, „ქუნთრუშა და მასთან ბრძოლა“—მოხსენება რუსულ ენაზე, გაზ „ეპიკენდ“—თურქულ ენაზე, გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობა ქართულსა და რუსულ ენაზე, კონცერტი-ტრანსლიაცია—რუსულსა და ქართულ ენებზე, ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულსა და რუსულ ენებზე, მოხსენებებს შუა მუსიკალური ნომრები.

ნარევი

ძაღლის მიერ გამოკვებილი ლომი

ლენინგრადის ზოოლოგიურ ბაღში ბერლინიდან ერთი გალიით მიიყვანეს ლომი „ფატმა“ და ძაღლი „ნელლი“. ლომი [illegible] ბერლინის ზოოპარკში, [illegible] იგი მოაშორეს დედას და „ნელლის“ მისცეს საკვებათ, ახლა „ფატმა“ 1 წ. და 8 თვისაა, „ნელი“—8 წლის. დამოკიდებულება მათ შორის მშვენიერია. ლომი უძაღლოდ დიდ მოწყენილობას იჩენს.

ქურდი ბანკირი

ფინეთში დააპატიმრეს ბელგიელი ბანკირი ლიბერმანი, რომელსაც მთელ ევროპაში დაეძებდნენ დიდძალი თანხის გატაცებისათვის. დაპატიმრების დროს ლიბერმანი შეეცადა თავი მოეკლა.

პეპლების შემოსევა

იტალიაში ლოდისა და კოდონის მიდამოებში გამოჩნდენ აუარებელი პეპლები, რომლებმაც მთელი მინდორ-ველები დაფარეს. გაზეთების ცნობით, ავტომობილების მოძრაობა დაბრკოლებულია პეპლების „შემოსევის“ გამო.

ვინ იქნება ამერიკის პრეზიდენტი

ნიუ-იორკის ბირჟაზე დადებულია მრავალი სანაძლეო იმის შესახებ, თუ ვინ იქნება არჩეული შეერთებული შტატების პრეზიდენტათ. სანაძლეოს საერთო თანხა 400 მილიონ მანეთს აღემატება.

აეროპლანების ექსპორტი შეერთებული შტატებიდან

უკანასკნელი წლების განმავლობაში შეერთებული შტატების, ავია-მრეწველობის განვითარებამ თავბრუდამხვევ შედეგებს მიაღწია. აეროპლანების წარმოება მოეწყო ან ეწყობა თითქმის ყველა საავტომობილო ქარხნებში. საერთოდ კი, ამერიკული გაზეთების ცნობით, საავიაციო ქარხნების რიცხვი შეერთებულ შტატებში უკვე აღემატება საავტომობილო ქარხნების რიცხვს.

შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს ცნობით, 1927 წ. შ. შტატებიდან გაიტაცეს თითქმის ოთხ მილიონ დოლარის აეროპლანები და საავიაციო ნაწილები. ეს 85 პროცენტით სჭარბობს 1926 წლის საავიაციო ექსპორტს.

ამერიკულ- აეროპლანების მთავარი მყიდველია კანადა, პერუ, ჩილი და საბჭოთა კავშირი. შეერთებული შტატების ავიოექსპორტის თითქმის ერთი მეოთხედი მოდის კანადაზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 29 სექტემბერს თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ისაკ შპალეევი, იოსებ კავთიაშვილი, ბარბალე სომხიევა, ევა კალანდაძე, დავით ჩიხლაძე, კაპანაძე, თედორე ვაზიაშვილი, ანდრეევი, თამარ შაისურაძე, პილენკოვიანი, ვასილ ველმიშენკო, ანტონინა პუკასი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: მარგარიტა აგაჯანოვი, მარიამ ჩხეიძე, ო. მძინარაშვილი, სოფიო ჩიქოვანი, მარიამ კეზირი, გაბაშვილი, თამარ ცინცაძე, შუშანიკა მინასიანი, თამარ კორინთელი, ნიკოლოზ თუსევიჩი, გარეგინ ავაქიანი, ჯანო ოტიანცი, სერგო ჯაქია, გიორგი ზუბულიძე, ლევან გაჩეჩილაძე, ვლადიმერ ბართაშვილი, ამილოქ კონტრიძე, დარია ლომიძე, სეხნიაშვილი, სოფიო შევარდინა, სტეფანე კარაკჩეევი, ლევან ხატურჯიანი.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: მატრონა სავინა, ყარამან ბაღდასაროვი, გეორგ აზატოვი, გასპარ მელქონიანი, გიორგი ოთარაშვილი, ნინო ახალკაცაშვილი, გიორგი იორაშვილი. ნინო ახალკაციშვილი, პეტროს მანასიანი.

პარტიული კალენდარი

დღეს, 29 სექტემბერს, საღამოს 6 ნახევარ საათზე პროფსაბჭოს დარბაზში შესდგება „უღმერთოთა კავშირის“ 1-ლი საქალაქო კონფერენცია. დღის წესრიგში დასმულია 1) საორგანიზაციო ბიუროს საინფორმაციო მოხსენება, 2) უღმერთოთა კავშირის“ მიმდინარე ამოცანები, 3) ცნობა რელიგიურ საზოგადოებების და სექტანტურ ორგანიზაციების მოქმედების შესახებ ამიერ-კავკასიასა და საქართველოში, 4) საქალაქო საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

დელეგატების დასწრება სავალდებულოა. მოწვეულია აგრეთვე „უღმერთოთა კავშირის“ აქტივიც.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს 29 სექტემბერს, დღის 12 საათზე ბიურო-კოლექტივში: საშა პაპავა, თამარა მელქაძე, სერგო ერქომაიშვილი, სვანიძე, გრიშა ცაგარეიშვილი, გიორგაძე, თამარა მიკაშვილი, ფაღავა, ია, მიქაძე, იაკობ ჭონიავა.

სახ. უნივ. სოც.-ეკონ. ფაკ. მე-3 და მე 4 კურსის მსმენელთა ა.ლ.კ.კ. ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, შუადღის 12 საათზე. ბიუროს წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

მუდამ მგლოვიარე მშობლები—დედა ვალიდა ივანეს ასული მამა მაქსიმე ივანეს-ძე; დები ლენა და შურა, ძმა დათიკო და ნათესავები აუწყებენ ნათესავთ-ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, 30 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ქ. ფოთში, ნახუტურუს სასაფლაოზე დანიშნულია პანაშვიდი

ნადია მაქსიმეს ასული ხორავას

ხსოვნის აღსანიშნავად. 1639

სახქინმრეწვის კინოთეატრები

განთიადი პროლეტარი ავლაბარი		ელისო	რეჟისორი ნ. შენგელაია ოპერატორი ვ. კერესელიძე
მინიონი	დადგმის მე-2 კვირა	ელისო	
აპოლო	დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან	ტამილა	ფ. დიუშენის რომანის მიხედვით
სოლეი	თავისი დადგმით გრანდიოზ. ფილმი	სპარტაკი	
ეთერი	რიჩარდ ტოლმეჯი საუკეთესო სურათში	მე დეტექტივი ვარ	
კალასი	სეზონის საუკეთესო სურათი	გაყიდული მადა	
დარბაზი	ლილი და დიმიტრი ყიფიანი სურათში	ჭორი	რეჟისორი—პერესტიანი

ანონსი: მალე მოსკვინი საუკეთესო სურათში: ადამიანი იშვა. 0—21

კინო აპოლო

ორშაბათიდან
1 ოქტომბრიდან
მედი ქრისტიანსი
უცხოეთის წარმოების მხატვრ. სურათში
ლურჯი სისხლი

ნ. 1638

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

სრ. საქართველოს
სახდაზღვევის კანტორა

ამით აცხადებს ქალ. თბილისის, ბათუმის და სოხუმის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ცალკე დაქირავებულ პირთა საშუალებით მოქალაქეებთ დაურიგდებათ უწყებები, მათი გადასახადის დაზღვევისგანაკვეთის რაოდენობის ჩვენებით, მაგრამ ფულის მიღების ნება, ზემოხსენებულ პირთ არ აქვთ.

აგრეთვე აღარ ივლიან ოჯახებში ფულის ამკრეფლები, როგორც ეს ხდებოდა წასულ წლებში.

ამიტომ მოქალაქეები ვალდებულნი არიან 1928/29 საოპერაციო წლის ხვედრი განაკვეთი შემოიტანონ უშუალოთ სახდაზღვევის სალაროში—ტფილისში—აღმასკომის ქუჩა № 8, ბათუმში და სოხუმში ადგილობრივ სახდაზღვევის ანგარანში.

ფულის შემოტანის უკანასკნელ ვადათ დაწესებულია ა/წ. 31 დეკემბერი, 31 დეკემბრის შემდეგ განაკვეთზე დაერიცხება დღეში 0,2% საურავი ანუ 6 კაპ. მანეთზე თვეში.

მომავალი წლის 1-ლ აპრილიდან შემოუტანელი პრემია გადახდება უდავო ადმინისტრატიული წესით.

სრ. საქართველოს სახდაზღვევის კანტორა

3—1 4324

ქ. თბილ. მე-4 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ა. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 2 ოქტომბერს, 1928 წ. დღის 2 საათზე, სახლში № 4, ყაზბეგის ჩიხში საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. ვარლამ ბერიძის მოძრავ ქონებას: წიგნების შკაფს, ნიკელის სამოვარს, ბარომეტრს, სურათებს ლომბერის მაგიდას, ნარდს და შიფონერკას შეფასებულს 240 მანეთად, მოქ. სიმონ ხოშტარიას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 30 სექტემბერს, 1926 წ. თარიღით, № 1285, გაცემულ აღსრულებითი წარწერისა. 4339

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. ზ საღ. 6—8 საათ.

კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ ტელეფ.—1267. 25—1

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ კვირას, 30 სექტემბერს, ღვინის აღ. № 51 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფინსახკომისადმი დავალიანებათა / ასანაზღაურებლად გაიყიდება არშაკ ედიგაროვის 830 ვედრა ერევნის და კახური ღვინო. თუ რაიმე მიზეზის გამო პირველი საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, განმეორებით საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ხუთშაბათს 4 ოქტომბერს. ნ. 1637

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02

ექიმი
ს. ანდრეევისა

დაბრუნდა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა

ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან. ტელსმენი —11—78. 25—1.

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.

ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება

დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132.

ექიმი
თოდაძე

დაბრუნდა. ღებულობს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს. (თირკმელები, საშარდე ბუშტი და სხვა). ცისტოსკოპია, დიატერმია. თბილისი, ბელგიის ქ., № 1; მიღება—4—6 საათამდე. 13—1

ექიმმა
ს. ი. ვოლოხმა

განაახლა ავადმყოფთა მიღება (ქალთა სნეულებანი და მეანობა) ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 5 ს.-დან 7 ს.-მდე. ბელგიის ქ., № 5, მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. ტელ. 10—80. 25—1

თვალის ექიმი
მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90. 25—1

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი

ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

ექიმმა
ი. ვ. ხანდამოვმა

განაახლა სიფილისით, კანისა და ვენერიული ავადმყოფობით ვადებულთა მიღება. დღის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ძნელაძის ქ., № 35, (ყოფ. საპიორის ქ.), 4, კადეტთა კორპუსის უკან. (25—1)

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღ.—5—8 ს. ქალები და ბავშვების მიღება: დილის -8—9 ს. 4—საღ.—5 ს. მისამართი: კამოს ქ., № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მშამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი

სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—19

დავკარგე: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 87, აკაკი ლომთათიძის სახელზე, ჩ. გ. 4340

დავკარგე: სასამსახურო უსახელო ბილეთი № 2946, გაცემული მე 3-ე უბნის სალიანდაგო განყოფილების მიერ, შალვა რობაქიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1635

დავკარგე: დროებითი ქვითარი თბილისის კომუნალურ ბანკის ერთი აქციის ნიკოლოზ სარდიონის-ძე ქელიძეს სახელზე, ჩ. გ. 4342

დავკარგე: კავშირის, დამზღვევ სალაროს და მუშკოოპის წიგნაკები ბარბარე გოგოსაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4343

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.